

ՈՐԿԵՆ
ՅՆԺԿՈՒՄ

ՆԵՄԵՐՈՎԵՆԵՐ
ԿՈՎԵՐ



<http://illuminati.ge/>

THE UNIVERSITY OF CHICAGO

LIBRARY



UNIVERSITY OF CHICAGO

1950

1950

ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ ФИЛОСОФСКИЕ ПАМЯТНИКИ

И О Я Н Э
ПЕТРИЦИ

ЛЕСТНИЦА
ДОБРОДЕТЕЛЕЙ

Подготовил к изданию, исследованием,
примечаниями и словарем снабдил
И. А. Лолашвили

ИЗДАТЕЛЬСТВО «САВЧОТА САКАРТВЕЛО»
ТБИЛИСИ — 1968

ქველავითელი ზილვისოვიუჰი-ქეჭლენი

ი ი ა ნ ე
პეტრიცი

სათნოეჭეთა
ქიჯე

გამოსაცემად მოამზადა, გამთვლუჯა,
შენიშვნები და ლექსიკონი დაურთოთ
ივანე ლოლაშვილმა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1968

„საინოვანო კიბე“ (ანუ „კლემენტია“) ითან პეტრი-
წის ორიგინალური ფილოსოფიურ-დოქტრინული ში-
ნაარსის მიხედვით. ვალკილია იცნაო თაჲ, იმ-
ბიერად დაჲროსტიკერად თანე სინელს „კლემენტ-
ის“ ეფთჲმე მიაწმოდღესელი პირობული თარგ-
მანს მიხედვით.

თხელღმის უძველეს ისტორიულ-ფილოლოგიური
ნარკვეთი „ითან პეტრიწი-პიპინელი“, რომელმაც
განხილული ჰქალი ქართული მწერლობის აქტიუღერი
პრობლემები; ვრთის შენიშვნები და ლექსიკონი.

წინასიტყვა

ფილოსოფია ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდი და
შინაარსიანი დარგია. იგი საქართველოში ჩასახა ადრეფეოდალურ
ხანაში და თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია XI—
XIII საუკუნეებში — ითან პეტრიწისა და შოთა რუსთაველის ეპო-
ქაში. ამ დროის (ანუ კლასიკური ხანის) მწერლობაში ფართო გასაქა-
ნი მიეცა ფილოსოფიურ აზროვნებას, ფილოსოფიურ-თეოლოგიურ
პრობლემათკის: სამონასტრო სკოლებსა და აკადემიებში რიტორიკასა
და ლეთისმეტყველებასთან ერთად ისწავლებოდა „გარეშე ფილოსოფია“,
განსაკუთრებით პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრება, იმარ-
თებოდა ფილოსოფიური კითხვა-მიგება და პოლემიკური დისკუსიები,
რომლებშიც მონაწილეობას ლებულობდნენ ქართველი მწერლები და
მთაზროვნენი, ზოგჯერ მეფეებიც კი. ამ დისკუსიებისა და კითხვა-მი-
გებათა მონაწილეების მთავარი მიზანი იყო ის, რომ მათ ფილოსოფი-
ურად დაესაბუთებინათ ქრისტიანული დოგმები ლმერთის არსებობის,
სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობის შესახებ, ე. ი. ანტიკური ფი-
ლოსოფია (უპირველესად პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრება)
ჩაეყენებინათ ქრისტიანიზმის სამსახურში და ამის შედეგად აეხსნათ
თეორიული საკითხები, რომელთაც აყენებდა შუა საუკუნეების სკო-
ლასტიკა.

XI—XIII საუკუნეებში ქართულ ენაზე შეიქმნა უმდიდრესი ფი-
ლოსოფიური მემკვიდრეობა: ეფრემ მკირემა, არსენ იყალთოელმა და
ითან პეტრიწმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნეს ფილოსოფიური
წიგნები, შეთხზეს ორიგინალური შრომები — კომენტარები, სტატიკ-
ბი და ტრაქტატები, რომელთაც დიდად განავითარეს ქართული ფილო-
სოფიური აზროვნება და მყარი თეორიული საფუძველი მოუშობდეს
დიდ რუსთაველსა და ფილოსოფიურად მოაზროვნე პეტეტეს — ჩახრუ-
ხაძეს და შავთელს.

დიდი ხანია, რაც ეს ფილოსოფიური შემეცნიერება ქართველ მეცნიერთა შესწავლის ობიექტს წარმოადგენს: გამოიკა ტექსტები, ლიტერატურა გამოკვლევები, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. დღემდე გამოკვლევებულა ამ შემეცნიერების მცირედი ნაწილი — არეოპაგიტული წიგნების ეფრემისეული თარგმანი, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისშეტყველებიანი“ და იოანე პეტრიწის „კომენტარები“. ნემსისიუს ემესელის „ბუნებისათეს კაცთა“ და რამდენიმე ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტრაქტატი. სხვა დანარჩენი შრომები, მათ შორის იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბე“, ამონიოს ერმისის „მოსაჴსენებელი ათთა ჳმათადმი არისტოტელისთა“ და „მოსაჴსენებელი ხუთთა ჳმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“, არსენ იყალთოელის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შრომათა კრებული „ლოღმობა ტეონი“, რომელიც შეიცავს თარგმანებსა და ორიგინალურ ტრაქტატებს, — ჯერ კიდევ არ არის გამოცემული მეცნიერულად. ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად პუბლიკაცია ფილოსოფიურ-ლიტერატურული თხზულებისა „სათნოებათა კიბე“, რომელსაც წინ უძღვის ნარკვევი „იოანე პეტრიწი-კიმიკიმელი“.

ი. ლოლაგვილი

იოანე პეტრიწი-კიმიკიმელი

ისტორიულ-ფილოლოგიური
ნარკვევი

შესავალი

იონე ფილოსოფოსი პეტრიწი (დავით აღმაშენებლის ეპოქის მოღვაწე) ძველქართული ეკლესიური ფილოსოფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. შუა საუკუნეების ამ გამოჩენილმა მოაზროვნემ, დაწილოებულმა ღრმა მეცნიერული ერუდიციითა და მებრძოლი შემოქმედებითი უნარით, დიდი ამაგი დასდო ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების განვითარებას. მან თავისი სიტყვა თქვა ჩვენი ძველი მწერლობის თითქმის ყველა დარგში.

პეტრიწი ქართული ფილოსოფიის ზეცია. იგი რუსთაველისებური ვაჟანების მოაზროვნეა. ანტონ ბაგრატიონის თქმით, მან „ფილოსოფო საქმე მოსაქმისანი მოაქართულნა“, „ქართლი ჰქმნა მეორედ ათინაღ“, ამით „ბერნი წარგვხაღნა უმეცარ-საწყინანი“. პეტრიწმა დავითოვან წიგნებში „ყოველთა გუართა შინა სიტყვიერებისათა და ყოველთა გუართა შინა ჰმოვა ჩინებულება და პატრიუსიკმა არა მხოლოდ თანამედროვეთა თესთა, არამედ ყოველთა განათლებულთა შთამოებათა თესთა მამულსათა“ (ს. დოღაშვილი).

პეტრიწის ცხოვრება და ლიტერატურული შემეცნიერება ჯეროვნად არ არის შესწავლილი. მკვლევრებს უჭირთ სრულყოფილად გაითვალისწინონ ის დამსახურება, რომელიც მას ქართული ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბების საქმეში მიუძღვის. ამის მიზეზია ის, რომ პეტრიწის ნაწერების ერთი ნაწილი დაკარგულია, ნაწილი კი კრიტიკულად არ არის შესწავლილი. გამოცემულია მისი ორი ფილოსოფიური შრომა: პროკლე დიადოხოსის „კავშირის ღმრთისმეტყველებითნი“ (ტექსტი და კომენტარები) და ნემესიოს ემესელის „ბუნებისათესაჲსა“. სხვა თხზულებები ხელნაწერებადაა დაცული ქართულ სიძველეთსაცავებში და ტექსტოლოგ-გამომცემლებს მოელოან.

ბიოგრაფიული მასალების სიმცირის გამო არაფერი (ან ცოტა რამ) ვიცით, თუ რა გუარს ატარებდა პეტრიწი, ვისი ჩამომავალია, სად დაიბადა და აღიზარდა, სად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ვინ იყვნენ მისი

„იოანე უკუე, თეატალი სიბრძნისა, იყო ნათესავით ქართველი და სამეფუფთა სქესთაგან აქუნდა მას შთამოზობა. ამან უკუე ყოველი ფილოსოფიაჲ, ესე იგი ღრამმატიკაჲ და როტორიკაჲ და გეომეტრიაჲ და ასტრონომიაჲ და მუსიკაჲ და ფიზიკაჲ და მეთეფისიკაჲ ვითა მზებმან ზოდნი, ერთბაშად შემოიყვალა, და ყოველსა ელენთა ენაშენობითსა სიტყუასა კელოვნებასა ზედმიწევნით იქმნა; და თავად მან ინდელმასა და უმუჟასა არსისა და სიზმრისა ნაქსოვნებისა კიდევან ჰყო თავი თვისი და ოპიზას, მონასტერასა წმიდისა იოანე წინამორბედლისა, მიიწია ძმათა თანა, და მიაღება მათ ზესთ ღმრთისმეტყუელელებითთა სხობითთა წილ იმყო უნდომა კელენი და სამეფუფთა წილ სამოსთა—ძაძა. და რომელსა მორჩილებდეს მორჩილთა თანა ფიცხელთა მორჩილებითა, თავდგმულებით გვრგვინოსან იქმნა და ესრეთ უფლადმი მივიდა.

ესე იყო ეპისა მკაცრედ პირველ დავით მესამისა, მეფისა ქართველთასა, კეთილ-მორწმუნისა, მისა გიორგისასა დაეითიანისა, რომელი მოიყვანებინა სახელწოდებით აღმაშენებლად.

ამან საღმრთოჲმან იოანე გარდამილო ქართველთა კმასა ზუდა საღმრთოჲ წერილი და მრავალნი ღმრთისმეტყუელელები თნი და ფილოსოფოსები თნი წერილნი ი, ვკვანებ ვითარმედ, სამკურნალონიცა წერილნი; და მრავალნი ღმრთისმეტყუელელები უადრეს ბუნებისა გამოთქუნა მრავალ-დაღუქსულთა იამბიკოჲთა გლომითა შინა. ხოლო მრავალნი გლოზბანი სათეფოთა და ტრიოდონისა და პენტეკოსტისა გარდამილო ბერძენთა კმათავ ჩუენთა ზუდა კმათა, და მრავალნი შესხმანი წმიდათანი ბერძულთასგან ქართულად გარდამილო.

ამან განმარტნა წიგნი პარკელ ფილოსოფოსისა, რომელ არს ყავეშორნი ღმრთისმეტყუელეებისთა, და ბერძულთასგან ქართულად გარდამილო იგი, და ყატილორთაჲ არისტოტელისა, და აქერი არმენიკა, და წიგნი ამმონიოს ერმისიისა, რომელ არს ფანმარტებაჲ პორფირი ფილოსოფოსისა ხუთთათეს კმითა და [განმარტებაჲ] არისტოტელის შესმენათა, და წიგნი ნემესიოს ვემესელისა ყატილისა არსებებისთესა და მრავალნი სხუანი წე-

რილი, და წიგნი იოანე სინელისა ყელემაქსია, მონაზონათეს განმადილრი იგი საუნეჲ მრავალფასი, რომელი ოცდაათი მიერ კიბთა აღიყვანს სიუფარულისადმი და შეაერთებს სიუფარულსა მას, უფუტქსა მზესა. ესე წიგნი იოანე სინელისა ორგუარად არს გარდამოღებულ ამის დიდისა მიერ: პირველი ვიდრემე განკარგულად, ხოლო მეორე—იმპბიკოვნად, გლობასა ზუდა გარდამილო ჩუენთა ზუდა კმათა.

ხოლო მისთათეს წერილ-დაღუქსულთა რაღა საემარს არს თქმაჲ? რამეთუ თთუ ვუთხვენებთ თვითა თქსთა უტკიბლეს თაფლისა და უფროსს ოქროთა ხუავთა განმადილდრებულად და ვსავონათეს მსამბინელ-ყოფად უბრწუნეთა მით სანოვავითა.

ამის ყოველად ბრძნისა მოძღურისა იყუნეს მრავალნი მოწაფენი შედგომილ, მაგარ უფროსად ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელ, რომელი შესუფრო იქმნეს ზედმიწევნითებითა მოწაფედ ესთა დიდისა მოძღურისა.

მეორე მწერალი, რომელმაც საინტერესო ცნობები დაგვიტოვა პეტრიწის ბიოგრაფიასათვის, არის გერმანე ხუცეს-მონაზონი, მოწაფე ნეკრისის ეპისკოპოსის დისიპოლ ნერქეზიშვილისა. მას 1764 წელს თელავში გადაუწერია პროკლე დილიხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“ და მისთვის დაურთავს ანდერძი, რომლის პირი შეგოგონაჲ ამბროსი ნეკრესელმა. ტექსტი გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილი³. შინაარსი ასეთი:

„სათანალო უწუებად შენდა, მკითხველო, რომელ: ნაქვსნი ესე, რომელსა სჭერეტ, იოანეს მიერ არის თქმული, ქართველისა ფილოსოფოსისა, რომელსა ნართაულეებ ზედ ეწოდა პეტრიწი სიმკაცრით გამოძიებისთვის წერილთასა, რომელსა ჰყოფიდა; რომელი იყო ნათესავით ქართველი, სანახებთაგან სამცხესა, და ბითქირკითი, ხოლო სხვა ვინაიბა ანუ სადაიბა მი-

³ H 1823, ფ. 135r (H ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, III, გვ.226; შტრ. იჭიბ, 85-236).

⁴ ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასაღნი (ძველი საქართველო, II, 1906, გვ.2, 35-40).

სი არა საცნაურ ჩნდა, მხოლოდ ქვეუწყებებს, რომელთა ათინას იყო წორთნილი და ზედმოყენით მეცნე სიბრძნეთა მუცნებურთა, ვითარცა წამებენ ნაკვსნი მისნი, რომელნი მრავლითა სიბრძნითა სავსედ იხილებიან და ენა-ღლითობითა კეთილ-კვლევურად, რომელთაგანი ერთი არს ესე ყველაში ია, მის მიერ გარდამოყენებული ელიონთა ენისაგან ქართველთა კმასა თვის მიერ აღესნათა, ვითარცა აღმოკვირობს, რომლისა სიყვითე ფრიად არს. და ესე ნაკვსი ბოლოს დაუღვეს-ყე შემდგომად ყავშირთა, რომელი ესე აწ აღიწერა ცალკერძ კიდე მისგან ჭელითა უგლახავსითა ხუცეს-მოწინაზონისა გვერძინად უდაბნოუერთაგანი ისა ეამსა მას, ოდეს სასწავლოთა შინა ვიქცეოდი ჭელსა კვეშე ნეკრისის ეპისკოპოსისა მოძღვრისა და უფლისა ჩემისა უსამღედლოვისაა დოსითეოსისა. ქუაქ-სოფელსა თივლავეს, ქრისტეს შემდეგ ჩადე [1764 წ.]¹.

პეტრიწის ვინაობაზე ერთი საფურცლებო ცნობა შემოვიცინება აგრეთვე ბესიკის მამამ, მწერალმა ზაქარია ვაბაშვილმა. პროკლე დილოხოსის „კავშირთა“ ერთ ნუსხას (H 2235), გადაწეროს 1759 წელს ისავე მკობის მიერ, ერთდს ზაქარია მოძღვრის მინაწერი (ფ. 190 r), რომელშიც აღნიშნულია, რომ ეფრემ მკობრე მოუაფუა ითანე პეტრიწისა. როგორც ნ. მარმა გამოარკვია, ამ მინაწერის წყაროა ბაგრატ მუხრან-ბატონის პოლიმიცური თხზულება „მოთხრობა სჯულთა უღმართთა ისაბიტეთა“.

ტექსტი საინტერესოა ეფრემ მკობრისა და პეტრიწის ურთიერთობის შესასწავლად; გამოქვეყნებულია რამდენჯერმე².

„ძველსა წიგნსა შინა მთხილვან მე, ზაქარია მოძღვარსა, და მუნით გარდაამოშიწერეთ“:

მრავლით ეამითან უწინარეს ეფთვიამი და გიორგი წმიდათა მამათა მთარგმნელთასა და დავით და სტეფანე ქართველთა გვარისანი იერუსალიმს მიწიწენეს და მუნ შეემცნენეს ელითა ენამზებობასა. და პირველად მათ გარდამთარგმნეს რაოდენნივე საკვლესიონი წიგნნი ბერძულსაგან ქართულად და არაბთა ენისაგანცა საღმრთონი წიგნი გარდამოიღეს მრავლითა

შრომითა. და შემდგომად მრავლსა ეამისა აღემენა საყდარი პორტატის ლეთისმშობლსა, და მუნ შეყრბეს მრავალი ქართველი მონაზონი და მათ შორის გამოჩნდეს ეფთვიამი და გიორგი, სანატრელი მამანი. და რაოდენნიცა დავით და სტეფანეს მიერ თარგმნილი წიგნნი მწერალთა განგრევენს, ამათ განაწრფელეს და გამართეს და უმრავლესი ახლად გარდამოთარგმნეს. ამასთა შემდგომად გამოჩნდეს სამცხით ღირსნი მონაზონნი სიბა თუხარული და ეფრემ მკობრე, მოწაფე იოანე პეტრიწისა. ესე ეფრემ ფრიად აძიულსა სბა თუხარულმან თარგმანებად რაოდენთამე წიგნთა, რომელი არა თარგმნილ იყვნეს ენას ჩვენსა, და გარდაამოთარგმნა არა მარტანი დიონისი არეთოპაველისა და გრიგოლი ლეთისმეტყველსა ლავსაიკონთა, დავითის თარგმანი ორ წიგნად, სჯულს კანონი დიდი და რომელნივე ცხოვრებანი და წამებანი წმიდათანი, თოფოლონი ისტორია და თქმული კისანე მონაზონისანი. ხოლო ეფრემ იყო შავსა მთასა და ოდესმე იერუსალიმსცა³.

XVIII საუკუნის მიწურულს პეტრიწის ვინაობით დაინტერესდა ცნობილი მწიგნობარი და კალიგრაფი დავით რექტორი. მან გადაწერა ითანეს რამდენიმე ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულება, დავეოტვა საინტერესო მიზარდაფილი მიმოხილვაც, რომელიც ჩართულია სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ ნუსხაში (Q 401, ფ. 192 v). ტექსტი 1936 წელს გამოაქვეყნა ვუჯ. ბერიძემ⁴. მისი შინაარსი ასეთია:

„პეტრიწი იყო ფილოსოფოსი, ხოლო სახელითა ვიდრემე არსებითთა ითანედ წოდებული, გვარად ვიდრემე ქართველი, ქეთითი შობილთა გვართაგანი. ხოლო მე, მაღალ-კეთილ-შობილი ალექსის ძე, სრულად საშეფოისა და კახეთისა რექტორი და მოძღვარი ფილოსოფიისა და ლეთისმეტყველებისა დავით, ვვინებ ითანე პეტრიწის ფილოსოფოსისასა ნათესავით ვიდრემე საათაბაგოელსა, რომელი იქმნა შემდგომად ათონით უკმოქმედისა ქართლადეე მონაზონი, გარნამწერი.“

ესე წარიგზავნა ქართველთა მეფისა მიერ ბაგრატ პირველისა საბერძნეთად ათინად, რათა მიიღოს ენა ელინური და განისწავლოს ფილოსოფიისა და ლეთისმეტყვე-

¹ П. Исидориани, Описание древностей города Тифлиса, 1866, гл. 154—155; А. Чагарели, Сведения, I, 1886, гл. 61—62; ი. გორდანი, ქრონიკები, I, 1892, გვ. 224—225; Н. Марр, 124 книга царства Баграта (ИНАН), 1899, X, № 2, гл. 233—244; ითანე პეტრიწის შრომები, I, 1940, гл. LXXVI—LXXVII; H ფონდის „ხელნაწერთა აღწერაობა“, V, гл. 172—173.

² ვ. ბერიძე, დავით რექტორი—ლექსიკონის სანა ორბელიანის ვამერტლებული (მსუ შრომები, I, 1936, გვ. 324—325).

ლებსა სწავლის მიღებათა შინა. ხოლო ესოდენ განსწავლულ იქმნა და ფრიად ზედმოწეწილ პლატონურთა ღვთისმეტყველებათა და არისტოტელისთა ფილოსოფოსობათა, რომელ მუნცარჩეულ იქმნა ესეოდენ, რომელ ოცდაათთა წელთა შინა ბერძენთა სამეფოსა ქალაქსა კოსტანტინოპოლეს შინა (ესე იგი ვიზანტიასა) მოძღვრად დაიდგინა.

შემდგომად კოსტანტინოპოლით ქართლიდევ მოქცევსა იოანესსა იქმნა კრება ხალხიონისა დიოსკორესზე მწვალებელსა აღქსანდრიელთა პატრიარხისა. და მამუნ უცყე განდგენ სომეხნი მართლსა სარწმუნოებისაგან და აღიარეს ერთი ბუნება, და ერთი მოქმედება და ერთი ნება ქრისტეს შორის, ეგრეთვე ხაზეყარი. უცომოა და უწულოდ შეწირვაჲ.

ამას უცყე იოანეს ათინას, აკადემიასა შინა უწოდეს პეტრიწი. პეტრ რომელი ითქმის ქედ და მარკელი ქვემოზე მფხველად გამოითარგმანების. ჩვეულება იყო იტყელთა მოძღვართა ფილოსოფოსთაგან არსებითისა სახელის გარდა სხვისაცა ზედმეტრელისა სახელისა წოდება აკადემიითაგან; და ენათგან ესე იოანე იყო წერილთა ფრიად მხარეკელ, ამისთვის უწოდეს პეტრიწად, ესე იგი ქვის მფხველად.

ამანვე იოანემ ქართველთა შორის შემოიღო უღლელება ზნისა, ამანვე — მეთაობელი ზნისა, სახელ-ზნისა და მიმღობისანი; ესევე არს ქართველთა ენასა ზედა ლექსთა დამკვეცისა შემომღებელი.

ხოლო ჩემისა უცყე ცნობისებრ, რომელი მე უცყე მიზლენ და წარმითხვან, არიან წერბილი უცყე ოთხნი ქართველთა კმსა ზედა მისგან გარმოდებულნი და ქმნილი ქალღვლთა ენისაგან:

1. ძველი კავშირნი პლატონურ იღვთისმეტყველებებისანი, პროკლე დიადოხოსისაგან ქმნილი, და ამისაგან შექმნილი განმარტება;
2. იოანე სინელისაგან ჟღერმაქსო (რომელ არს ოცდაათი ეთერი) თვისსა შეწერიას ენასა ზედა ქმნილი, სხოლასტიკოსად ზედწოდებული.
3. ესევე ჟღერმაქსივეფი, დაღექსილი იტოკოდ და აკროსტიკოსად კიდურწერილობით;

4. სათვეო სვინაქსარი: ევესი თვე — შეწინებულ დღეებში, რომელსა ეწოდებენ პროლოია; სხამი თვე — მცხეთის კათოლიკოსის ბულემიონის ძისაგან ქმნილი, ხოლო სამი თვე — ბაგარტივანის მეფის იესუ ძის, მცხეთის კათოლიკოს ანტონისაგან ქმნილი, რომელ შესრულდება ათორმეტს თვედ. მე პეტრიწისა ესე ოთხნი მიზილენ და ეგებები, თუ პპოებს ვინმე, სხვადა იყოს წერილი მისგან ქმნილი.

ათინას შინა იოანეს თინა-მოწვევნი იყვნეს სომეხნი: დავით უძლველი ფილოსოფოსი, რომელმან შექმნა წიგნი საზღვრისა პირანელთა მიმართ, და მეორე — მსოფ ხორანელი, და ამან შექმნა ლექსიკონი.

მეხუთე წიგნიცა არს იმევე იოანესაგან ელენურადმ გარდმოთარგმნილი — ნემესიოს, ხოლო ვიეთნივე იტყვიან წიგნისა იოსიპოსისასა ამის იოანესგან ნათარგმნსა ელენურიდამ.

დასსარტულ, პეტრიწის ბიოგრაფიული ცნობები გვიანდერძა ი. ბაგარტივანმა. მან ეს ცნობები შეიტანა „კალმასობაში სათაურით: „თვის მამისა იოანე ფილოსოფოსისა და ზედწოდებთ პეტრიწისა-ქიმიკელისა“. ტექსტი გამოქვეყნა 1909 წელს ე. თაყაიშვილმა. შემდეგ კ. კეკელიძემ და ა. ბარამიძემ. იოანე ბაგარტიონი წერს:

„იოანე ქიმიკელი. ფილოსოფოსი და ზედწოდებთ პეტრიწი, ესე იყო გურიით, ერთობასა შინა მეფობისასა. და შეფუთავან ვიჯავანა თინას და მუნ მიიღო ბუნაურობისა და ბუნებითი ხელეგნება; ისწავა მათემატიკა, ასტრონომია და ასტროლოგია. და ოდეს დასრულა სწავლანი, მაშინ მიიყვანეს მოძღვართა მისთა და უჩვენეს ცოხისა კედელთა ზედა დაწვერილი ძველთა ფილოსოფოსთაგან თქმულნი მასრები, რომელმანც უცყეთს ვანმარტან თვისთა მოძღვართა ზედა და უცყეთს ნათლად აღმოუჩინა, და ამის მოზეზისათვის სახელსდგეს პეტრიწად (რომელ არს ქვის მფხველელი). და მერე დასესს სკამსა ზედა, შეუსხდენ მხრითა მოძღვარნი თვისნი და ესრეთ გარე მოვლეს ადგილი იგი.

⁷ მთავრ უწყება ქართველთა შერალოთის, ძველი საქართველო, I, 1909, გვ. 3, გვ. 14—15; იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, 1948, გვ. 174—175. მისი შეცნობილი ღირებულება განხილულია გ. ნუციბიძის (ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, გვ. 394—395).

ეს იოანე იუს გინება-მაღალი და დიდი ღვთისმეტყველ-
ფილოსოფოსი, ზედმიწევნითი ბერძულსა და ქართულსა ენა-
სა ზედა; რომელმანცა თარგმნა სხა ხარებთა
თარგმანნი, ლუკასი და მარკოზისა თავნი,
კლემაქსი, კავშირი ღვთისმეტყველებითი
და სხვანი მრავალნი საღმრთონი წე-
რილი, დიონისის არიოპაგელის ღვთის-
მეტყველება. ამან შეაწიო ბერძენთ ვერზედ იმბიკო
ქართულად და იმეკლინება შემოკლებად ქართულსა
ენისა მსავსად ელინურთა ენისა. და მრავალი კეთილ-
ნი სწავლანი დაეწა ერთა შორის. და მრავალნი
წმიდათა ცხოვრებანი გარდამოიღო. და კე-
თილისა ცხოვრებითა განელო წულნი თვისნი...

ამან ქეფრე მცირე მანა აღზარდა სწავ-
ლასა შინა ქართლისა ენისასა იოანე
ფილოსოფოსი და ასწავა ბერძული, რომელიცა
წართავნა მფეთიან ათნის კვალად სწავლისათვის
იონე...

როგორც აღვნიშნეთ, პეტრიწის ბიოგრაფიით დაინტერესება გამოიწვია
იმ გარემოებამ, რომ მისმა ფილოსოფიურმა მოძღვრებამ დიდი გე-
ლენა მოახდინა XVIII საუკუნის ქართულ აზროვნებაზე; შეერლიბა-
ში დამკვიდრდა პეტრიწული სტილი და პეტრიწის კულტი; მოღაღ იქ-
ცა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებების წერა, თარგმნა, კო-
თხეა და შესწავლა. იმდროინდელ საეკლესიო შერჩეულს აინტერესებ-
დათ თითქმის იგივე საკითხები, რომლებსაც იცლევდნენ XI—XII
საუკუნეებში ვფრემ მცირე, პეტრიწი და იუსთოვლი. ფილოსოფია-
ში პეტრიწისადმი მიბაძვა ასეთსევე სავალდებულო ნორმად იქცა, რო-
გორც პოეზიაში — რუსთაველისადმი მიბაძვა. ანტონ ბაგრატიონი პეტ-
რიწს უწოდებდა „საღმრთო იოანეს“ და „საღმრთო ფილოსოფოსს“,
იგი „წუთობისიტყვიანთა“ ასე ამკობდა მას (სტრ. 737—738; 741):

შენ ფილოსოფოსი საზარიალ რვეფოლა,
ამდ ეთარაშვი; არა თუ იდენ ნიჭნი
იწინ ვანყოფი, არამედ შინაზნიცა,
მყოფად და ქმნილად ზედმიწევნულზე კმალა,
ამისთვის ხარ შენ კვეშარიტ ფილოსოფოს.

„სტრიწისთვის კეთილ-განთავსებულად
სტრიწოლით კვეშარიტო გარდამოცხა;
დიდიხისზე პრიკეს ვანკარაქები;
ვით იგი პლატონს ენკავა, იონე,
ეფფერ შენ პრიკეს ედიდოზე ღობსა...“

იოანესი ბრწყინვან ღვთინ შინანი,
წაკორტყვიან, მწიფენ ხლინი ხანნი,
ღვთინ სულწელთა მისნი შრომანი,
მისნი დამსხვანი დის-კარნიონანი,
სამაღლით სხეთა ზუხს, უვლად ციანი.

იგივე ანტონი მხითარ სებასტიელის „პეტრიკის“ ქართულ რე-
დაქციაში აღნიშნავდა:

პეტრიწისა ვაგრი წერილსა განმკვიცვებს,
ენა-წუთობისა მისისა სიზარევე განმკვიცვებს;
აღაქვთა მისთა მახარებს შევნიერ-წუთობლესა,
მეტრს ქებად მისი მაღალ-ღვთის-წუთობლესა*.

XVIII საუკუნის სხვა მწერლები და ვალაშვილი იოანეს უწოდებ-
დნენ „ქართველთა მზეს“, „უვლად ბრძენს“, „ენისა ჩვენისა მამზეს“,
„დიდ იოანეს“, „პლატონურ ფილოსოფოსს“ ან „პლატონის
თანამოსყდრეს“. წერდნენ: პეტრიწის ნაწერები „შევიერ ღვთის-
წუთობითა ათრობს მსმენელთა, მგერა ფრიალ ღრიფოსი“...

პეტრიწი ადიდებდნენ იოანეს, როგორც შეუდარებელ ფილოსოფოსს.
დიმიტრი ორბელიანი ამბობდა: ქეთევან დედოფლის ღვაწლთა აღსა-
წერად უნდა დასხდნენ შთაშობელი, სინელი და პეტრიწი, რა-
თა მათ „მოკლე სიტყვითი შეაშკვერონ ვრქელი ტანჯა მრავალფერად“¹⁶,
ხოლო რველად შეთხზულ ღვთისმეტყველნი შენიშნავდა: პეტრიწი მამუცა გურამი-
შვილი „პეტრიწატელთ მოსიბრძნულად“ და „სამაზ-თქმულად“ გვი-
წონოს პეტრიწის ვინაობას¹⁷.

ამგვარი ვითარებანი, ცხადია, ზემოსხენებულ მწერლებს პეტრი-
წის გარშემო ბევრი წერილობითი ცნობა უნდა ჰქონოდათ ხელი. არც
ისა გამოირიცხებოდა, რომ მათ ვენებოდათ ზეპირსიტყვიერი მასალებიც.

* S ფონის „ხელნაწილი აღწერილობა“, I, გვ. 207.

¹⁶ იქვე, გვ. 209.

¹⁷ ქუთაისის ისტორიულ-ენოგრაფიული მუზეუმის „ხელნაწილი აღწერილობა“, II, გვ. 273—274.

¹⁸ ვიკრიცე ივლიშვილის კრებული (S 303, გვ. 163; S ფონის „ხელნაწილი აღწერილობა“, I, გვ. 351—352).

რომელთა ცვალი ამჟამად შეიშინევა XVIII—XIX საუკუნეების მი-
წახე შეხებულ ტრადიციულ ვაღმოცემებში.

უპირველესად აღსანიშნავია დავით რექტორისა და იოანე ბაგრა-
ტიონის მიმოხილვანი, რომლებშიც საყურადღებო ბიოგრაფიულ დე-
ტალებთან ერთად დაცულია ზოგიერთი მცდარი ცნობაც. დავით რექ-
ტორი ერთმანეთში ურავს რამდენიმე ისტორიულ ფაქტს: პეტრიწი,
XI—XII საუკუნეების მწერალი, მას მიანიხი ბაგრატ პირველის (IX
საუკუნის მეორე ნახევარი) თანამედროვედ, ან V—VI საუკუნეების
მოღვაწედ, ხოლო მის მოწაფეებად აცხადებს დავით უძვეველს
(VI ს.) და მისე ხორენელს (VIII ს.); ან კიდევ: ქალაქლონის საეკლესიო
კრება, რომელიც მოხდა 451 წელს, ვაღმოაქვს პეტრიწის ეპოქაში.
დავით რექტორს პეტრიწის ვინაობა და მისი მოღვაწეობის დრო გარ-
კვეული არ ჰქონია. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია ჟერ-
კიდევ 1879 წელს ზ. ტიშინაძეს, რომელსაც ხელთ უნდა ჰქონოდა პეტ-
რიწის რექტორისეული ბიოგრაფია. ვალექსილი „კლემენტის“ ერთ-
ერთ ხელნაწერში ეხვდებით მის მიწაწერს: „საქართველოს ისტორიულ
წერალებში იოანე პატერიწს (sic) იხსენიებენ მეექვსე საუკუნეში,
ამავე სახელწოდებით და იმავე მოქმედებით ასახელებენ მეთერთმე-
ტრე საუკუნის დასასრულსაც. ასევეა არცულ-დარეული შემდეგი
დროის ახალს ისტორიულ წიგნებში, მაგრამ ეკვი არ უნდა გვიქონდეს,
რომ იოანე პატერიწი (sic) მეთერთმეტე საუკუნეში იყო და არა მე-
ექვსეში“¹².

საკვირველია, რატომ უნდა მიერწიათ დავით აღმაშენებლის თანა-
მედროვე იოანე მეექვსე საუკუნის მოღვაწედ?.. აღბათ, რექტორს
ერთმანეთში აერია ორი იოანე: პეტრე იბერიელის მოძღვარი იოანე
ლაზი, რომელიც მართლაც V—VI საუკუნეების მიწახე მოღვაწეობდა,
და იოანე პეტრიწი, სხვა მხრივ რექტორის ცნობები დიდ ინტერესს
იწვევენ მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მათი წყაროება ჩვენთვის უც-
ნობაა.

ანალიტიური ვითარება გვაქვს იოანე ბაგრატიონის მიმოხილვაშიც.
აქ ლეგენდური იერი ვაღაპრავს თხრობას იოანეს ზედწოდების შერქ-
მევის შესახებ. სხვა ცნობები XVIII საუკუნის ტრადიციული ვაღმო-
ცემების ვამოარებებს წარმოადგენს და მათი გამოყენება ძველ წყარო-

ებთან შეპირისპირებით დასაშვებია. ეს იოქმის განსაკუთრებით იმ ცნო-
ბებზე, რომლებიც მომდინარეობენ ანტონის ნაწერებრიდან. საერთოდ
ქი, როგორც ქვევით დავინახავთ, ტრადიციული ცნობების ძირითადი
ნაწილი უტყირფხასვია პეტრიწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესას-
წავლად. ძველ წყაროებთან მისი შეპირისპირება ვეკმუტრანლად არ-
კვეს დავით აღმაშენებლის ეპოქის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს სა-
კითხს. ამიტომ ვინც დაინტერესდება პეტრიწის ნაწერების შესწავლით
და შევადება დაახუტოს ან გამოაყლინოს მისი ცხოვრების უცნობი
ოქ ნაქლებად შესწავლილი მხარეები ან დაკარგულად მიჩნეული თხზუ-
ლებანი, ის ვვერდს ვერ აეუვლს XVIII საუკუნის ტრადიციულ ცნო-
ბებს, განსაკუთრებით კი ანტონ ბაგრატიონის ბიოგრაფიულ მიმოხილ-
ვას — „იოანესთვის პეტრიწისა ფილოსოფოსისა“, რომელიც ვველაზე
სანდო წყაროს წარმოადგენს პეტრიწის სალიტერატურო შემკვიდრეო-
ბის სისრულით გათვალისწინებისათვის.

¹² S 130. მიწაწერი I ყდის V ვვერდზე (შდრ.: S დონდის „ხელნაწერთა აღწე-
რილობა“, I, გვ. 137—139). ეს მოსახრება ზ. ტიშინაძეს ვამოვირა 1887
წელსაც (ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 32). შდრ.: პ. იოსელი-
ანის შენიშვნა: „იოანე პეტრიწი მცხეთაზედა 1120 წელს და არა მეექვსესა საუკუნე-
სა, ვითარცა ჰკინებენ რომელნიმე“ (ანტონ ბაგრატიონის, წყობილო-
ტყეობა, გვ. 253; შენიშვნა 136).

მოთხრობილი ყოფილა დავით აღმაშენებლისა და მისი ძის დიმიტრის „ღიდებთა, სიმწიხთა და გუარითა ცხოვრება“ (გვ. 3); შველხზავს თექვსმეტმარცვლოვანი ლექსიც „თუ თალი მილისველმან“ (გვ. 113—114). სხვა ცნობების მიხედვით, მსგევე აღადგულა კმისაგან (მერანდული ენიდან, — ა. ლ.) სპანთ მოსახლეულ ქველ (ქართულ ენაზე, — ა. ლ.) ვარდამოულია შუა საუკუნეების ცნობილი თეოლოგის თეოდოსიუს ბუგაჩარელის (გარდაიცვ. 1107 წ.) თარგმანება სახარებათა, რომლისგან გამოთ სივეს ვადაპარნია მხოლოდ მარკოზის, ლუკასა და იოანეს თავთა განმარტებანი (მათეს სახარების თარგმანება დეარბულია)? კ. აკველიძის მოსაზრებით, კიმქიმელს უთარგმნია მიტროფანე სმირნელის თარგმანება ეკლესიასტისა და ოლიმპიოდორის ამავე ხსიათის ნაშრომიც.

დასახელებული თხზულებებით კიმქიმელს დიდი წვლილი დანდგია ქართული ფილოსოფიური, ისტორიის და ბიბლიოგრაფიკული მწერლობის განვითარებაში. მას შეეღალ კარგი სახელი ქართული მოღვაწეული: გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად დანახატეთ იგრულისა ჯერის მონასტრის ეკლესია; ქართველ წმიდთა და მოწამეთა შორის სხატა გვირგვინითა და შარავანდელი მოსილი „ლირის მამა იოანე კიმქიმელი, ქართველი და ფილოსოფოსა“, — ამბობს ტიმოთე გაბაშვილი⁷.

შედეგები ამ ფილოსოფოსის ვინაობაზე სხვადასხვა მოსაზრებას გამოსთქვამენ. ნ. მარა⁸, მ. ჯანაშიელი⁹, ს. ვორობე¹⁰ და კ. აკველიძე¹¹ ფიქრობდნენ, რომ კიმქიმელი არის იოანე ფილოსოფოსი პეტროფი; 1916 წელს ი. ჯავახიშვილმა შენიშნა: კიმქიმელი თამარისონიანდელი მოღვაწეა, რაც ირკვევა იქიდან, რომ „ისტორიათა და აზმათა ტექსტის“ დართული იქვს არსენის, იოანე კიმქიმელისა და დავითის მიერ თამარ მეფის დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვების ნიმუშ-

ბი¹². 1920 წელს ეს მოსაზრება განავითარა კ. აკველიძემ: რაკი კიმქიმელს თამარის დაკრძალვაზე (1213 წ.) სიტყვა წარმოთქვამს, ცხადია, ის ვიორგი III-ისა (1156—1184) და თამარ მეფის (1184—1213) თანამედროვეა. ამიტომ არ შეიძლება ის ეცნოთ იოანე პეტრიწელს. კიმქიმელი და პეტრიწი სხვადასხვა პირი და სხვადასხვა ეპოქის მოღვაწეები არიან¹³.

კიმქიმელსა და პეტრიწს სხვადასხვა პირად აღიარებენ აგრეთვე თ. ეორდანი და პ. ინგოროცა, ოღონდ შენიშობენ, რომ კიმქიმელი დიმიტრი მეფის თანამედროვეა¹⁴.

1950 წელს ეს საკითხი ჩვენ შევისწავლეთ და გამოვარკვეეთ, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ბოლოს დართული ტექსტი („არსენი იტყვს იოანე ნელი... იოანე იტყვს პიოტიმელი“), რომელიც ი. ჯავახიშვილსა და კ. აკველიძეს მოანდით თამარ მეფის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვების ნაწიეებტად, შეიცავს თალოთოლის იამბიოს „მეფე მთავარ“ და კიმქიმელის ლექსს „თუ თალი მილისველმან“¹⁵. ამან ექვის ქვეშ დააყენა კ. აკველიძის მტკიცება — კიმქიმელი თამარისდროინდელი მოღვაწეა, მაგრამ შევლევარმა მინე ძალიმ დატოვა იგი, ჩვენი მისამართით კი აღნიშნა: „პიოთეზური მოსაზრებით შევლის პირდაპირი ჩვენების უარყოფა მართებული არაა“¹⁶, მაგრამ „აზმათა ტექსტში არსად არაა მითითებაც კი, რომ კიმქიმელსა თამარ მეფის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვია. ეს ი. ჯავახიშვილსა და კ. აკველიძის ვარაუდი და, რა თქმა უნდა, „შეგლის პირდაპირ ჩვენებაზე“ ლაპარაკი უმართებულა. კატეგორიულად უნდა თქვას: „ისტორიანი და აზმათა“, როგორც წყარო, არ გამოდგება კიმქიმელის ცხოვრება-მოღვაწეობის ქრონოლოგიის დასადგენად. საამისოდ საჭიროა სხვა წყაროებისა და წინამძღვრების მოშველიება. აი ესენიც:

1. XVIII—XIX საუკუნეების მწერლები ანტონ ბაგრატიონი, გერმანე მონაზონი, დავით რეკტორი და იოანე ბაგრატიონი ერთხმად იუწყებიან, რომ იოანე ფილოსოფოსი კიმქიმელი და იოანე ფილოსოფოსი პეტრიწი ერთი და იგივე პირია. წერენ: „თეს მამისა იოანე ფილოსოფო-

⁷ A 52, 102, 113.

⁸ კ. აკველიძე, თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ზეკრნელ მიტროპოსისა, 1920, გვ. LV—LXVI; კ. აკველიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 317.

⁹ ტ. ჯავახიშვილი, შიშლიძე, ელ. პეტრეაძე და რეპალიძე, 1956, გვ. 85—86.

¹⁰ H. Марр, Иоганн Петровский..., 1909, გვ. 3.

¹¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული მწერლობა, II, 1909, გვ. V—XVI.

¹² ნ. მარა, ენციკლოპედია ბენედიქტინის კლასის სტორიების რეპალიძე, 1914, გვ. VIII—XV.

¹³ კ. აკველიძე, იოანე პეტრიწის სალიტერატურო მოღვაწეობიდან, პრაიმო-პია, 1918, № 1, გვ. 62—70.

¹⁴ ი. ჯავახიშვილი, ძე. ქართ. ისტორია, 1945, გვ. 224.

¹⁵ თარგმანება ეკლესიასტის, გვ. LXI; კ. აკველიძე, ქლო, I, 1923, გვ. 323—324; 1941, გვ. 292—293.

¹⁶ თ. ეორდანი, ქრონიკები, I, გვ. 302; პ. ინგოროცა, თხზულებანი, I, გვ. 820.

¹⁷ გი. ალტერატორი და ხელოვნება, 1950, № 35.

¹⁸ კ. აკველიძე, ძე. ქართ. მწერ. ისტორია, I, 1951, გვ. 296—297; მისევე, ქართ. ლიტ. ისტ., I, 1960, გვ. 317.

სისა პეტრიწისა-პიტკიმელსა¹⁴ (ანტონი... იოანე კიმკიმელი, ფილოსოფოსი და ზედღვინებით პეტრიწო¹⁵ (იოანე ბაგრატიანი). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ტრადიციას საფუძვლად დაედო რაღაც ძველი ლიტურგიატურული წყარო, რომელიც XVIII საუკუნეში არსებობდა, დღეს კი დაკარგულია.

2. „კიმკიმელი“, საბა ობობლიანის განმარტებით, „ესე არს არიას ცა მუხთუფ“. იგი ეწოდება პატრიას თვალსა: „ვთხოვ შენგან თვალსა პატრიასნასა, მფარველ — ჳ ი მ ჳ ი მ ჳ ე ლ ს ა, მესამელ — კიმკიმელსა“ (A 153, გვ. 293რ; შტრ.: საბა — „სომოქ თვალსა კიმკიმელი და კიმკიმელი“). 6. მარის მისაზრებით, „კიმკიმელი ნიშნავს ზ ე ე ი ვ რ ს“ (გვ. 4). ამასვე აღნიშნავს ს. გორგაძეც (გვ. VIII). ვამოძიებ, რომ იოანეს პრქმეცია „ზეციერო“ (შტრ.: ზღაპრის პერსონაჟი—იოანე ციკარო). თვით სიტყვა ნიწარმოებითა გაორკეცებული ფუძიდან — „კიმკ-კიმ“ (შტრ.: კიმ-კიმ, კიმ-კიმ) და შეიძლება მნიშვნელობით დაკავშირებული იყოს ზნისთან „კიმე“. საბა წერს: „ჳ ი მ ჳ ი მ ჳ ი — წერლად ჳრელ“. ეს მნიშვნელობა ძველ ქართულ ტექსტებში ვერ ვნახეთ, სიტყვის ეტიმოლოგიაც ჩვენთვის აუსხნელია. სამაგარიოდ ვარკვევთ, რომ „კიმკიმელი“ სადატურობის აღმნიშვნელი სიტყვაა, რომელიც დაკავშირებულია გეოგრაფიულ სახელთან „კიმკიმო“ (იგივე „პიტკიმო“).

გერმანე მონაზონის ცნობით, იოანე ფილოსოფოსი იყო „სასახენ-თაგან სამცხისა, დაბით ჳ ი რ ჳ ი მ ი თ“. ძველ ტრადიციას რომ კიმკიმელს სამცხიდან წარმოშობილად მიიჩნევს, შემიძებვევით არ არის, კიმკიმელები ცხოვრობდნენ სამცხეში. 1949 წელს ე. თაყაიშვილმა პირად საუბარში მიიხსნა და ერთ-ერთი საქარო ლეგენდამაც გამეორა, რომ: „აღბა-სოფელ კიმკიმო მდებარეობს ტაშიში, იზნის სამუხიაროში (სამამასახლოსში). იქ ორის კომლამდე მცხოვრებელია. ვეუღა ქართულად ლაპარაკობს, თვინათ თავს ისინი კიმკიმელებს უწოდებენ. უწინ კიმკიმო საერისთავო სოფელი იყო“. ამ მნიშვნელოვან ცნობას ამტკიცებს ზედა მოთვლის გელსისის ერთი წარწერა, რომელიც დაახლოებით XI საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. აქ ვკითხულობთ: „ქრისტეტ, შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთერისთავისა — თიანეს ძისა კიმკიმელისა“¹⁶. თ. ეორდანიას კი, გვერდწერილის მოსაზრებით, აქ მოხსენებული ფარსმან იოანეს ძე კიმკიმელი უნდა იყოს XI საუკუნის ცნობილი ფეოდალი ფარსმან თმოგველი, რომელიც ბაგრატ

მეოთხეს (1027—1072) განუღვა ლიპარიტ ორბელიანის წინააღმდეგ ბრძოლებში 1044—1045 წლებში¹⁷. ეს თმოგველი მოხსენიებულია ათონის ივერიის მონასტრის აღბამშიც: „თუესა ივლისსა, 8. წმიდისა პროკოპის აღბად განაწყვესებია ფარსმან თმოგველისადა. ყოველითა მოსწრაფებითა აღსურულემოდენ, რამეთუ მრავალი წყალობანი ქმნა ჩუნ ზედა წმინდელ ბეგრატ აფხაზთა მეფისა“¹⁸. აქედან ირკვევა, რომ ბაგრატის წინააღმდეგ მებრძოლი ფარსმანი შემდეგში მკვლე შეპირებება. იგი უნდა გარდაცვლიყო 1073 წლის ახლო ხანაში¹⁹, რადგანაც ამ დროს თმოგვის მფლობელობა გადაეცა ნიანთა ქვაბულის ძეს²⁰.

ამრიგად, ტრადიციურ და ისტორიულ ცნობებს შევხირსობირებით ირკვევა შემდეგი: „კიმკიმელი“ ნიშნავს სოფ. კიმკიმის მცოდნის; ზედა-თმოგვის მფლობელი — იოანე და მისი ძე ვიფიქრობს (ან მათი ნაჳარები) თმოგველ მოსულს კიმკიმელს. უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ შეიძლება იოანე ფილოსოფოს „კიმკიმელს თმოგველ კიმკიმელებთან რაიმე ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა. ვინ იქნის, იქნებ იოანე თმოგველი იყო პაპა ჩვენი ფილოსოფოსისა?

3. იოანე კიმკიმელი რომ XI—XII საუკუნეების მიჯნავ მოღვაწეობდა, ეს ირკვევა დღევანდურადაც: ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდში აღმოჩნდა თვითღიატე ბულგარელის თხზულების („იოანეს სახატების განმარტების“) ფრაგმენტ (№ 1090 დ), რომელიც თარიღდება XI საუკუნის მიწურულთ (თუ XII საუკუნის დასაწყისით). თვითღიატე 1071—1078 წლებში მოღვაწეობდა ბიზანტიის სამეფო კარზე და ზბრელა წმინდერეს. აქ მან ლიდად ვითუცა სახელი ორატორული მოძღვრებითა და ვეზუგეტურა შრომებით. 1078 წელს ის ვაშწესეს ახალიის მთავარეპისკოპოსად ბულგარეთში, სადაც სიყვითლამდე (1107 წლამდე) ერთგულად იღწეოდა მისდამი რწმუნებული სამწიფოს საყეთილდუოდ. ვეზუგეტურა შრომა,სასარებათა თარგმანება თვითღიატეს დაწერა ბიზანტიის დღოფელს მარიაშის დავლებით სწორად იმ დროს, როდესაც იგი სამეფო კარზე მოღვაწეობდა²¹. ამის შესახებ შემონახულია ცნობა „იოანეს სახატების განმარტე-

¹⁴ თ. ეორდანიას, ჳირიებთ, I, გვ. 206—207; რ. გვერდწერიას, ჳ ზედა-თმოგვის გელსის წარწერება (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV — B, 1947, გვ. 241—242).

¹⁵ ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 298; ი. გ. ე. ხ. ხ. გ. ე. ლ. ი. ჳირიებთ, II, 1913, გვ. 426.
¹⁶ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღბამი, 1901, გვ. 238—239.
¹⁷ ჳ ე ი ს ა რ ა მ ჳ ე ლ ი, ციხე-ქალაქი თმოგვი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—B, 1956, გვ. 100.
¹⁸ ქართლის ცხოვრება, I, 25, 316.
¹⁹ K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, I, გვ. 133.
²⁰ შტრ.: Г. Г. Литаврин, Болгария и Византия в XI—XII вв., М., 1960, გვ. 351—375.

ბის ქართულ თარგმანში: „თეოფილაქტე წმიდისა მთავარ-ეპისკოპოსისა ველაირისა განმარტება იოანის თავისა წმიდისა ქრისტეს სახარებისა, ნამუშავენი მისი ბრძანებისაჲბერ მარადის საყვანებელისა დედოფლისა უფალა მარამისა“²⁰.

„სახარებათა განმარტება“ ქართულად, ალბათ, ითარგმნა XI საუკუნის მიწურულს, 1078 წლის შემდეგ XII საუკუნის დასაწყისამდე, რადგანაც თარგმნის თეოფილაქტე ბულგარეთის მთავარ ეპისკოპოსად იხსენიება, ხოლო თხზულების ზემოხსენებული ფრავენტო თარიღდება არა უფროდ XII საუკუნის დასაწყისით. მაშასადამე, თეოფილაქტეს შრომის მთარგმნელი ყოფილა XI—XII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე მწერალი. კითხვა ისმის: ვინ არის ეს მწერალი? — კ. კეკელიძე 1918 წელს ფიქრობდა, რომ იგი არის იოანე პეტრიწი-კომპიშელი²¹, მაგრამ ორი წლის შემდეგ ეს მოსაზრება უარყო: კომპიშელისთვის „შეიძლება მიგვეკითხება თეოფილაქტე ბულგარელის თარგმანებზე იოანეს სახარებისაჲც, რომელიც ერთადერთი ხელნაწერით შენახულა, რომ ერთი ვარაუდობა არ იყოს: ვალდომობა თარგმნელი ამ უკანასკნელი თხზულებისა ზნათა მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირობი ხშირად ხმარობს ნაწილს უფიქროსი უკლობელს შრომებში არ ვხვდებთ“²². ქრ. შარაშიძემ ფრავენტოს ბიოგრაფიას დასძინა: „იოანეს სახარების თარგმანება არ უნდა იყოს ვალდებული იოანე კომპიშელის მიერ“, რადგანაც მისი ფრავენტო XI საუკუნით თარიღდება²³. ეს მოსაზრება სწორი იქნებოდა, თუ კომპიშელს თამბარისდრინდელ მოღვაწედ ჩავთვლიდით, მაგრამ რაკ ფრავენტო XI საუკუნისაა, ხოლო „სახარებათა განმარტება“ მთარგმნელი კომპიშელი, ცხადია, ეს უკანასკნელი ყოფილა XI—XII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე მწერალი და „იოანეს სახარების განმარტება“ მასე უთარგმნა.

4. თეოფილაქტე ბულგარელის „სახარებათა თარგმანება“ ტექნიკურად აგებულია ამგვარად: მოყვანილია ოთხთავის რომელიმე მუხლი ან ეპიზოდი და თითოეულ მათგანს მისდევს განმარტება. კომპიშელს განსამარტებ ტექსტებს უნდა აეღო სახარების კანონიკური ქართული თარგმანი, რომელიც ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელს, და ბერძნულიდან ქართულად ვთარგმნა მხოლოდ თეოფილაქტეს კომენტარები, მაგრამ

მას უთარგმნა ასეთი ზნა. იოანეს გიორგის თარგმანი შეუღარება ბერძნული დედინათვის და მასთან დაახლოების მიზნით ტექსტი არსებითად შეუსწორებია. თუ ჩვენ „სახარებათა თარგმანებიდან“ თანმიმდევრებით ამოვკრებთ ოთხთავის მუხლებს და მათ შევადრებთ, აღვადგენთ მარკოზს, ლუკას და იოანეს სახარებათა ახალ (ორიგინალურ) რედაქციას, რომელიც წინა თარგმანებისაგან არსებითად განსხვავდება, თუ ფაქტი ფრად საყურადღებოა კომპიშელის მთარგმნლობითი მეთოდის შესასწავლად და საერთოდ ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანების ისტორიისათვის. კომპიშელს ოთხთავის შესწორების (თუ თარგმნის) უფლება არა ჰქონდა, რადგანაც გიორგის თარგმანი კანონიკურად იყო აღიარებული. გიორგი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის დიდი ავტორიტეტი იყო და მისი თარგმანის დაწვენება შეიძლება ეკლესიის მესვეურთ მწვალებლობად მიეჩნიათ, მიწურბარი კი საშვერლო ასპარეზოდას ვაღივანათ. მაგრამ კომპიშელი ამ მოსალოდნელ უსამოვნებს არ მოპირდებოდა და შეითხველასათვის ოთხთავის ახალი რეცენზია შეუთავაზებია.

XI—XII საუკუნეებში ერთადერთი მწერალი, რომელიც საღმრთო წერილთა მთარგმნელს (საგანგებოდ კი გიორგი მთაწმიდელს) შეეყრება, იყო იოანე პეტრიწი. მან მართლაც დაიწერა ოთხთავის მთავრადისეული თარგმანი და მთარგმნელი მკაცრი პოლემიკური ტონით გააკრიტიკა სახელის მოუხსენიებლად.

პეტრიწი წერს: უკანასკნელ ხანს ჩვენში გამრავლდნენ „გარდომობლებანი“ (მთარგმნელები), რომელთაგან ზნათი „უმეტარ იყვნენ“ და ზოგათ „გარამოხვევითა დიდებითისა თნებისათა წარკეთნა სამხილი უსწავლელობისაჲ“. მაგრამ ქართველთა შორის არავინ გამოჩნდა მათი „შეზილუ“ (მამობებელი), რომელიც ავრანობინებდა მათ სიტყვის მოქმედებისა და ძალის. ეს უვლახუ ვარგად „სახარებათა შინა ვანიცხადების და სამოციქულოთა“. იოანეს თავის დასაწყისით უნდა ითარგმნოს ასე: **და ს ა მ ს ა შ ო რ ი ს** იყო სიტყვა, ბველ მთარგმნელებს კი **სწარავლ მთარგმნევით**: **პ ი რ გ ე ლ ი თ ვ ა ნ** იყო სიტყვა. მათ არ იცნან, რომ „პირველი შემდგომთა არს პირველი“, არა თუ „უცხო ბუნებათა, არამედ ერთ და იგივე ბუნებათა“, როგორც მაგალითად: „ითქმის ჯაჯი კაცის პირველად და ცხენი ცხენისა; არასს თუ წინა-უცუმო, თუმცა ჯაჯი ცხენსა და ცხენი კაცისა“²⁴.

²⁰ A 52, ფ. 1.

²¹ პირობები, 1918, № 1, გვ. 62—70.

²² კ. კეკელიძე, თარგმანებზე ეკლესიისათვის, 1920, გვ. XXIV; მისივე, ქართ. ლიტ. ისტ., I, 1960, გვ. 317.

²³ A ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, IV, გვ. 55—56.

²⁴ იოანე პეტრიწის შრომები, შ. ნუცუბიძისა და ს. ყუბანიშვილის რედაქციით, II, 1937, გვ. 219 (ამ ტიტრბათა და საერთოდ მისთან დაეკრებულ სკოლების შესახებ ერთად ქვემოთ გვეყვება ლანარა).

აქ პეტრიწი ვეამთება გიორგი შაჟმშილელს. ეს უცანსელო მას შოქცეული ჰყავს შაჟმშილთა იმ ვატეგორიაში, რომელთაც განდღვების კმაყოფილებით დეზარათ თავიანთი უსწავლელობის მხილების (ე. ი. დავყარება სწევის შექმნის) სურვილი. ეს იქიდან ჩანს, რომ გიორგის მიერ თარგმნილი „იოანეს სახარება“ იწყება სწორედ იმ ფრაზით („ა ი რ ე ვ ე ლ ი თ გ ა ნ ი თ ს ი ტ ე ვ ა“), რომელსაც აკრიტიკებს პეტრიწი. ვადაშლით კიმიქიმელის „იოანეს სახარების განმარტებას“ (A 52) და პირველ ფურცელზევე ამოკითხავთ წითურად დაწერილ განამარტე ტექსტს: „შ ო რ ი ს დ ა ს ი ა ბ ა მ ს ა ი თ ს ი ტ ე ვ ა“.

პეტრიწს რომ შართლაც უარუყვია გიორგი შაჟმშილელის თარგმანი, ეს ირყევა სხვა ფაქტებითაც. როგორც უცანსელო ხანს ვაიკვია, პეტრიწის მიერ პარზალ თარგმნილ „კლემენტისა“, რომელიც შემოაღწინახეს A 39 ხელნაწერს²⁵, შარკოზისა და ლუკას სახარებათა ციტატები მოკეშებული გიორგი შაჟმშილელის თარგმანისაგან განსხვავებული რედაქციით და ეს ციტატები სიტყვა-სიტყვით ემთხვევა კიმიქიმელის რეცენზიას. ამ რამდენიმე ნიმუში:

გიორგი შაჟმშილელი: „ა ე დ ე ნ მ ე უ დ ა რ ი დ ა ფ ლ ე ა ლ თ ე ს თ ა მ ე უ დ ა რ თ ა“ (ლუკა 9, 60), „არავის შონასა ქველწიებვის ორთა უფალთა მონებად“ (ლუკა 16, 13), „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“ (მარკ. 4, 9; ლუკა 14, 35), „ყოველმან რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, იგი დაშადალდეს“ (ლუკა 14, 11; 18, 14).

იოანე პეტრიწი (A 39): „უტვევენ მკუდარნი...“ (გვ. 16), „ყურის ძალ-უც...“ (გვ. 21), „მქონებელსა ყურთასა სმენით ესმოდე“ (გვ. 145), „ამიდეველი თავისა თვისისა დამდალდეს“ (გვ. 120).

იოანე კიმიქიმელი (A 102, 113): „უტვევენ მკუდარნი...“ „არავის ძალ-უც...“ „მქონებელსა ყურთასა სმენით ესმოდე“; „ყოველი ამიდეველი თავისა დამდალდეს“.

როგორც იტყვიან, ასეთ ტექსტებზე შეხვედრებს კომენტარები არ სჭირდება. ისედაც ნათელია, რომ პეტრიწს წინ სდებია ოთხთავის სულოვარი თარგმანი და ციტატები თავის შრომებში მის მიხედვით დღემოწმებული. ეს თარგმანი ჩვენამდე მოღწეულია იოანე კიმიქიმელის სახელით.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი დავასწავნათ: იოანე ფილოსოფოსი კიმიქიმელი და იოანე პეტრიწი ერთი და იგივე პირია. „კიმიქიმელი“ იოანე ფილოსოფოსის გვარია. „პეტრიწი“ — ზედწოდება.

ამიერიდან კიმიქიმელის სახელით ცნობილ შრომებს განვიხილავთ პეტრიწის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად.

2. იოანე ტარიძისძე

დავით აღმაშენებლის ეპოქის შწერალთა შორის მველვეარნი ისენიებენ აგრეთვე ფილოსოფოს იოანე ტარიძის (თუ ტაიძის) ძეს, პართლი ნეოპლატონური ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელს. კლასიკური ხანის შწერლობაში ცნობა მის ვინაობასა და სამწერლო მოღვაწეობაზე არ მოიპოვება. სახელი „იოანე ტაიძის ძე“ პირველად გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის მიწაწერში, რომელიც დაცულია „ქართლის ცხოვრების“ რუმინაიციური ეგვიპტური ხელნაწერის კლდეზე. აქ ნათქვამია:

„ამის ვამთა შევიღენ მთარგმანებელნი წიგნთანი ეფრემ მცირე, და თეოფილე, და არსენ იფალიოელი და იოანე ტაიძის ძე. ქრისტეს აქით ქრონიკოსს ჩარიდ (1174 წ.)“²⁶.

ეს ცნობა „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთმა ვადაწერმა „დავით აღმაშენებლის ცხოვრების“ ტექსტში შერთანა და, ამრიგად, მისი სიძლის კვალი მოსპოვდა²⁷.

ანტონ ბაგრატიონმა დასახელებული შწერლები შვათაღეს ძველ-ქართველ მთარგმნელთა სიაში²⁸. მანვე ტარიძისძეს მიუძღვნა ორსტროფიანი იამბიკი:

იოანეშან, სობრეთთა შინა ღიბან,
ხედე ვაწმედილ აქუნსა მადლობაშენ
გუთარგმნის წიგნი, შეგეშო ვაქუსთა
ცხოვრება თვის მოვედა ხატულ ცხოვრების,
სწეულთა თვისთა ვაწილსა სამკულებთ.

²⁵ H 2080, გვ. 229r. მიწაწერი რომ სულხან-საბას ვეროვნის, დაეფინა ა. შარანიძემ (ნარკვევათ, III, გვ. 336). მის ტექსტში შარათულია 1115—1116 წლებში მომხდარ ანბანს შორის ამიტომ გუჯანბარი, სიდან ვანდა შაშლი ბარლი 1174 წელი. ამ ღრის დასახელებულ პირთაგან არც ერთი აღარ იყო ციცილი. ი. ვიარდისი (ქც., I, გვ. 225, 241) და კ. კეკელიძე (ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 243) ამ ბარბელს ამოიკებენ იგი. 1114 წ., შარანიძის ვანსწერის სავლობებშია 1114 წლისთვის ეფრემ მცირე ეგვიპტელის იგი, ამისგან იფალიოელი კი 1103 წლიდან საქართველოში იმყოფებოდა.

²⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334 (იხ. ტაიძის და სკოლი).

²⁷ ი. ცოტლიანი, ქრონიკები, I, გვ. 237.

²⁸ ამ ხელნაწერის შესახებ ვრცელ იხ. აქვე, გვ. 64—68.

ტაოის ძეგან იოანე-ნეტარანს
სობრანს მიუვარდღ ღმრთისმეტყველსაგან,
არტირ იუხსა, შედინარ იქვეამოქოქა,
აიბოტანს ღმრთი შედინარ-მხედელსა,
სწულა ვამდინა, ქართულნი აღუაფანა.

ამ იამბიკოს შინაარსი ვაიმეორა იოანე ბაგრატიონმა, თან ტარი-
ქისძის ბიოგრაფის თვის მხრით მიუძმატა რამდენიმე ახალი დეტალი:
„იოანე ტარიქისძე იყო ქართველი აზნაურთაგანი. ამან სურმესავე
შინა ისწავა ფილოსოფია და ლეთისმეტყველება და ენა ბერძენთა, რო-
მელმანც მრავალნი საღმრთო წერილინი ვარდამოიღო ქართულსა ენა-
სა ზედას“.

ეს ცნობები შეავსო და გააფართოვა პ. იოსელიანმა. ამავე გენსაზ-
ვრა იოანეს ცხოვრების დრო და აღწესა მის მიერ თარგმნილი თხზუ-
ლებანიც: „იოანე ტარიქისძე ანუ ტარიქისძე სცხოვრებდა დავით აღ-
მაშენებლისა დროსა (1039—1130). ათონიდან მოვიდა საქართველოს
და აქენდა აქა სსწავლებელი ყრმათათვის. ამან თარგმნა ბერძენული-
დამ: 1. დიალექტიკა, 2. პორფირის შეყვანლება, 3. კატოლიკა
დამსკელისა, 4. თორმეტთა ქვათათვის ეპიფანე კვიპრელისა, 5. სავა-
ლობელინი წმიდათანი“.

XIX—XX საუკუნეების მკვლევართან ტარიქისძის ვინაობა და
მის სამწერლო მოღვაწეობას შეეხნენ ზ. კვიციანი, ა. ხახანაშვილი, დ.
ჩანაშვილი, კ. კვეციანი და გ. თაგუშვილი. პირველმა სამმა მკვლევ-
არმა (ზ. კვიციანმა, ა. ხახანაშვილმა და მ. ჩანაშვილმა) გაიძიორა
პ. იოსელიანის ცნობები. გ. თაგუშვილმა ტარიქისძე სცნო იუალითელის
მოწოდვად, ვრემის აჯადების დამაარსებლად და მის რექტორად, ხო-
ლო კ. კვეციანმა მასალების კრიტიკულად შესწავლის საფუძველზე
აღნიშნა: „არ ვიცი, საიდანა ამოღებულ ტარიქისძის ბიოგრაფიულ
ცნობები; არც ის ვიცი, თუ საიდან წარმომდინარეობს პ. იოსე-
ლიანის ცნობა,.... ვითომც იოანე ტარიქისძე საქართველოში ათონ-

დან მოვიდა, აქ დააარსა სსწავლებელი ყრმათათვის და მიმართულე-
ბით იყო ნეოპლატონიკი“ (გვ. 307—308). კ. კვეციანმა განიხილა ტა-
რიქისძის სამწერლო მემკვიდრეობაც, გამოავლინა პ. იოსელიანის შეც-
დომები; აღნიშნა: ზემოთ დასახვლებულ თხზულებათაგან არც ერთი
არც კვეციანის ტარიქისძეს. მან ვაღმოიღო ბერძენულიდან მხოლოდ ამო-
წილის ერმისის ორი თხზულება: „მოსასწენებელი ხუთთა ეჭმათიმი
პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსასწენებელი ათთა კატოლიკა-
თადმი არისტოტელისათა“ (გვ. 308). უცანსესელ ხას ტარიქისძის ფი-
ლოსოფიური საქმიანობა გაეკრთი განიხილა მ. ნუცუბიძემ. მან იოანე
დასახა ლოგმატიკურ-რავატიკონული ბანაყის წარმომადგენლად, რო-
მელეც თითქმის ასწავლიან ერთად იბრძოდა პეტრიწის ფილოსოფიური
სკოლის წინააღმდეგ²².

ამ პატარა ისტორიული ექსკურსტიდან ირვევა, რომ ტარიქისძის
ვინაობისა და სამწერლო მოღვაწეობაზე დღეს თითქმის არაფერი ვი-
ციო. მასზე არაფერი სცილინთ XVIII საუკუნის მწერლებსაც. ან-
ტონ ბაგრატიონს მიუძეოვება ზოგილი სახობრა გამონათქვამები, კონ-
კრეტულად ის არაფერი ამბობს მის ცხოვრებასა და ნაწერებზე. ამ
ხარუხს თითქმის ავსებს პ. იოსელიანი, მაგრამ მისი ბიოგრაფიული
ცნობები ძლიერ სავკუთა. მის მიერ დასახვლებული ხუთი ნაწარმოები-
დან არც ერთი არც კვეციანის ტარიქისძეს.

1. „სავალობელინი წმიდათანი“ ტარიქისძეს არ დაუწერია, რო-
გორც შენიშნავს კ. კვეციანი პ. იოსელიანის მისთვის შეცდომით მიუ-
კუთვნებია პეტრიწისა და მისი ძმის მიერ შედგენილი აკადემიის უო-
ველია წმიდათანი (A 290, გვ. 243—244; H 1452, გვ. 342—349).

2. ვაიფანე კვიპრელის „თორმეტთა ქვათათვის“ შემონახულია
ერთადერთი რედაქციით; თარგმნილია სომხურიდან IX საუკუნეში
სათავით: „ათორმეტთა თვალთქუსა“. მისი უძველესი წესხა მოთა-
ვებულია შატერელის კრებულში (გვ. 212—214). ტარიქისძეს ამ თხზუ-
ლებასთან საერთო არა აქვს რა.

3. „დიალექტიკის“ ავტორთა იოანე დამსკელი. თხზულება ქარ-
თულად ორჯერ ითარგმნა ეგრემ მკორისა და იუალითელის მიერ. თ.
გორდანია დასახვლებს მესამე თარგმანსაც: „დიალექტიკა იოანე ტარი-
ქის ძისა, (თარგმნილი) ემას დავით აღმაშენებლისასა“. ამისი ტექსტი
შემოუნახავს 1760 წლის თარღლით გადაწერილ წესხას (S 131)²³.
მის 34-ე გვერდზე თ. გორდანიას ხელი მიწერილია: „დიალექტიკა ესე

²² ანტონ ბაგრატიონი, წიგნისიტყვაობა, 1850, გვ. 264.

²³ იოსელიანი, ბაგრატიონი, კალმასობა, II, 1948, გვ. 177.

²⁴ წიგნისიტყვაობა, გვ. 264.

²⁵ ზ. კვიციანიძე, ქართული მწერლობა მეორიმეტე საუკუნეში, 1887, გვ.
27; A. Xaxiani, Очерки по истории грузинской словесности, II, 1897, გვ.
376; გ. თაგუშვილი, ქართული მწერლობა, II, 1909, გვ. XX. გ. კვეციანი-
ძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 307—308; მისივე, Geschichte der
kirchlichen georgischen Literatur, I, რომი, 1955, გვ. 226, გ. თაგუშვილი, რ.
უბაღდისი ვანილიუმის ისტორიისათვის საქართველოში, 1938, გვ. 57.

²⁶ მ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფოს ისტორია, II, 1908, გვ. 158.
შტრ. მისივე, История грузинской философии, 1960, გვ. 367.

²⁷ ქრონიკები, I, გვ. 237.

ნათარგმნია იოანე ტარიჭისძის მიერ ვაშა დავით აღმაშენებლისა, 1089—1130 წ.წ.²¹ დაშვებული ფაქტობრი შეკლმა: ეს „დასაღებო-
კა“ ეკლესიის სიმბე ავტორს — სომეხ ჯულფელს და სომხურადან
ქართულად უთარგმნია XVIII საუკუნეში ანტონ ბაგრატიონსა და
ფილოზე ვაითინაშვილს.²²

3. პორტიონის „შეგანალება“ თარგმნილია სომხურადან XVIII
საუკუნეში ზურაბ შამშონის მიერ (იქვე, გვ. 145). იოანე დამასკელის
სახელი მოწვეულ „კატეხეზიკოსებს“ ჩვენი ძველი მწერლობა
არ აცნობს. კ. კვეციანის მოსაზრებით, პ. იოსელიანს ტარიჭისძის ფილო-
სოფიურ თხზულებათა სახელები სისწრაზით ვერ აღუწინავეს; იო-
ანე „გადმოთარგმნა არა პორტიონის შეყუანაილება, არამედ
ამონიის ერმისის (V—VI სს. ნეოპლატონიკი) მოსაყენებელი ხუთი-
თა კმათადმი პორტიონი ფილოსოფოსისათა; აგრეთვე არა დამასკელის
კატეხეზიკოსის არისტოტელისათა“ (გვ. 308). ს. გორაძემ არ გაი-
ზარა კ. კვეციანის ეს მოსაზრება. იგი ვარაუდობდა, რომ პირველი
„მოსაყენებელი“ „გადმოღებულია ბერძნულიდან. ქართული მთარგ-
მნელის ვინაობა ჩვენგანობით გამოტყვევლი არაა, მაგრამ შესაძლოა
იგი იოანე პეტრიწი აღმწინდეს“. იმავე ამბობდა მეორე „მოსაყენე-
ბელზეც“ (იქვე, 143). კ. კვეციანს ს. გორაძის ვარაუდი უარყო:
„ამის ნება არ გადალეს ხელნაწერთა ტრადიციებო“ (გვ. 308, სქო-
ლიო 7).

დღეს დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამონიის ერმისის
ორივე „მოსაყენებლის“ მთარგმნელია პეტრიწი. ხელნაწერთა ტრა-
დუციები არაფერ შუაშია. ამონიის თხზულებები ძირითადად XVII
— XVIII საუკუნეების ხელნაწერებითა ცნობილი. შემონახულია მთ-
ლი ძველი წესიკა — S 2562, რომელიც გადწერილი უნდა იყოს XIII
საუკუნეში (არა უფროანს XIV საუკუნის პირველი ნახევრის). ეს წესი-
კა საფუძვლივ დამსდებია (შუალოებით თუ უშუალოდ) ახლა გვიანდელ
წესსს, თითქმის „მოსაყენებელს“ ავლი რამდენიმე ფრეცული, მეო-
რე სთიქმის ორი შესამდე ნაწილი. დაყარულია მთარგმნელის ან-
დერს-ნაშავიკი. ამიტომ ხელნაწერებში მისი ვინაობა არაად არაა მოხ-
სენიებული. სამეფეორდ, მიუხედავად ამტონ ბაგრატიონის ცნობა,
რომ პეტრიწმა ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო „წიგნი ამონი-

ნის ერმისისა, რომელ არს განმარტება პორტიონი ფილოსოფოსისა
ხუთითაეს კმათა და არისტოტელის შესმენათა“ (საყვალ). ჩვენი შეც-
ნიერებაში ამ ცნობას ნაყლები ყურადღება მეცევა, მაგრამ, გვირ არაა,
იგი ძველ, სანდო წყაროდან მომდინარეობს. ეს რავეცა შეგვგვადან:
პეტრიწის „საინოებათა კიბეში“ შემონახულია იამბიკი, რომლის
უშუალო წყაროა ამონიის ერმისის „მოსაყენებელი ხუთთა კმათადმი
პორტიონი ფილოსოფოსისათა“-ს ქართული თარგმანი. დავიმოწმოთ
ორივე ძველიდან პარალელური ტექსტები:

„მოსაყენებელი ხუთი კმათადმი“

„ფილოსოფოსობაჲ არს წიგნიჲ კვეციანისა... სავთ-
ლი სულსა და სხულის განმარტება, ეს არს საყველო ორგავი განსა-
ნაჲ ი ვერტმე სხულის სულსაჲს, ხოლო მეორე სულს სხუელსაჲს და სავ-
დოდაჲ — მარტობა: რომელიც ბუნებათი, რომლისაჲჲ არ ვეცდნი
კაცნი მოვეცდებოთ, ესე იგი არს, რომლისაჲს განმარტება სხუ-
ელსა, ხოლო რომელიც წინამორბედათი, რომლისაჲჲა ფი-
ლოსოფოსნი აწერიან განმარტებას სულსაჲსა სხუ-
ელსაჲსაჲსა ამისაჲს ითქვამს შეერთად სავთლისა, ესე იგი არს, განყოფი-
ლსა სხუელსაჲსა... არს იქვე ფილოსოფოსობაჲ წიგ-
ნიჲ სავთელისაჲს, ესე იგი არს წიგნი სულს სხუელსაჲს განმარტე-
ბაჲ“.²³

პეტრიწის „საინოებათა კიბე“

სავთლი ორად განყოფის, ოხვედ:
ერთად — ბუნებით ვიველით კაცთად ესე,
ხოლო მეორედ — საქმეთაჲს სავთლიად
კრთველებითა სულსა განმარტებათ,
ფილოსოფოსა არს წიგნი ამონიისა“.²⁴

ეს ლიტერატურული პარალელი დესტრუქტებს ანტონის მოწმობის
სასწორებს: ამონიის ერმისის „მოსაყენებელითა“ მთარგმნელი ყოფი-
ლა იოანე პეტრიწი; რაც შეეხება ტარიჭისძის ვინაობას, ის ჩვენი
გამოთქმავებია. საერთოდებელია ორი რამ: ტარიჭისძემ და დავით
აღმაშენებლის დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა (თარგმნიდა ფი-
ლოსოფიურ თხზულებებს და ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას), მაგ-
რამ მისი ბიოგრაფიული ცნობები და ნაწერები დაყარულია, ანდა სხ-
ხელი „იოანე ტარიჭისძე“ ვინაღვლი ხანის მწერლებს ერეათ იოანე
პეტრიწის სახელში. არ არის გამორიცხული, რომ შეიძლება აღორძი-

²¹ კოფ. ქართულსაჲს განმარტებელი სავთლიობის (S ფონის) „ხელნაწერ-
თა აღწერლობა“, I, გვ. 249.

²² ს. გორაძის, ფილოსოფოს მთავარი დარტები ქართულ მწერლობაში (წე-
ვა შეკრება, 1923, № 2—3, გვ. 146).

²³ S 2562, ფ. 75v, 77r—78r.

²⁴ A 542, შეშვლად თავს მესამე სტროფი.

ნების ხანაში ორ პირად მიჩნეულ იოანე ისტორიულად ერისს და ამ-
ვე პირს წარმოადგენდა.

3. თხრამ მცირისა და „იოანე ხალხთო ფილოსოფოსის- ფართიერთობისათვის

XI—XII საუკუნეების ლიტერატურის რაობისა და მნიშვნელობის
სწორად შეფასებისათვის საჭიროა გარკვეულ იქნეს ეფრემ მცირისა
და იოანე პეტრიწის ურთიერთობის საკითხი, რომელიც მჭიდროდ დაე-
შორება არეოპაიტულე წიგნების თარგმნის ისტორიას. XI საუკუ-
ნის მიწურულს (1099—1100 წლებში) ეფრემ მცირემ ბერძნულად
ქართულად გადმოიღო ე. წ. ფსევდო-დიონისე არეოპაიტელის ხუთი
თხზულება. ამ თარგმანმა დიდი როლი შეასრულა ქართული ფილო-
სოფიურ-თეოლოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში. ქარ-
თულენობისათვის იმთავითვე ცნობილი ვახდა, რომ „დიონისი პლატი-
ნური ფილოსოფოსი იყო და არეოპაიტულე წიგნები ნეოპლატონი-
კური ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შედეგად იყო შექმნილი.
ამან ხელს შეუწყო ქართულ მწერლობაში ნეოპლატონიზმის გავრცე-
ლებას. არეოპაიტულე წიგნებმა რამდენადაც განაპირობა პროულე
დიდობისის „ეფემიოთა“ გადმოთარგმნა და პეტრიწის „განმარტე-
ბათა“ დაწერა.

XI—XII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ მნიშ-
ვნელოვან ფაქტად უნდა იქნეთ ისიც, რომ არეოპაიტულე წიგნების
გადმოღობაში ეფრემს დახმარება „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი“,
ამის შესახებ თვით ეფრემი წერს (A 110, გვ. 195):

„... სრულ იქმნა ერთი ესე ხუთთაგან წიგნთა წმიდისა დიონისეის-
თა პირველი წიგნი — თარგმანებაჲ საღმრთოთა სახელთათა მეოცხდისი-
თა ყოელად წმიდისა ღმრთისმშობლისათა და წმიდისა სვეთის საკურ-
ველთ-მოქმედისათა და ლკითთა ბერთა რეუბთა სახასა და ანტიონი-
სითა და მათ თანად მოღვაწეობითა და ზრუნვითა კურთხეულ აღუქმანდრიე-
ლსათა, რომელთა სწენება და ნეტარება საუკუნო იყუნ.

ლოცა ყავთ, ქრისტეს მოუფარენო, იოანეს სთქეს საღმრ-
თოდ ფილოსოფოსისა და კორციელად ღრთამი-
ტიკოსისა, რამეთუ ლოცვისაგე თანა ზემოყენებულთა მა-
მათსა იგი იქმნა პირ და გონება და სიტყუა
პირუტყუთა უფიქრურებისა ეფრემ მცირისა,
რომელი აღვიარებ, ვითარამედ: არა თუმცა
იგი ყოფილ იყო მოძღვარ და ძალმწიფე ჩემდა,

მიხედვადმცა ვერ ვიკადრებდი მზის თელსა
ამის წიგნისასა, რომელსა შინა ჩემი ცთომილება იდენასსა²⁹.

ამ ანდერძში ნათქვამია, რომ „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი“
ყოფილა ეფრემ მცირის მოძღვარი, რომელსაც დიდი უზრუნველი არე-
ოპაიტული წიგნების თარგმნისათვის. ამას თვით ეფრემი კმაყოფილე-
ბით ამბობს: „იოანე რომ არ ყოფილიყო ჩემი მოძღვარი და მშველელი,
ვერც კი ვებებდეთ ამ წიგნს („საღმრთო სახელთა განმარტების“),
შზის თვალზე მიხედვას (არამც თუ მის თარგმანს)“. რაი იოანე მოძ-
ღვრდა და დასახლებული, მკვლევრები ვარაუდობდნენ, რომ იგი წლოვა-
ნებით ეფრემზე სწორი უნდა იყოს. ამიტომაც მას ყოველივეს ეფ-
რის იოანეთა შორის ებებდნენ. ს. გორცამემ და ე. კვეციანემ „იოანე
საღმრთო ფილოსოფოსად“ სცნეს იოანე პატრიკოფიცი³⁰, ს. ეფ-
ქიმელიამ — იოანე დამასკელი³¹. ორივე მოსაზრება სამართლიანად
უარყო ლ. მენაბდე³².

ეფრემის მსწავლეობები იუვენე შავი მთის შიღვანე საბა თუხარე-
ლი, რომელსაც ეფრემი აღსაზრდელად უტყობთავს „ეამსა სიუცისა
და სიკბუჯისასა“ („მოსაქმნებელი სეპლიმისთვის ლოლოთეტისა“)³³,
და დიდი ვიკარი მთაწმიდელი, რომლის კელსაც შესდგომია თვით
ეფრემი („ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალი)³⁴. რაც შეეხება იოანე
პატრიკოფიცის, იგი ეფრემის მოძღვართა შორის არსად არ იხსენი-
ება, ეს იოანე არის ითვლილი მთლენი: გადმოწერა მას ე. მთაწმიდლის
შრომები, მთავთა შეუდგენია „ხანდცი და ანდერძი“, ფრადიათა
შრომითა და გულსმოღვიწებით“ აღურიცხავს ყოველი გალობა და

²⁹ ეს ანდერძი გამოქვეყნებულია ჩამეფჩიჩიკო: ს. გორცამე, ნეოპლატი-
ნური ფილოსოფოსი ერთი უძველესი კვალითაგან: ქართულ მწერლობაში (ჩვენი მკე-
ნებება, 1923, № 1, გვ. 65—74); S ფონის „სულსწავთა აღწერისათ“, I, 1939,
გვ. 177; პეტრე ივანიძე, შიომხეტი, 25 წუთა შევალის რედაქციის
1961, გვ. 109; ე. ნიკოლოძე, ქუთაისის ისტორიულ-განმარტული მუზეუმის
„სულსწავთა აღწერისათ“, II, 1964, გვ. 102—103. ზოგან ვიკარი ეფრემის
შეუთხოლო იწოდება კარლად აღსაქმნედილად (ეპისკოპოსი რამსორე ქარცხი-
კა), 1963 წლის 23 აგვისტოს, მენაბდისათვის ცდის, ს. გორცამის რედაქ-
ციით, 1914, გვ. XII—XIII; ჩვენი მკვლევრება, 1923, № 1, გვ. 70; ე. ნიკო-
ლოძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 253; მისივე ერთ-
ობა, I, გვ. 280—281.

³⁰ პეტრე ივანიძე, შიომხეტი, 1961, გვ. 102.

³¹ სიტყვიერად ვარცხნილი შავი მთის ლიტერატურული სკოლის ვაჟივე წიგნი-
ხელ მოსაქმნებში.

³² ლ. მენაბდე, ებრეულები, V, გვ. 225.

³³ „თავად შევალის, არქეოლოგიური მოგზაობის სამეცხელოში, ქველ
საქიბოველი, III, 1913—1914, გვ. 245.

დასდებელი⁴⁵. ეს პატრიარქოფილი იოანე არც უკონდილელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსისა და არც ის იოანე ფარაწელი, რომელმაც ეფრემს სასვეწ ნიშნაა შევლილება უყარაჩხა. სენიაობის ვამო მათი გვიჯივებსა შევლილმა იქნებოდა. მთავარეპოლი მონაცემებით ისინი სამ სხვადა-სხვა იოანედ უნდა ეცნოთ. ამასთანავე იერე ეთ მეთანს ეგრ მივიჩნევთ „საღმრთო ფილოსოფოსად“. ასევე ზედმეტრა ლაბარაი იოანე დამს-კელ-ეფრემ-ეფრემის თანამედროვესა და უახლოეს თანაშრომლის ვა-პოცხალება დამსკელად (VIII ს.) ანტიკონიზში და მეტი არაფერია. მაშ, ვინ არის „იოანე საღმრთო ფილოსოფოსო“ ?

— იგი არის იოანე პეტრიწი

ანტონ ბაგრატიონი „წიბილისტყვაობაში“ (სტრ. 748) წერს: „იტყვის თუთ ეფრემ მიძღვარ-ყოფისა თესად იოანესა საღმრთო ფი-ლოსოფოსსა“, ხოლო „სამკაქში“ დასძინა: „ყოფილად ბრძნისა მიძ-ღურისა (იოანე პეტრიწისა... ბ. ა.) იყვის მრავალი მოწინავენი შედ-გომილ, მგარა უფროსად ეფრემ მცირე და არსენ იყალითოლი“.

ანტონმა იცოდა, რომ ძველი ქართული ტრადიცია პეტრიწის ასა-ხელებდა იოანე ფილოსოფოსად (საღმრთო ფილოსოფოსად ანდა პლა-ტონურ ფილოსოფოსად), ამიტომ ეფრემის ანდერძში მოხსენიებულ „იოანე საღმრთო ფილოსოფოსს“ ის პეტრიწად სთვლს. მართლაც, სიტყვა „ფილოსოფოსი“ პეტრიწის სამეცნიერო წილებმა, შ. წელთბი-მემ გამოარტყია, რომ ეს წილებმა იოანეს მანგანის აკადემიაში მიიღია⁴⁶. იოვლესკი ძველი ქართული იტყობა „იოანე ფილოსოფოსს“, ამ სახელ-ში ის გულისხმობდა მხოლოდ იოანე პეტრიწის. ნემსიოსის ემესტესის „ბუნებისათვის კაცისა“ მინაწერებში (გვ. 24, 103) იოანე ისენიება „პლატონურ ფილოსოფოსად“, „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში — „ფილოსოფოს ქორეპიტელად“ (გვ. 2), XVIII სკუფის ფილოსოფიურ ლიტერატურაში — „საღმრთო ფილოსოფოსად“ ან „საღმრთო იო-ანედ“, ანტონ ბაგრატიონი მის ისენიებს როგორც „იოანე საღმრთო ფილოსოფოსს, რომელსა ჩვეულ ვართ ზედწოდებთა პეტრიწად“⁴⁷, ან წერს: „... ქმნა სქიმა საღმრთოან ჩემ გინება-მზემან — იოანე საღმრთოან ფილოსოფოსან აღსენსა შინა ღვთისმეტყუელეებითა კეთობისა“ („სამკაქლი“). სავულისხმა ესეც: მკითხველს რომ არ აყაროს, ანტონი საღმრთო იოანედ ვის გულისხმობს, „სამკაქლი“ ვა-ლაშქრის ზოგან შენიშნავს: „პეტრიწის იტყვის იოანეს, პლატონურისა

ფილოსოფოსისა“, ან „პეტრიწისა ფილოსოფოსისა იოანეს იტყვის, პარ-თეულია მზესა“ და სხვა⁴⁸.

ანტონის მოსაზრებებს ავითარებდა ზაქარია ვაბაშვილი: „ძველსა წიგნსა შინა მიხილვან მე, ზაქარია მოძღვრისა, და მუნთი ვარდამომო-წერაეს, რომ ეგზონანდეს სამცხეთი ღირსნი მონაზონნი სხმა თესხარე-ლი და ეფრემ მცირე, მოწინა იოანე პეტრიწისა“. ზაქარის წყობიბუ-ლი ქმნიდა „საღმრთოსა სახელთა თარგმანება“. ამ თხზულების ურთი-ერთი ხელნაწერი (A 110) მის სახელდავლად შეუსწავლია. ამა-ტომ, ცხატია, ფრანსა — ეფრემ მცირე მოწინა იოანე პეტრიწისა — უნდა მომინდარებობეს ესეველად ეფრემის ანდერძთან.

„იოანე საღმრთო ფილოსოფოსი“ სთვლს ეფრემის და არსენ იყა-ლიელის „ვაშწინველად“ დოთი დადიანეც (S 339). ერთ-ერთი შინა-წერილ ეს შენიშნობარი წერს: ვამატყვე, დილო იოანე, რომ შენს მცირე თარგმნალი „კლემაქსი“ ეფრემს მივატყვე. ამ ეთომილებს მიხეზი თხოვინ შენვე სარა რადანეც ესწერეთ ენა-მზედ აღზარდე ეფრემ მცირე“ (S 344).

ჩვენმა მკვლევრებმა (ს. გორცემე, ი. ჯეჯიშვილებმა, კ. კვეციანემ, ს. ყუბანიშვილმა, შ. წულთბაძემ)⁴⁹ ტრადიციულ ცნობებს უნდობლობა გამოუცხადეს: ანტონი „მზარად არასწორ და შეუფიქრებელ ცნობებს“ აკაწვდის. „ეფრემი იოანე პეტრიწის შევარდეს არასოდეს არ უცოდლა, ის უფროსი თანამედროვე იყო მისი და, მეტი თუ არა, 20—25 წლით ადრე ვარდაიცოდა. ვიღერ პეტრიწი“; საღმრთო ფილოსოფოსი იყო მხოლოდ იოანე პატრიარქოფილი და ა. შ. ნ. შარმა შენიშნა, რომ ან-ტონი ეფრემის სიტყვებს იმეორებს და ამისი დადევნა ირ შეიძლება; ის განცდიებებულა იყო მხოლოდ ამის გამო, რატომ ეფრემი არსად არ მახელებს პეტრიწის თიგის მოძღვრად⁵⁰. მაშინ ეფრემის ზემოთ მოყვანილი ანდერძი ცნობილი არ იყო. ახლა, როდესაც ვარკვეულია, რომ ანტონის ცნობა („იტყვის თუთ ეფრემ მიძღვარ-ყოფისა თესად იოანესა საღმრთო ფილოსოფოსსა“) მომინდარებობს თითო ეფრემის ანდერძთან, ცხატია, მის ნაწმფილიობაში დაეუბნება ყოველგვარის საფუძველი იტყება.

ეფრემ მცირე იოანე საღმრთო ფილოსოფოსს უწოდებს აგრეთვე „პორაკიელად ღრამაკიოსს“. ესეც პეტრიწისადმი შერქმეული სახე-

⁴⁵ ვიჯივს მამწიშვილს ცხოვრება, ჩვენს საგნე, I, გვ. 371.

⁴⁶ შ. წულთბაძე, სამეცნიერო ხარისხის სკოლისათვის ძველ საქართველოში, პუბლიკური ინსტიტუტის შრომები, III, 1947, გვ. 27—35; მსიჯე, ქართული ფილოსოფოსის ისტორია, II, გვ. 26; მსიჯე, История грузинской философии, გვ. 206.

⁴⁷ ი. გ. ბარბაქაძე, ქართულეპა, I, გვ. 237.

⁴⁸ კ. კვეციანი, ანტიკონი, I, გვ. 276.

⁴⁹ ვაშწინველი, ვაშწინველი, ნაწმფილთს კაცის, გვ. IX—XV; ი. გ. ბარბაქაძე, ქართული ფილოსოფოსის ისტორია, 1945, გვ. 152; კ. კვეციანი, ქართული ისტორია, I, გვ. 250—253; იოანე პეტრიწის შრომები, II, 1937, გვ. CV—CVI.

⁵⁰ Н. Магг, Иоанн Петрикий, გვ. 36—37.

ლია. იოანე იტალს (ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსს, მანვანის აკადემიის ლექტორს) პეტრიწისთვის გამოუვხავნია წერტილი სათაურით: «აფხაზ გრამატიკოსს, შვეთხევი გრამატიკოსს ზოგიერთ საკითხზე» და სხვის მას, როგორც «ულრესად სწავლულ კაცს», ზოგიერთი ლოგიკური ცნების განმარტებას¹⁴. პეტრიწის დიდ განსწავლულობას ვრამატიკასა და ლოგიკაში აღსტრებს ის, რომ მას ქართულად უთარგმნია არისტოტელეს «კატეგორიები» და «პერი ერმენეია», ამონიის ერამის «მოსასწავნებელი ხუთთა კმთაადმი პორტფირი ფილოსოფოსსათა» და «მოსასწავნებელი თთა კმთაადმი არისტოტელისათა», რომელთაც ქართული ლოგიკური აზროვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

ამრიგად, ჩვენს პირველი დსკენა ასეთია: «იოანე საღმრთო ფილოსოფოსი და კორციელად ღრამატიკოსი» არის იოანე პეტრიწი-კომპილერი, დავით აღმაშენებლის ეპოქის ფილოსოფოსი და მეცნიერი, რომელსაც ფსევდო-ლიონისეს «საღმრთოთა სახელთა თარგმანების» გადმოქართულებაში ეფერმოსის დახმარება გააწვდია. იგი ყოფილა მოხუცებული ეფრემის მოძღვარი და შვედლელი.

პირდაპირი გაგებით «მოძღვარი» ნიშნავს გზის მარეწებელს, წინამძღოლს და წინამძღვარს, ვადატნით — აღზრდელსა და მასწავლებელს; მეცნიერ ბერს. მოძღვრობა სამონასტრო ცხოვრებაში სასტრო-ნიმღებობა იყო. ი. წაქაბინჯილის თქმით, მოძღვარს გასაწერთნელად უკვდა აყვანილი მოწოდებები. იგი «თავს მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და შეწერლობას, მეცნიერებასა და რომელსავე ხელწოდებას ასწავლებდა. მოწაფე თავის მოძღვართან ცხოვრობდა და სწავლობდა. ზოგჯერ მოწაფე უკვე ვაჟიწილი და უსწავლელი აღარ იყო, მაგრამ განთქმულ მოძღვართან სწავლის მაშინ მოწიფულნი და შუახნისნიც არ უკადრისობდნენ»¹⁵. მოძღვარს სულის ვაჟითხველობაც უკავალბოდა; ითვლებოდა ის, როგორც სულის მოურვე და ცხოვრების გზად მიმყვანებელი. ამიტომ სწორი იყო შემთხვევა, რომ ბერი-მოძღვარი მოხუცებულობის ფაშს თავის სულიერ მოძღვრად აიყვანდა თავისდავე მოწაფეს, ახალგაზრდა ბერს, რომლის მოვალეობას შეადგენდა სულის მოურვეობა. მაგალითად, ვარეჟელმა სერაპიონ წინამ-

ძღვარმა თოხი წლის ასაკიდან აღზარდა დანიელ ანდრონიკაშვილი, ხოლო შემდეგვეს დანიელი გახდა თავისი მოძღვრის მოძღვარი. ანტონ გიორგული იყო მოწაფე ვარეჟის ნათლობემდელს მონასტრის წინამძღვრისა — ეფთვიმე არქიმანდრიტისა. ის წელიწადში ორ-სამჯერ მიდიოდა თავის მოძღვართან. ერთხელ ეფთვიმეს უთხრა: «მამაო წმიდაო, მე ესრე მოხუცებულ ვიქმენ, რომ ახლარა ძალ-მამს აქა მოსლდე და თავყანსცემად ღირსებისა შენისა». ამიტომ «არქვი სულიერსა ამას შელასა შენსა გაბრძოდა, რათა ესე იუსი მოძღვარ ჩემოა», ხოლო ეფთვიმემ გაბრძოლს უთხრა: «შვილო ჩემო, ამას მამს ანტონის ექმენ მოძღვარ და მოურვე სულსა»¹⁶.

მოძღვარ-მოწაფის ამგვარი ურთიერთობა ნათელ წარმოდგენას აკვლავს ეფრემისა და პეტრიწის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ჩანს, XI საუკუნის მიწურულს პეტრიწი იმდენად სახელგანთქმული მოღვაწე ყოფილა, რომ ეფრემს, ამ ღრმად განსწავლულ და დეჟამოსობს მეცნიერს, იგი თავის მოძღვრადაც კი აუყვანდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში. რაკ ეფრემ-პეტრიწის ურთიერთობა განმტკიცებულა ფსევდო-ლიონისეს თხზულებათა თარგმნისას, უნდა ვიფიქროთ, რომ იღვა პოეტურ დალიტერატურულ «კავშირთა» გადმოქართულებასა და განმარტებისა შესაძლებელია წარმოიშვა ამ ორი დიდი აღმამიანს ლიტერატურული თანამშრომლობის პარუცემსი.

ეფრემსა და პეტრიწს უფრო მკიდრო ურთიერთობაც უქონიათ. მთავრად უმოკლესით მანძაც, როდესაც პეტრიწი ჭკრ კიდევ ყრმა ყოფილა. ჩავხედოთ ანდრეასს, როდესაც პეტრიწი ჭკრ კიდევ ყრმა ყოფილა. ჩავხედოთ ანდრეასს, როდესაც პეტრიწი ჭკრ კიდევ ყრმა ყოფილა.

ეფრემი «უსაღმუნთა თარგმანების» შესავალში იძლევა ზოგიერთი, ჩვენთვის საყურადღებო თეოლოგიური ცნების განმარტებას: «**პ ი რ ლ მ რ თ ი ს ა დ ე ე სა ხ ე ლ - ი ბ ე მ ა**» (ე. ი. ძე-ღმვრის ეწოდება პირი ლთისაო), ხოლო «**ს ი ბ რ ე ე ა ლ მ რ თ ი ს ა მ ა მ ი ს ა უ რ ი ბ ი მ ა**» ძესა მხოლოდ-მოძღვარს¹⁷. ამიტომაც პიწმოგარეგები ქრისტეს მიმართ თავენ ეპითეტებით: «ღმრთისა სიტყუა», «სიტყუა მამისაო», «ღმრთისა სიბრძნეო», «მამისა სიბრძნეო», ანა — «სიტყუო და სიბრძნეო», ქრისტანურ სიმბოლიკაში «გუჟმოყანი სიტყუა, მამისგან შობილი» («გარდამოცემა», I, 6) ნიშნავს ძე-ღმვრის, უხუნესი ვანვებისაგან მოვლენილ ქრისტეს, როგორც ღვთის პირს, ვონებას, სიბრძნესა და სიტყვას.

¹⁴ Н. Марр, Мезни Петровский, стр. 56—57; ს. ყ ა ვ ხ ი შ ვ ი ლ ი, მონასტრო-ლიტერატურის ისტორია, 1962, გვ. 263—264; იფორმაცია გ. ვ ა ლ დ ი შ ვ ი ლ ი მისცემს და ამჟამად 900 წელს შედგენილია, ვაჟ. «ბიბლია», 1964, № 114.

¹⁵ ი. წ ა ქ ა ბ ი ნ ჯ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, III, გვ. 55.

¹⁶ «**გ ა ბ რ ი ე ლ მ ი ო რ ე**, მეძღვარული აზრობანი, XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხი, I, 1965, გვ. 122, 127—128; «**ღ ღ ო ლ მ ი ო რ ე**, ვარეჟის პირის მეძღვარული აზრობანი, ძველი ქართული მწერლობის საკითხი, I, 1962, გვ. 17—18.

¹⁷ ძველი საქართველო, III, გვ. 258, 259.

ეფრემ მცირე ამ თეოლოგიური ცნებებით იუწყება, თუ მისთვის უნ არის იოანე საღმრთო ფილოსოფოსი: „იგი იქმნა პირ და ზონება და სიტყვა... ეფრემ მცირისაო“. ეს წინასწარ (ხეშოსსენებელი მამების — საბას, ანტონისა და კვირიკის ლოცვით) იოანე იქმნა... ეფრემ მცირის სულიერი შვილი (მხოლოდ-მობილი მე) ანუ მოწაფე; ვახილელი ფრანის კვირველთა ესე უნდა ვეძიებოთ: ყრმა იოანე აგამას სიტყვისა და სიბედობისა განსწორებულად იღვანია ეფრემ მცირეს, იოანეს მსგავს ისეთი კარგი განაღლება მიიღია, რომ სხენებულ მამათა ლოცვით იგი ქვეყლა თავისი მოძღვრის შეცნობად სიტყვად, ზონებულ და პირად. ამ ფაქტის ანარეკლი შემოწმებულია ვეინდელ ბიბლიოგრაფიული ცნობებშიც. იოანე ზაგრაბანის თქმით, ეფრემ მცირემ „აღზარდა სწავლას შინა ქართლისა ენისასა იოანე ფილოსოფოსი და ასწავალა ბერძნულა“. ამით მართლდება ს. გორგაძისა და შ. ვოიანერის მისაზრება, რომ ეფრემმა პეტრიწი იყო ეფრემის მოწაფე. მამასადამე, იოანე პეტრიწი აღუზარდა ეფრემს. როდესაც მას ცნობილი ფილოსოფოსის სახელი მოუხვეჭეს, ის განმდრია მიხეცეული მოძღვრის მოძღვარი.

* * *

ეფრემ მცირე მოღვაწეობდა შავ-მთაზე, სვიმეონ საციკველ-მოქმედის მონასტერში. ჩანს, პეტრიწულ ზქ გაუტარებია თავისი მოწაფეობისა და მოძღვრების პერიოდი. ეს ფაქტი იოანე მწიგნობრობა, აქამდე არ იყო ცნობილი, რომ იოანე ეფრემთან იმყოფებოდა ზაგრაბანს. ს. ყუბანიშვილი და შ. ნეტუბიძე წერდნენ: „ეფრემ მცირეს პეტრიწთან არაფართო საქმე არა აქვს, ის სულ სხვა და შეიძლება დაბირის-პირებულ მანას ეუფთნოდეს“²². მაგრამ ფაქტობრივი მონაცემები ამის საწინააღმდეგო შეტყუებულენ. ირევეა, პეტრიწი, როგორც მამაზონე, აღზარდდა და დაეუფლებოდა ეფრემის ლიტერატურულ ბანაკში. მისი ბიოგრაფია დაახლოებით ასე უნდა დახსენებდეს:

ყრმა იოანე, გვირდ კიმიქსიან, აღსაზრდელად მიუყვანიათ შავ-მთაზე ეფრემ მცირესთან, რომელსაც მისთვის უსწავლებია ქართული წერა-კითხვა და ბერძნული ენა. მერსმე ქაბუცი სასწავლებლად წასულა კონსტანტინეპოლში. მანგანის აჯღამებში; იოანე იტალის ზელმძღვანელობით იქ დაუფლებია ფილოსოფიის, განსაკუთრებით პლატონისა და არისტოტელის მოძღვრებას. იტალის ერთიანი მეგობარად გამხდარა. აჯღამეში დაჩენილა 1083 წლამდე; შემდეგ საქართველოში დაბრუნ-

²² იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. XI.

წებულა და, როგორც ანტონ ზაგრაბიანი იუწყება, ოპიზის მონასტერში შემდგარა ბერად. („საქვალა“).

ოპიზში შეუღლებენ დიდი ლიტერატურული ტრადიციები არსებობდა, მაგრამ XI საუკუნის 80-იან წლებში იქ საშუალო-საგანმანათლებლობის სკოლამბა შეწყვეტილი იყო თურქ-სელჩუკთა გამძღვებელი რბევათარების ვაში. ამიტომ იოანე მალე შავ-მთაზე წასულა სამოღვაწეოდ, სადაც ის ეფრემის დამოძღვრება და მასთან დაუწყია ლიტერატურული თანამშრომლობა. იმ ხანად ეფრემი მოუწყებელი იყო და შეიძლება ფიზიკურად დაუძღვრებელი, რაკი თავის გარშემო მას შემოკრებული ჰყოლია „განამაღვრებელი“, „თანამდგომნი“, „მზარდელნი და მსახურნი“. ამ „მზარდელთა და მსახურთა შორის“ „გარდამოცემის“ ანუბრში (A. 24, ფ. 137) ეფრემი იხსენიებს არსენ ფილოსოფოსს და ორ იოანეს. ესენი თავიანთ დიდ მოძღვარს ლიტერატურულ თანამშრომლობას უწყვეტ. ამითან არსენი ცნობილი პირია, ერთ-ერთი იოანე გვირდ მთავარისგან, რომელსაც 1080 და 1091 წლებში „ფსალმუნთა თარგმანება“ ვაღუქვარია“²³. ეფრემი მას მალეობით იხსენიებს: „ლოცვა ვაფთ იოანესსეს ხეტვის მთავარისა შორის, რომელმან არა დაიშურა თესი ქალაღი სასურველად და პური საზარველად თანადგომიითურ თესითა“²⁴; მეორე იოანედ კი უნდა ვგვიანოთ პეტრიწი, რადგანაც XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეფრემის უახლოეს თანამშრომელთა შორის იოანე მთავარისძისა და იოანე საღმრთო ფილოსოფოსის გარდა სხვა იოანე არა ჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვინმე „იოანე მღვდელს“, რომელსაც ეფრემს თავის „მზარდებულად“ იხსენიებს²⁵. ამიტომ, პეტრიწმა თავისი სიბერების უმნიშვნელოვანესი პერიოდი, „ქართლისა და უელის“ წლები ვაჯღამა მანგანის აჯღამეში იოანე იტალთან და შავ-მთაზე ეფრემ მცირესთან.

ეფრემი უნდა გარდაეცლიყო XI საუკუნის ბოლო წლებში. ამის შემდეგ შავი მთის ლიტერატურული ცენტრი მოშლილა, ეფრემის მოწაფეები საქართველოში დაბრუნებულან; იოანე მთავარისგან დაწყვილებულა მოძღვრად ბერთის მონასტერში, სადაც ინახებოდა ბუნებრივ ოპიზისის მიერ მოქცეული სახარება²⁶, ხოლო იოანე იტალმა და პეტ-

²³ ს. გორგაძისი, ცნობები, I, გვ. 214—215.

²⁴ მონასხალა, I, გვ. 174.

²⁵ ს. ყუბანიშვილი, ბიოგრაფია, VII, გვ. 175—176; ილია მკერდველი ირეველი მცირე პეტრიწი, ზელმძღვანელი მოძღვრის მონაწილე, I, გვ. 122.

²⁶ Q ფონდს, ზელმძღვანელი ანუბრისა, II, 319. იოანე მთავარისძისა და მისი სხვაობის (იოანე იტალის) სხვაობისა და ეფრემისგან წარმოშობა ბერთის სახარების (Q 906). ოპიკელ ოპიკითი მოქცეა ბუნებრივ ოპიზისში. მღვდლები ბუნებრივ მოღვაწეობის ფართო სფერო XII საუკუნის პირველ ნახევარში. ეფრემის მოძღვრების დასრულება მცირე (1125—1194 წწ.) ფართ.

რომმა სამოღვაწეოდ დაიკანს შიო-მღვიმისა და გელათის მონასტრებში. დავით აღმაშენებლის „წყალობითა და თანადგომითა“ მათ ეს მონასტრები გადაქციეს ფაღვარეს ლიტერატურულ ცენტრებად, კერძოდ, გელათი — „ყოველსა აღმოსავლსა შვირედ იერუსალიმად, სსაწველოდ ყოველსა კეთილსად, მოძღვრად სწავლულებსად და სხუდ ათინად“⁴⁰.

4. ძართვალთა მონასტარი პეტრიწონი და ოიანე პატრიწი

ამ მოკლე ბიოგრაფიულ უკუკერძის შემდეგ საჭიროა გაორკვის: მოღვაწეობდა თუ არა პეტრიწი პეტრიწონის მონასტერში? ეს კითხვა საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. ამიტომ მასზე ვრცელად შევიტროდებით.

ზოგი მეცნიერი „პეტრიწის“ პარალელურად ხმარობს ფორმას „პეტრიწონელი“ (წერს: „პეტრიწი ანუ პეტრიწონელი“).

ძველ ქართულში „პეტრიწონელი“ უწოდებოდა პეტრიწონის მონასტრის მკვიდრს ან იმ ნამოღვაწეარ ბერს. ეს მონასტერი აშენა გრიგოლ ბაყრაიანის ძემ ბულგარეთში. „თუმცა შინა ფილიპუპოლისსა, მიღმათ სამტრთი კერძო, ჳევსა შინა ერთსა ფრიად მაგარსა, სახლუ ვართა შინა სოფლსა მის, რუმელსა პეტრიწონი ეწოდებინა“⁴¹. 1083 წლიდან იქ მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები. მთავან ჩვენთვის ცნობილია ვინმე დავით პეტრიწონელი (XI—XII სს.). „რომლის იძულებითა (არსენ იყალითელს) ბერძულსაგან ვაღმუქართულენბინა“ ხუთენი „სოცუენი სომეხთა განსაქმენბინა“⁴². მთავრ პეტრიწონელი მოხსენებულთა ათინის ივერის მონასტრის აღსაგებში: „თუესა დეკემბერსა 6, დღესსაწულსა წმიდისა ნიკოლაოსისა ვანწესეთ საცენებელი ნიკოლს, პეტრიწონელსა მასსა... შუ, მამამან იოანე, და ყოველთა ძმთა“⁴³. სამაგეროდ, ძველი იტორები პეტრიწის არსად არ იხსენიებენ პეტრიწონელს. არც ერთი მწერალი, ვინც კი მასზე ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის, არ წერს, რომ იოანე მოღვაწეობდა პეტრიწონის მონასტერში. ჩანს, ისინი „პეტრიწისა“ და „პეტრიწონელსა“ ერთმანეთსაგან ასხვევენდნენ.

სიტყვა „პეტრიწის“ ეტიმოლოგიისათვის ცნობებს გვაწვდის გერმანე მონაზონი, დავით რეკტორი და იოანე ბაგრატიონი:

⁴⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 230—331.

⁴¹ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი გამოცემა, თბილისი, 1913, გვ. 310.

⁴² ი. ვორდანიანი, ქართველები, I, გვ. 310.

⁴³ ათინის ივერის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაგებები, გვ. 253.

— იოანე ფილოსოფოსი, — წერს გერმანე მონაზონი, — ნარათალურბარ ზედ ეწოდა პეტრიწი სიმკაცრით (ე.ი. სიღრთხილით, — ა. ლ.) გამოძიებისათვის წერილთა, რომელსა ჰყოფდა“.

— ამას უკუ იოანეს, — წერს დავით რეკტორი, — ათინას, ეკადემიას შინა უწოდეს პეტრიწი. პეტრიწი რომელი ითქვამს ქვედად მაჩვენებელი კეპილე მფხველად გამოითარგმანების... და ენათთვან ესე იოანე იყო წერილთა ფრიად მხმარებელი, ამისთვის უწოდეს პეტრიწად, ესე იგი ქვის მფხველად“.

— იოანე ფილოსოფოსმა, — იუწყება იოანე ბაგრატიონი, — ათინაში სწავლას დამთავრების შემდეგ გამოფრა უპიარადყოფილი ძველები და „ამის მიხეზისთვის სახელსდევს პეტრიწად (რომელ არს ქვის მფხველად)“.

„პეტრიწის“ ეს ეტიმოლოგია, რომელიც არ ვიცით საიდან მომდინარეობს, XIX საუკუნის მეცნიერებისათვის უცნობი იყო. მხოლოდ 1894 წელს მისი მნიშვნელობით დაინტერესდა ა. ცაგარელი. მან აღნიშნა: პეტრიწი ნიშნავს „პეტრიწონელს“. პეტრიწონი (ბერძ. „პეტრიწონი“, სლავ. „პეტრიწ“) შუა საუკუნეების სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი იყო ბულგარეთში. ქ. სტანიმაცის მახლობლად, ძველად ამ სახელწოდებას ატარებდა ახლანდელი ბაქოვის მონასტერი. ამის მიხედვით იოანე ფილოსოფოსის ამოუცნობელი ზედწოდება „პეტრიწი“ სრულიად ვარკვეული შინაარსს იძენს: ალბათ, იოანე იყო პეტრიწონის მონასტრის მძათა საყრდნულს წვევარი“⁴⁴.

ა. ცაგარის მონაზრება ვაიხარბის 1909 წელს 5. მარტი⁴⁵ და მ. კანაშვილი⁴⁶, 1914 წელს — ს. გორგაძემ⁴⁷.

ქ. ცაგელიძემ განსაზღვრა დრო, თუ რამდენ ხანს მოღვაწეობდა იოანე პეტრიწონის მონასტერში: 1083—1084 წლებში მან მათტოე მანგანის ეკლემია, წავიდა და „დამკვიდრდა ბულგარეთში, ქართველთა მონასტერში“. საღვ. სასულიერო სემინარის ჩაღვდა სათავეში. იოანემ დავით (იქ) იგი წაიხველა, ამიტომ საცირბელი არაა, რომ მან პეტრიწონის მონასტრისაგან მიიღო პეტრიწის სახელწოდება“⁴⁸.

ეს მოსაზრება სხვადასხვა ვარიანტიდ ვნაიფიარებს ს. ფუნქციონალსა⁴⁹ და მ. ნუცუბიძემ⁵⁰. მ. გოგობერიძემ⁵¹, მ. ხიდაშელმა⁵² და საერთოდ ყველა იმათ, ვინც კი პეტრიწის შესახებ რაიმე წერილი გამოაქვეყნა.

⁴⁴ А. Цагарели, Сведения, III, 1894, гл. XII.

⁴⁵ Н. Марр, Иоанн Петричский, гл. 3.

⁴⁶ მ. კანაშვილი, ქართული მწერლობა, II, გვ. VIII—X.

⁴⁷ მ. გოგობერიძე, ბუნებისათვის კაცობა, გვ. XIII—XIV.

⁴⁸ მ. ნუცუბიძე, ქართული ლიტერატურა, I, გვ. 285—286.

⁴⁹ იოანე პეტრიწის შემთხვევა, I, გვ. XII; ს. ხიდაშელი, მონასტრული ლიტერატურის ისტორია, 1960, გვ. 262.

ქართველები ხშირადღენ სხვა ბიზანტიურ ტრელებთან ერთად, „პეტროწონელი“ კი სხვა ცნებაა. „პეტროწონის“ ტრადიციულ განმარტებას, რომელსაც იძლევიან გერმანე მონაზონი, დავით რექტორი ან იოანე ბაგრატიონი, საფუძვლად უნდა ედოს რაიმე ძველი სქოლიო ან ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი, ან კიდე აღიარებების დროინდელი ხალხური ვალმოყემა. ამიტომ სკიპრია მისი მნიშვნელობის საფუძვლიანი შემოწმება, ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: „პეტროწონის“ არ არის დაკავშირებული იმ გეოგრაფიულ პუნქტთან, რომელსაც „პეტროწონი“ ეწოდება. ეს გარემოება გვიკარანხებს, რომ სანამ არ ვაირყვევა სხენებული სიტყვის ვერმოლოება, მანამდე „პეტროწონის“ რაიმე დებულების გადსწავლევა ერთ მიზეზზეა არაღმწერის ჰალა. ცნობლია, რომ უცნობიდან უცნობის დასაბუთება შეუძლებელია.

რაც შეეხება სხვა დებულებებს, რომელნიც გვიშუებებენ პეტროწონის იოანეს მოღვაწეობის ცალკეულ მხარეებს. მათაც საეკლესიო დასაბუთება სჭირდებათ. რადგანაც იმანი ალ. ცუგარლის საგარეულო მოსახრების განუთარებას წარმოადგენენ.

1. ფიქრობენ, რომ პეტროწონის მონასტერში არსებობდა სასულიერო სემინარია და ამ სემინარიის რექტორი იყო ეთიომად მისი დამარტებული იოანე ფილოსოფოსი, რომელაც თვრამე იქ დეპტკობსაც კი კობხელობდა ფილოსოფიაში.

პეტროწონელი ტბიციონის თანხმად, გრიგოლ ბაყრაიანის ძეს მონასტერთან დაღვარება იტერნარტისმავგვიო სკოლა, რომლის კონტრავენტორ ვანესახლერაც ექვსი მოწოდება და ერთი მოძღვრით, მოწოდებები უნდა უოფლოდენენ მტერიწულიანი ყრმები, მოძღვარი კი მიხეუებული ხუცესი. მოძღვრის ვეაღებოდა ყრმების გაწერისა მდეღვლიმსახრების წესებში და გამოსწორებს ჩატარება. ყრმებს ინფენტარით, ტრანსპოსითა და პროდუქტით ამარავებდა პეტროწონის მონასტერი. იმანი ბერობის ასაკამდე სწავლობდნენ; მათგან ღირსეული მონასტერში ღებულობდნენ, უღრისთ კი სკოლიდან აძევებდნენ¹⁰.

ასეთი სამონასტრო სკოლა, რომელიც ეუკველია იმ დროს ყველა დიდ მონასტერს ეწებოდა, შეუძლებელია ვეცნოთ ისეთი სასულიერო სემინარიალ და სიტყვის თანამდღვროვე მნიშვნელობით¹¹ (ლეიტატი), რომელსაც ეწოდებოდა რექტორი, ეწებებოდა საეადმყოფო (მ. შენგელია) და რომლის „სასწავლო-სამარგერაში სკიპროებას დაეკმარებოდნენ მანგანის აყადმოვლან გამოსული ქართველი მოღვაწენო“ (ს. ყვეციძე). ჩვენ თვის დიდ უფლებას მიუცემლით, თუ პეტროწონის სკოლის დამარტებულ და რექტორად ვამოეცხადებდით იოანე

ფილოსოფოსს (ე. ი. იმ მოღვაწეს), რომელიც არც კი ვიცით, იყო თუ არა პეტროწონის მონასტერში. ძლიერ საეკვერა აგრეთვე ს. ყუბხიშვილის მოსახრება, თითქმის „პეტროწონის აყადმობის სხვა ქართველმა მოღვაწეებმა, ღვგმარტერი მიმართულების მომხარეებმა, დღევანდელ წყეს იოანე პეტროწონის დებულებული იყო ვასკულია პეტროწონის¹², მისი სისწორის ცხადსყოფად შეცნებებებს არავითარი საბუთი არ მოეპოვება.

2. იოანე ფილოსოფოსი არც პეტროწონის მონასტრის წინამძღვრად ყოფილა, როგორც ამას 2. შენგელია ფიქრობს. 1084 წელს გრიგოლ ბაყრაიანის ძემ ამ თანამდებობაზე დანიშნა ვინმე გრიგოლ ბანელი, რომელიც ადრე პეტროწონის სამონასტრო მშენებლობას ხელმძღვანელობდა¹³. ამ გრიგოლმა მონასტერს რამდენ ხანს უწინამძღვრა ან მის ნაცულია იქ ვინ დანიშნეს, ჩვენთვის უცნობია. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: მაშინდელი სამონასტრო ტბიციონების თანხმად, მონასტრის წინამძღვრად უნდა აერჩიათ ხანდამხული ბერი, რომელსაც მონაზონები ცხოვრების დღი გამოეცილებდა ჰქონდა. XI საუკუნის 80-90-იან წლებში პეტროწონი ახალგაზრდა იყო და, ცხადია, მას მონასტრის წინამძღვრად არავინ აირჩევა (ან დანიშნავდა).

3. პეტროწონის მონასტერთან არსებობდა ჩვეულებრივი სამონასტრო სასწავლო, საღვთმშობიდა ორი შესწავლეუ. მათ ვიღებოდათ უძღვრე მოხუცებულთა და დავრიდომილ სწავლთა ზედამხედველობა, ბოველა და მკურნალთა. ამიტომ მიღებულთა შ. შენგელიის ის მოსახრებაც, თითქმის პეტროწონის სასწავლოში იოანე ეწვიდა „პეტროწონის სამონასტრო საქმიანობას“, ან თითქმის მან პეტროწონის მონასტერი აქცია „სამედიცინო კულტურისა და საეწიმო საქმიანობის მნიშვნელოვან აერად“.

იოანე ფილოსოფოსი არც იყო მკურნალი, თუმცა მას კარგი წარმოდგენა ჰქონდა იმდროინდელ სამედიცინო დისციპლინებზე; იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მდიცინის, საერთოდ მეცნიერების დედაობის აღიარებას და მკურნალობის შესახებ. და აქი მან თარგმნა კიდევ ქართულია ნემესიოს მესესლის „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც ძველად ითვლებოდა ერთ-ერთ საეუთესკო სახელმძღვანელოდ „ადამიანის ბუნებისა და, მამსადაც, მდიცინის საფუძვლების დღეღვინისათვის“¹⁴. მაგრამ ყოველგვარ საქმიანობას, რომ პეტროწონი ექიმი იყო და სამედიცინო პრაქტიკულ სამსახურს ეწეოდა.

¹⁰ ს. ყუბხიშვილი, ბიზანტიური ღვგმარტრის ისტორია, გვ. 252.

¹¹ გიორგია, V, გვ. 223. ა. შანაძემ მონაპეწონის ეტრადება, რომ ტბიციონის მონასტრის გრიგოლ ვანგელი უნდა იყოს გრიგოლ ვანგელი (ბიზანტიური ხანის პეტროწონის ხანის ავთხეობა ვინა).

¹² ა. ბაგრატიონი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ სკიპროვლინი, 1957, გვ. 136.

¹³ გიორგია, V, გვ. 223.

რაც შეეხება იმ იამბიკობს, რომელთაც მ. შენგელი პეტრიწის სამედიცინო განათლების ღონის განსახორციელებლად იმოწმებს⁸¹, ისინი შეეძლო დაეწერა არა მარტო ექიმს, არამედ ისეთ პირსაც, რომელსაც ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა მედიცინაზე. მაგალითად, პეტრიწის პირველი პარაფრასის პარაფრასის ექიმურ იერს აღვსავს⁸² ასეთი მხატვრული შედარებანი:

სკობს სოვსახე ეტლს გამღივრებსა
და სველბა—პირბრტს მრავლობასა?...

ან კიდევ:

წაღვი ახალ ადვილ საყრდენად არს,
ხოლო ჯელ-ქმნილი, უღებულ მისტელს,
წამალი დიდა ელოვასთა მხარბრთა
მოქვე არს და ესრეთ ზედა მხარბრელი
მოქვეს სულსა სწიბრებსა კეთილს.

ამოთვან მეორე იამბიკო ამოღებულია „სათნოებათა კიბიდან“⁸³, რომლის წყაროა იოანე სინელის „კლემასის“ ათონელისეული პროზაული თარგმანი. იგი, სათანადო ტექსტით: „წაღვი ახალ ადვილს, ადვილ არს საყრდენებლად, ხოლო დამველებულნი და უღებულნი მნიად საყრდენებლად არიან, და ფრიალი შრომა და მასელი წამალი და დწევა ექმს მათ ამას საწუთოსავ“⁸⁴. თუ „მხატვრული შედარებებისათვის (სველი) სამედიცინო აზრების გამოყენება“ ვისმე „პარაფრასის ექიმურ იერს აღვსავს“, მაშინ ეს პატრიკი უნდა დავულოცოთ უპირველესად იოანე სინელს, რადგანაც პეტრიწმა გალექსა „კლემასიდან“ დამოწმებული ციტატი. ასე რომ, იოანე ფილოსოფოსის საექიმო-პრაქტიკული და სამედიცინო-ლიტერატურული საქმიანობა არ არის დოკუმენტურად დადასტურებული.

ჭრეჭრებით არ გვაქვს საფუძველი, იოანე ეწინააღმდეგეთვინოთ იმ პრაქტიკულ საექიმო წიგნსა, რომელიც შოთღლით მედიცინის ისტორიაში „Practica Petronelli“-ს სახელწოდებითაა ცნობილი. მ. შენგელის მიერ ამ მოსაზრების სასარგებლოდ წამოყენებული წანამწებრიდან, ზოგი ზოგადი ხსიათასა (მაგ., პეტრიწის სამედიცინო განწვევულობა, პეტრიწული ფნის ცოდნა, „პრაქტიკის“ დაწერის დროსა და პეტრიწის მოღვაწეობის ქრონოლოგიური დამთხვევა, „განმარტების“ და „პრაქტიკის“ სტილისტურ-კომპოზიციური

ერთგვარობა), ზოგიე მიუღებელია (მაგ., სიტყვა Petronelli-ს შენგელისებური ეტიმოლოგია, რომელსაც საერთო არა აქვს რა ზედწოდება „პეტრიწთან“. შეცდომაა ისიც, თითქმის იოანე ფილოსოფოსი ქართულ ისტორიაში ცნობილი იყოს აგვარ-ფსევდონიმის სხვადასხვანაირი გამოთქმით; იოანე პეტრიწი, პეტრიწონელი, პეტრიწონი, პეტრიწული“⁸⁵. ძველი ქართველი მწერლები იოანეს იცნობენ მხოლოდ პეტრიწად.

4. პეტრიწონის სამონასტრო კერას ქართულ მწერლობაში ისეთი მნიშვნელოვანი კვალი არ დავტოვებია, როგორსაც მოაწერენ ჩვენი მწერლები, ძლიერ დამაფრთხილებელია, რომ პეტრიწონში პეტრიწის ხელნაწერები არ მოგვეპოვება (ცნობილი მხოლოდ XV საუკუნის „საითხვენი დღესასწაულოანი“ — H 1760)⁸⁶. ა. შანიძე და ნ. ბერძენიშვილი პეტრიწონში ყოფნისას გულმოდგინედ ეძებდნენ ქართულ ხელნაწერებს, მაგრამ საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ახლა „ქართულის კვალი პეტრიწონის ხელნაწერებში არ შენახულა“⁸⁷. ამასთან იმ დიდი ფილოსოფიურ-თეოლოგიური მემკვიდრეობიდან, რომელიც პეტრიწის სახელითაა ცნობილი, არც ერთი შრომა არ დარჩა (ან თარგმნილია) პეტრიწონის მონასტრში (ყოველ შემთხვევაში ასეთი რამ ჩვენთვის უცნობია). იმაღება კითხვა: თუ პეტრიწი ამ მონასტრში იყო წელი მოღვაწეობდა, ასე პირწილად როგორ გაქრა მისი ნაყოფიერი?

5. XI—XII საუკუნეების მიწნაზე ბულგარეთში წარმოებდა სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლები ბიზანტიელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომელთაშიც მონაწილეობას იღებდნენ ბულგარული მოცილობლები, პელოპონეზისა და სხვადასხვა ჯერის მორაბიშენნი (ანა კომნენი მათ „შანიქველებს“ უწოდებს). ეს ბრძოლები დაიწყო 1082 წ. ფლიპოპოლის თემში მცხოვრები ბულგარელების აჯანყებით. ბიზანტის იმპერატორმა ალექსი I კომნენმა აჯანყების მეთაური მოიკლევა მოსინოპოლში და ყველა დაატყვევა, მათი ოჯახები კი აწიოიკამის ვაში 1084 წელს ალექსის ერთ-ერთი მსახური, ვინმე ტრავლი (ტომით ბულგარენი), ფლიპოპოლში გაიპარა. მან თავის ვარშემო შემოიკრია მოაწყენი, კავშირი დაამყარა პარისტრიონის თემში მცხოვრებ სკითებითან (დღეიანე ჩამოსულ პაწიანებთან) და იმპერიის ტერიტორიის დარბევა დაიწყო. ალექსიმ მოინდომა ტრავლის ხელში ჩაგდება მოტყუების გზით, მაგრამ ეს მან ვერ შეძლო. ამიტომ 1086 წელს მოაწყენთა წინააღმდეგ გაგზავნა ლაშქარი გრიგოლ ბაქურიანის ძმისა და ნიკოლოზ ვრანას მეთაურობით. მოწინააღმდეგეთა შეტევას მოხდა ბულგარეთისთან. იმპერიის ლაშქარი დამარცხდა, დაიღუპნენ გრიგო-

⁸¹ მ. შენგელი ა., ებრაელები, გვ. 45—46.

⁸² იხ. სტროფა 29.

⁸³ იოანე სინელი, კლემასი, რომელ არს ეიბე (ველითე მოაწილელს მარკანამ), 1902, ფოთი, გვ. 121.

⁸⁴ H ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ. IV, გვ. 189—195.

⁸⁵ ნ. ბერძენიშვილი, ძეგლი, 1949, გვ. 51.

ლი და გიანა. აქანებულზემა ხელთ იგდეს ქ. ფილიპოპოლი, რომელიც მალე ცვლავ ბიზანტიელებმა დაიბრუნეს. ამის შემდეგ ბრძოლებმა ფილიპოპოლის თემში ხან მიწოდებოდა, ხან ძლიერდებოდა. 1114—1115 წლებში აღესია დიდი ჯარით შეიჭრა სერდციში, პეტრიწონსა და ფილიპოპოლში და მკაცრად გაილაშქრა ერეტციოსთა წინააღმდეგ, რომლებიც ამ რაიონებში მცხოვრებ ქრისტიანებს არბევდნენ⁸⁹.

აღნიშნული პოლიტიკური ვითარების გამო 1082—1115 წლებში პეტრიწონის მონასტერი არ უნდა ყოფილიყო სამწერლობა-საწიგნეო მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობები. ძალიან საეჭვოა, რომ მაშინ იქ არსებულიყო რამდენიმე სამონასტრო ლიტერატურული სკოლა, რომელიც მიიზიდდა მანგანის აკადემიაში ვაწერთინლო ქართველ მოღვაწეებს, კერძოდ კი — იოანე პეტრიწის. ყოველივე ზემოთქმული გუდავობების, რომელთა ფილოსოფოსის საერთოდ არ უნდა ემოღონა პეტრიწონის მონასტერში. ეს არის დასჯენა, რომელიც გამომოდინარების არსებულ შესაძლებს კრიტიკული ანალიზიდან.

აღნიშნულის შედეგად უნდა დახსენებდეს ცნებებიც: პეტრიწონული სალიტერატურო სკოლა და პეტრიწონული სტილი. დღეს ამ ცნებებში გულისხმობენ იმ დიდ სალიტერატურო სკოლას და სამწერლობა სტილს, რომელიც დაკავშირებულია იოანე ფილოსოფოსის სახელთან. პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შემოქმედება შეიქმნა ნიწილობრივ მანგანის აკადემიაში და შავ-შაიხს, ხოლო ძირითადი გუდავობის აკადემიაში. ამიტომ ზემოაღნიშნულ ცნებებს უნდა შევადარებთ მათი აღმკვეთრი სახელები — პეტრიწის სალიტერატურო სკოლა და პეტრიწონული სტილი (XVIII საუკუნეში ქართველმა მოღვაწეებმა პეტრიწის ვნის ურდულს „ღრმული პეტრიწული“), ხოლო ცნებები — პეტრიწონული უნდა ვიგულისხმობთ ყოველივე ის, რაც პეტრიწონის მონასტერთანა დაკავშირებული. პეტრიწონის მონასტერი ქართული კულტურული კერა იყო და გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენი მწერლობის ისტორიაში, მაგრამ ამ თქნილად სწორია, თუ რაც გელოთში შეიქმნა, მას პეტრიწონის მონასტერს მივაწერდით.

5. არსის ბარი

არსენ ბერი დავით აღმაშენებლის უფროსი თანამედროვეა. ის ცნობილია როგორც დიდი საეკლესიო მოღვაწე, განთლებული მწერალიც დღითმეტყველების, ძველ-ბერძნული წარმართული ფილოსო-

ფიური მწერლობის, საეკლესიო სჯელის კანონებისა და სამონასტრო წესების საუბოო მკვლევ. არსენი 1103 წლის რუს-ურბნისის საეკლესიო კრების აქტიური მონაწილეცაა; დაუწერია მას ამ კრების განჩინება⁹⁰ და დავით აღმაშენებლის ხოტბა — მკვლევს დავითს მონაზონი არსენი⁹¹. მსვე მეფის „ბრძანებითა და ვერაჩინებით“ უთარგმნია ბერძნულიდან ანბრია კრიტიკოსის „დიდი კანონი“⁹²; 1123 წელს დავითს არსენის თხოვნით დაუწერია ანბრია, მიცემული შოი-მღვიმისადმი⁹³, ხოლო რაი წლის შემდეგ თვით არსენს მისგან ჩაუწერია საეკლესიო წიგნითი ანბრია⁹⁴.

ეს არსენი ყოფილა დავით აღმაშენებელთან ძლიერ დაახლოებული პირი. მეფე მას უწოდებს თავის „სასისა და განმართლებელს“, ან „მოძღვარს“; აძლევს რწმუნებას, რომ ააშენოს შოი-მღვიმეში „ეკლესია სასულიერო მონასტრისა, სახელსა ზედა ყოველად წმიდისა ღმრთისმშობლისა“ (დავითმა ეს ვერუსთა „მომადლებითა არსენისითა“ დაამთარგმნულ სააღმშენებლო თანხებს, საეკლესიო ინვესტირისა და სამონასტრო მამულებს. დავითი ყოველწინაირად ეწოდება მას. იგი შოი მღვიმისადმი მიცემულ ანბრიაში წერს: „ბროძისა, ბაზიქისა და მინისა კანლავის, რომელი მე მომიტანებია და რომელი არსენის დაუდგამს, ნუმღვაის უკადრებია გამოღება; სასართლები, სიწმიდის სასახური და რაიაც უნდა მისთვის, ოცდაათი ლტრა ვეცხლი წმიდისა არსენის ქელსა არს და ა. შ.“⁹⁵.

კითხვა ისმის: ვინ არის ჩამომავლობით არსენ ბერი? მკვლევრებს (თ. ყორღანისა, ზ. ჭიჭინაძეს და ა. ხახანაშვილს) ერთ ხანს იგი მიანიშნავდათ არსენ ივალთოვლად⁹⁶. კ. კვეციანიც უარყო ეს მოსაზრება, აღნიშნა: არსენ ბერი არის გვარად საღიბისე, ტბეთის სახარების (1162 წ.) ანბრიაში, — წერს კ. კვეციანი. — მოსხენებულია „არსენი, დი-

⁸⁹ თ. ყორღანისა, ქრონიკები, II, გვ. 54—68.

⁹⁰ იქვე, გვ. 68—70.

⁹¹ სწ. ზღნაშვილი № 70.

⁹² თ. ყორღანისა, ისტორიული საბუთები შოი-მღვიმის მონასტრისა, 1896, გვ. 14—19; მისვე, Записки царя Давида Воюбоносного, 1895, 34 გვ.; ანბრია დავით აღმაშენებლისა, ს. კვეციანის გამოც., 1912; ქართული საზრთოლის ძეგლები, II, თ. ფილიპოვის რედაქცია, 1965, გვ. 12—18.

⁹³ თ. ყორღანისა, ქრონიკები, II, გვ. 51—52; ქართული საზრთოლის ძეგლები, II, გვ. 18—20.

⁹⁴ თ. ყორღანისა, ისტ. საბ., გვ. 16; ქართული საზრთოლის ძეგლები, II, გვ. 14.

⁹⁵ ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობის ეპოქის მკვლევარი, 1887, გვ. 30—31; А. Хаканов, Очерки, II, გვ. 316; თ. ყორღანისა, ქრონიკები, I, 1892, გვ. 243.

⁹⁶ Анна Комнина, Алексиада, М., 1935, გვ. 180—181, 201—202; Г. Г. Литаврин, Болгария и Византия в XI—XII вв., 1960, გვ. 417—424. გეორგიანი, VI, 1966, გვ. 79—83, 106—107.

მიტრი მეფისა შვირველი, რომელიც, ეპის ვარეშეა, ჩვენს არსენ ბერი უნდა იყოს. ამ ანდრიაიდან ირვევია, რომ არსენი ყოფილა დისწული ტბეთის ეპისკოპოსის პავლესი... მას ჰყოლია ძმები: ნ ი კ ო ლ ო ბ ი, ქუთათელ მთავარეპისკოპოსი, ი ო ა ნ ე, ანგელი მთავარეპისკოპოსი... და ა ნ ტ ო ნ ი ოპიზის მონასტრის წინამძღვარი, რომელიც თამარ მეფის კორნაციისას მას გვირგვინი დაადგა თავზე. უნდა ვიფიქროთ, არსენ ბერიც საღიბსძე ყოფილა გვარად⁸⁷. ეს მოსახრება, რომელიც გაიხიარეს სხვა მკვლევრებმა⁸⁸, ტბეთის სახარების ანდრიათი არ მართლდება. პავლე ტბელი წერს: „საყდარისა ტბეთისას ისხნეს ძუენი წიგნი მრავალი და ახალი ყოლა არა. მრგულანისა კითხვა საქირო იყო და დიდად იკიროდეს. და დაეაფურე ესე ოთხთავი სრული და უნაყლუო კარგითა მართლითა ზანდრეთა და კანონითა სალოცვლად მრთიფ-გერგუნისათა მეფეთა: დიმიტრი—გაშურდელითა ჩემისა, გიორგი ძმის მათისა, და სასრად საწყალობელისა სულისა ჩემისა და მოსაყენებლად შობელთა ჩემთათეს, მიქელ და მარიამის, და ძმთა ჩემთა: ვიორგი, თეოდორე და კონსტანტინე; დათა ჩემთა: ცხოვრება, გუარანდუბე და ნონას; დისწულთა ჩემთა: ნ ი კ ო ლ ო ბ — ქუთათელ მთავარეპისკოპოსისა და არსენი — ქუთათელ მთავარეპისკოპოსისა, ა ნ ტ ო ნ — ოპიზისა წინამძღვარისა, ა რ ს ე ნ ი — დიმიტრის მეფისა შვირველისა და ყოველთა თვისთა და წათესათა ჩემთათეს“⁸⁹.

აქ მოხსენებულ პირთა შესახებ პ. კარბელაშვილი წერს, რომ იოანე ანგელი შემამკობელი „ანის პირის ღეთის ხატისა, რომელიც დღეს თბილისში ასვენია“, ხოლო ანტონ ოპიზარის გვიარდ საღიბისძეა, „დიდებულ გუარისშვილი, შემდეგ ქუთათელი, რომელმაც 1184 წელს მეფედ ცხებულ თამარ მეფეს მიაფარე გვირგვინი... ნიკოლოზ და არსენ ქუთათელნიც საღიბის ძენი არიან“. იმავე მოსახრებისავე თაყაიშვილი, ოლონდ ნიკოლოზის, არსენ ქუთათელისა და არსენ შვირველის შესახებ შენიშნავს: „მათი ვინაობა სხვა წყაროებიდან ჩვენთვის უცნობია; ხოლო კ. კეკელიძე ფიქრობს: ნიკოლოზ, იოანე, ანტონი და არსენ შვირველი არიან ძმები საღიბისძეებანი (არსენ ქუთათელის ვინაობაზე ის არაფერს ამბობს). განსვენებულ მეცნიერს ამ ვარაუ-

⁸⁷ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 307.
⁸⁸ ლ. მკვანაძე, ძველი ქართული მწერლობის კვება, I, გვ. 137—138, 193, 381.
⁸⁹ ივერია, 1900, № 229; MAK, XII, 1909, გვ. 156—157; Q ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, II, გვ. 352—355.

დის საფუძველი არ ჰქონდა. პავლე ტბელს ჰყოლია სამი და — ცხოვრება, გუარანდუბე და ნონა. მათი შვილები არიან: ნიკოლოზ და არსენ ქუთათელნი, იოანე ანგელი, „არსენ დიმიტრი მეფისა შვირველი“ და ანტონ ოპიზარი. მაივან ვინ ვისი შვილია, არ ვცით. ისინი ძმებდაც შეიძლება აღვიაროთ და დღედაშვილებდაც. თუ არსენ შვირველი საღიბისძეა გვიარდ, ვილა გვიარდ არსენი, რომელიც ქუთათელ მთავარეპისკოპოსად მოხსენებულნი? მათი მამისა (თუ მამების) ვინაობა ჩვენთვის უცნობია და, ცხადია, ვერც ერთ არსენს საღიბისძედ ვერ შევიჩნევთ. ამ გვიარდს არსენს, როგორც შვირას, ჩვენი ისტორია არ ჩნევთ. ამ გვიარდს არსენს, როგორც შვირველს, რომელიც ლოცუემენტში მოხსენებულთა დიმიტრი მეფისაგან გაზრდილი პავლე ტბელის დისწულია. ამ ორ არსენს ერთმანეთისაგან ნახევარი საუკუნე მაინც აციწულად. არსენ ბერი XII საუკუნის 30-იან წლებში უნდა გარდაცვლილიყო, არსენ შვირველი კი გიორგი III-ის (1156—1184 წწ.) თანატოლი ჩანს და თამარის მეფობისას მოესწრაფებოდა. ასე რომ, ეს ორი არსენი სხვადასხვა დროს ორი სხვადასხვა მოღვაწეა.

მაშ, ვინ არის არსენ ბერი?
 მეგობრობთ ტრადიციულ ცნობებს.
 1. „აღორძინების ხანის“ ბიბლიოგრაფიულ წყაროებში არსენ ბერი, როგორც დამოუკიდებელი შვირველი და მოღვაწე, არ ჩნებებოდა. იგი აწველან დაეკურთხებულა არსენ ივალთოელის სახელთან. მაგალითი აწველან დაეკურთხებულა არსენ ივალთოელის მიძღვნილთა, „წყობილისტიკვანობაში“ არ მოიპოვებდა არსენ ბერისადმი მიძღვნილი იამბიკო; ანტონ ბაგრატიონმა იცის, რომ ეს არსენი არის ივალთოელი, რომელიც საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა „შოი-შლიმეში (სტრ. 758):“

შოი მმარხველის საზილობო სიანე
 მისობრანე შენ საცხოვრებლად, ა რ ს ე ნ ი.

2. დავით რექტორის ცნობით ივალთოელი „იყო მოძღვარი მეცნიერებისა მეფისა დავით აღმაშენებლისა. თუ ვინცისლავთ ქართულსა ღელისა სქელის კანონისა ბოლოს ამისგან (ივალთოელისაგან, — ი. ლ.) მიწერილსა დავით აღმაშენებლისა შიშართ ეპისტოლესა, თავს ასე იწუება: ღამისდა მომართ რასა სიბრძანს-მოყვარება და შემღვდობი...“¹⁰⁰ მართლაც, დავით აღმაშენებლის ხოტბა „მეფეთა დავითის მომადონი არსენი“, რომელიც არსენ ბერს მიეწერება, იწყება ამგვარად: „ამბოთლა მომართ რასა იტყვი, რომელსა, შიბრძანს-მოყვარება...“¹⁰¹

¹⁰⁰ Q 401, გვ. 25 (იხ. სიტყვა „არსენი“). ე ა ხ უ ტ ი ე ბ ა ტ ო ნ ი ვ ი ე ლ ა, საქართველოს გეოგრაფია, 1941, გვ. 341.
¹⁰¹ ი. მ. გიორგიანი, კრიონიები, II, გვ. 68.

ამ ტრადიციული ცნობების სისწორეს ადასტურებს ფალოთელისა და არსენ ბერის შრომების ანალიზიც. აგრეთვე ბიოგრაფიული დეტალების დამოხვევა, საიდანაც ირკვევა, რომ არსენ ბერი და არსენ ფალოთელი ერთი და იგივე პირი ყოფილა. აი, ამისი სხვა წინამძღვრებში:

8. დღით აღმამყენებლის მიერ 1123 წელს შიო-მღვიმისადმი მიცემული ანდერძით, არსენ ბერი მოღვაწეობის შიო-მღვიმეში: იქ მკლესის შვენებლობასა და სამონასტრო საქმეებს ხელმძღვანელობს. იულიუს ცხოვრობს შიო-მღვიმის საფანეში. ამას ადასტურებს „ლოლ-მატიონის“ ცნობითი მონაწილე: „არსენისა მისრული მღვიმეს (იგივესსხმება შიო-მღვიმე.—ა. ლ.) იტყეს დავით მეფე: მე მაინდელი კაცი ვარ, ოღეს არსენი დარჩილი ჰქამა, მარჯუნენასა გუერდასა ზედა წყა, ნისელსა იუთხილა და დოღმატიკონსა აწამებდა და ცქლსა სოფი-წმინდასა იგივე მარტოა იქმოლა“¹⁰².

4. იმავე ანდერძში დავით წერს: „მობრძანეს სასომან ჩემმან ბერმან არსენი და თვით სულიერმან ბერმან, მოძღვარმან ჩემმან იოანე, რათაცა წესისა ზედა სვიმონ-წმინდისა დაესხნენ მონასტრისა მღვიმისა წესნი, რომელი მათ მიერ აღწერილი იქნეს ყოვლად შეუერებლად“¹⁰³. არსენის თხოვნით დავითს იმავე სვიმონ საციირველ-მოქმედის მონასტრისათვის შეუწირავს ზოღაბენი: „სობსტერი, ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის, გაუწესებია და მე ზოღაბენი შენიწირავს მუხრანს წმინდა სვიმონ საციირველ-მოქმედისადა... იგი, ვითარცა თვით არსენი განაწესის, ეგრე იქმნას“¹⁰⁴.

იმაღება კითხვა: არსენ ბერი რატომ ასე გულმოდგინედ ზრუნავს სვიმონ საციირველ-მოქმედის მონასტრისთვის ან რატომ შემოიღო მან შიო-მღვიმეში შავი შთის სამონასტრო ტიპიონი? ეს გასაგები ვახდება მაშინ, თუ გავიხსენებთ, რომ იუალიოელი ორი ათეული წლის განმავლობაში მოღვაწეობდა შავ-მთაზე; სვიმონ საციირველ-მოქმედის მონასტრში ვფერებ მცირესთან და კარგად იცოდა იქაური სამონასტრო წესები. ამიტომაცაა, რომ შიო-მღვიმეში არსენი ამბარებს ისეთ-სავე ლიტურგიულ-დისკალინარულ წესს, რომელიც არსებობდა თავისი მოძღვრის — ვფერებ მცირის საფანეში, და ზრუნავს თავისი ნაბინავარი საენისთვის მატერიალური ბაზა შექმნას საქართველოში.

5. 1103 წლის საეკლესიო კრების განჩინებაში (ე. წ. „ძეგლის წერა-ში“), რომელიც დაწერილია არსენ ბერის მიერ, შემონახულა იუალიოელის შრომების ნაკვალევი.

ა. არსენ ბერი ქრისტეს შესახებ წერს: „იგი იყო პირშეო ყოვლისა ძეგბულისა, თავს იღვა პირშეო მრავალთა მბათა შორის ყოფა“, ან: „არა-არსისაგან არსებელ მომყვანებელმან ღმერთმან უხილავთა მათ ზესთა სოფლისათ ძალთა ბუნებას ეუფლებითა და უბრუნებლობითა შეამკო“¹⁰⁵. ეს ფრაზები გამოხატულია მიქაელ ფსელისის ფილოსოფიურ-გვანჯეტარული თხზულების „პირშეოსისეს“, რომელიც უთარგმნია არსენ იულიოელს და შეუტანია თავის ცნობილ „ლოღმატიკონში“. ამ ძეგლში განმარტებულია, რატომ ეწოდება ქრისტეს „პირშეოა ყოვლისა-ავებულისა“ (ყოლსელთა I, 15) და „პირშეოა მრავალთა მბათა შორის“ (რომაელთა VIII, 29). აქვე კუთხულობთ ფილოსოფიურ-თეოლოგიულ მსჯელობას, თუ როგორ იქმნა „არა არსისაგან არსად მოყვანება“¹⁰⁶.

ბ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანაშრომელმა ე. გიუნაშვილმა გამოარკვია, რომ „ძეგლის წერის“ ერთ-ერთი წყარო ყოფილა სასტუმრო კანონის“ იუალიოელისმიერ თარგმანი და კანონთა სია ორგვე ძეგლში ერთნაირი თანმიმდევრობითაა დაცული¹⁰⁷.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს დავსაყენათ: არსენ ბერი და არსენ იუალიოელი ერთი და იგივე პირია. არსენ იუალიოელი არის დავით აღმაშენებლის მოძღვარი და სახელმწიფო რეგენტს, მეფე და ფილოსოფოსი ერთნაირ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თვალსაზრისს ავითარებენ და შეთანხმებულად ეწევიან სახელმწიფოებრივ და სასწერლო მოღვაწეობას.

6. ღვათთ ალშაშინაშვილის ინსტორიკონი

„ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ თხზულებათ შორის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“, რომელსაც ჩვეულებრივ დავით აღმაშენებლის ისტორიას ეწოდებთ, ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი უბრწყინველესი ძეგლია. მისი ავტორი დიდად განათლებული სასულიერო მწერალია; საუცხოოდ ჰყოლობს ქართულ და ბერძნულ ენებს, იცნობს თავისი ეპოქის საქართველოს ცხოვრებას და მწერლობას, იცის ქრისტიანული თეოლოგია, ბერძნულ-ბიზანტიუ-

¹⁰² S. 1463, ფ. 181. თ. ორბელიანი ფიქრობს, რომ ეს არსენი უნდა იღოს არსენ II კათალიკოსო, მაგრამ ეს ვარაუდი შეუძლია (ქრონიკები, I, 23, 246).

¹⁰³ თ. ორბელიანი, ისტ. საბ., 23, 16; ქრონიკები, I, 23, 246.

¹⁰⁴ ისტ. საბ., 23, 17; ქრონიკები, II, 33, 16.

¹⁰⁵ თ. ორბელიანი, ქრონიკები, II, 33, 60.

¹⁰⁶ ი. ლ. ა. შვილი, მიქაელ ფსელისის ფილოსოფიურ-გვანჯეტარული ტრაქტატი „პირშეოსისეს“ (ძველი ქართ. მწერლობის საკითხები, II, 1964, 23-80-84).

¹⁰⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესიის ოქრესები, 1964, 33, 11-12.

რი ისტორიოგრაფია, მითოლოგია და პოეზია; აზროვნებს ფართოდ, ღრმად და ბრძნულად; მსჯელობს ნათლად და ენაშხეობს ბრწყინვალედ.

ეს ისტორიკოსი დავით მეფის თანამედროვეა, თანადაზნაფილი თითქმის ყველა იმ ამბისა, რომელიც აღწერია მის პირველ დიდ თურქობიდან (1080 წ.) დავითის ვარდაცვალებამდე (1125 წ.); მეფესთან დაახლოებული პირაცაა: იცნობს მის ინტიმურ ცხოვრებას, სარგებლობს სამეფო ბიბლიოთეკით, სწავლავს მეფის მიერ წყაობულ წიგნებს; იცის დავითის ცხოვრებიდან ზოგიერთი ისეთი რამ, რომლის მოწმეც შეიძლება მხოლოდ თვითონ ყოფილიყო.

«ცხოვრება» დაწერილია დავითის ვარდაცვალების უმაღლეს 1130 წლამდე, ე. ი. გელათის მშენებლობის დამთავრებამდე (ი. ჭავჭავაძისა და კ. კეკელიძის ვარაუდით 1123—1126 წლებში). ტექსტს ავლია შესავალი და ანდერძი, რომლებშიც დაცული იქნებოდა ბიბლიოგრაფიული (თუ სხვა ხასიათის) ცნობები თხზულების ავტორის, მისი შინადასახულებისა და დაწერის თარიღის შესახებ. რაჟი ამგვარი ცნობები არ მოგვეპოვება, მკვლევრები აღნიშნულ საკითხებზე ტექსტის შინაარსობრივი შესწავლის შედეგად ვამოტივებენ მოსაზრებებს.

თ. გორდანიას ვარაუდობს, რომ «ცხოვრება» დაწერილი უნდა იყოს თანვე ათალიკოსის ან სვიმონს კუნიანდლის მიერ. ის არსენ იყალიკოსის ავტორობის შესაძლებლობას ვამორიციხავს¹⁰⁹.

ი. ჭავჭავაძის წერს: «ვინ იყო ის ისტორიკოსი, რომელმაც დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა ავტოგრაფი, ჩერეგობით არ ვიცით. არც თვით ისტორიკოსი, არც სხვა რომელიმე წყაროში ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება»¹⁰⁹.

ს. კაკაბაძე¹¹⁰, კ. კეკელიძე¹¹¹, ლ. შენაბლაძე¹¹² და ჟ. ოდიშელი¹¹³ ფიქრობენ, რომ «ცხოვრების» ავტორია დავით აღმაშენებლის ანდერძებში მოხსენიებული არსენ ბერი.

დღეს ჩვენს მეცნიერებაში ფესვ იღებამ უახსნარელი მოსაზრება; მისი დასაბუთების ცდა ამ ორივე წლის წინათ მოკცა ჟ. ოდიშელმა; მაგრამ იგი შემოიფარგლა მხოლოდ ლიტერატურული პარალელებით.

არსებითად მას არსენ ბერის ავტორობის სასარგებლოდ მტკიცე საბუთი არ მოუშველებია. ზეით ვამოყარეკით, რომ არსენ ბერი არის არსენ იყალიკოსი. იყალიკოსი კი, როგორც საშირლიანად შენამდგენი მკვლევრები, არ შეიძლება ვცნობ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსად, რადგანაც ტექსტში ის მოხსენიებულია ქება-დიდებათი როგორც «თარგმანი და მეცნიერი ბებრქმენა და ქართველთა ენათა და განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა» (გვ. 356), წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავის თავს შექმნის არ იყალიკოსად.

მამ, ვინ არის ის პირი, ვინც «დავითის ცხოვრება» დაწერა? ნუთუ მისი სახელი ისტორიკოსი დავითი? — ვფიქრობთ, არა! ცნობა დავითის ისტორიკოსის ვინაობაზე შემოწინავეს «ისტორიკოსთა და აზმათა» ავტორს. მისი თხზულების დასაწყისში თამარ მეფის წინაპრებზე ნათქვამია (გვ. 3):

«მამად მისდა (იგულისხმება თამარი, — ი. ლ.) იქმნა გიორგი, მეფე მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსა დავითაც გვდა ძედა, ძესა დავითთანისასა»¹¹⁴, და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღუარათა დამდებელისა და ზღუთა[ნა] ზღუთამის მკურნაბელისა, რომლისა დიდებითა, სიძინითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოვანე ფილოსოფოსისა კიმიკიელისა შესსხა-მითხრობა. დიმიტრისა, მჭენესა ჯდომათა შინა და მძღესა ბრძოლისა შინა, ორი ძე ებადა»¹¹⁴.

ეს ტექსტი «ქართლის ცხოვრების» ნუსხებში (ვინაყავთრებით მარამ დედოფლისეულ ვარიანტში) ძლიერ დამახინჯებულია. ამიტომ ერთხანს ნ. შარისიძის ვაუტებარა იყო, ვის ეხებოდა კიმიკიელისა შესსხა-მითხრობა. იგი წერდა: «ქართლის ცხოვრების მარამ დედოფლისეულ ნუსხაში (გვ. 363—364) იხსენიება დავითისა თუ დიმიტრისა შესსხა, რომელიც მიეწერება ფილოსოფოსს იოვანე კიმიკიელს»¹¹⁵. რამდენიმე წლის შემდეგ მან ეს მოსაზრება შესწორა ამგვარად: «По одному списку Грузинских летописей, «Философу Иоанну Чимичелю должно принадлежать недомошедшее до нас «похвальное слово (შესსხა-მითხრობა) царю Димитрию (1125 — 1154), доблестному в нападениях и победоносному в боях»¹¹⁶.

¹⁰⁹ თ. გორდანიას, ქართულები, II, გვ. XLVI.
¹¹⁰ ი. ჭავჭავაძის, დავით ქართული საისტ. მწერლობა, 1945, გვ. 208.
¹¹¹ ს. კაკაბაძის, დავით აღმაშენებლის მემორიანის ვინაობა, 1912.
¹¹² კ. კეკელიძის, წიგნი ლიტ. ისტორია, I, გვ. 309—314; II, გვ. 262—265.
¹¹³ ლ. შენაბლაძის, მკვლე ქართული მწერლობის ავტორები, I, გვ. 137—138, 193, 381.

¹¹⁴ ჟ. ოდიშელი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, ზღუნარული ინსტიტუტის შიამბე, V, 1963, გვ. 211—220.

¹¹⁴ კ. კეკელიძის წყაობისას «ესა დავითთანისა» ასწორებს როგორც აქვს დავითთანს (ისტორიკოსი და აზმათა შარაინდელისი, 1941, გვ. 54). ასეთი გასწორება მიუღებელია. მშენ მომდევნო ამხსნულ სიტყვებში («მეციხოვნისა», «დამდებელისა» და «მკურნაბელისა»), რომლებიც ნათესაობითი ბრუნვითა მოცემული, უნდა შესწორდეს მოცემოთი ბრუნვით («მეციხოვნისა», «დამდებელსა» და «მკურნაბელსა»). ამის უფლებას კი არ გვაძლევს ზღუნარეთა ვარიანტი.

¹¹⁵ TP, IV, გვ. 26.
¹¹⁶ H. Марр, Нови Петрицкий, გვ. 5.

ეს განმარტება გაიზიარეს ი. ჯავახიშვილმა, ს. გორგაძემ, კ. ძველიძემ, პ. ინგოროვამ და ყველა იმათ, ვინც პეტრიწ-კომპიშელის შესახებ საერთოდ ნარკვევები გამოაკვეყნეს. კ. ძველიძემ უცვლელად გაიმეორა ნ. შარის დებულება: „იოანე ფილოსოფოსისა კომპიშელისა შესახებ-მოთხრობა აღმოჩინეს დიმიტრისა, მწესსა კლომათა შინა და მძღესა ბრძოლასა შინა“¹¹⁷.

„ისტორიათა და აზმათა“ ცნობის შინაარსი დასახელებულ მკვლევართა მიერ რამდენადმე შეცვლილია. ისინი აერთებენ ორი სხვადასხვა წინადადების წყარებს. სიტყვები „აღმოჩინეს იოანე ფილოსოფოსისა კომპიშელისა შესახებ-მოთხრობა“ არის „რომელიც“ კავშირისა იმხნელი წინადადების დასასრული, ხოლო სიტყვები „დიმიტრისა, მწესსა კლომათა შინა და მძღესსა ბრძოლასა შინა“ — მომდევნო წინადადების დასაწყისი. მათი ერთი წინადადებად გაერთიანება უპართებულ იქნებოდა. ეს შეცდომა „აზმათა“ კრიტიკულ გამოცემებში გასწორდა იმგვარად, როგორც ზევით დამოწმებულ ციტატებშია. ამ გასწორებამ წინადადების ბირთვი შეცვალა, რის გამოც საჭირო გახდა კომპიშელის თხზულების რაობის ხელახალი განხილვა. ჩემს წინაშე აღიჭირა ორი კითხვა: ვინ არის „შესხმა-მოთხრობის“ ობიექტი და მიაღწია თუ არა ამ ძეგლმა ჩვენამდე?

სხენებულ „შესხმა-მოთხრობას“ ი. ჯავახიშვილმა უწოდა ჯერ „დიდი ისტორიული პოემა“¹¹⁸, მერმე — „დემეტრე I-ისა და მისი ძემების თავგადასავლისა და მოღვაწეობის აღწერილობა“¹¹⁹, პ. ინგოროვამ — „ესპილოლოგია“¹²⁰. ცნობის მიხედვით, ეს საისტორიო ძეგლი „ისტორიათა და აზმათა“ მსგავსად ხოტბისა და ამბავთა შემცველი თხზულებაა. იგი უპირველესად „ცხოვრებაა“, რომელიც მოთხრობილია მეფის დიდება, მზნება და გვაროვნული ჩამომავლება. ის ამავე დროს წარმოადგენს ხოტბას, რაჟი ამგვარი თხზულება დიმიტრი მეფეზე არ მოგვეცემა, მკვლევრები „შესხმა-მოთხრობას“ ჩვენამდე არმოდღეულ ძეგლად სთვლიან. ვფიქრობთ, კომპიშელს (ანუ პეტრიწს) დიმიტრი მეფის ცხოვრების ამსახველი თხრობა („თავგადასავლისა და მოღვაწეობის აღწერილობა“) საერთოდ არ დაუწერია. იოანე პეტრიწი, დავით აღმაშენებლის უფროსი თანამედროვე, შეუძლებელია დიმიტრი მეფის მთელი ცხოვრების მომსწრე და მემატიანე ყოფილიყო.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანილი სენაქსიარული საკითხავი „ცხოვრება დიმიტრი მეფისა“ (I, გვ. 365—367) დაწერილია

„დავითის ცხოვრების“ მიხედვით. მის ავტორს ამ თხზულებიდან ამოუღია დიმიტრის გამეფებისა და ქალაქობის ციხესთან ბრძოლების ამბები. სხვა დანარჩენი ცნობები მას შეიძლება სკოლინოდა საშუაო ოჯახში (დაცული ტრადიციული გადმოცემებიდან, ხოლო დიმიტრი მეფის დასასათუბა თვით საკითხავის ავტორს უნდა შეეხებოდა. ასე რომ, „დიმიტრი მეფის ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია არ არსებულა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში დამატალი იქნებოდა, ან მისი კავლი სადმე ასახებოდა. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ცნობა კომპიშელის „შესხმა-მოთხრობის“ შესახებ გვხვდა მხოლოდ „დავით აღმაშენებლის ცხოვრებას“. ვაწიხილობთ ეს ცნობა შინაარსობრივად:

„აზმათა“ ავტორი ზემოთ დამოწმებულ ციტატაში ისხენიებს ხუთ მეფეს: დავით აღმაშენებელს, დიმიტრის, დავითს, გიორგისა და თამარს. შთაგან დავით აღმაშენებელი ცნობაში სახელები ვერ არის დასახელებული. ისტორიკოსს მას ენათეტებები აქვს. შინაარსიდან ჩანს, რომ „დავითიანი“ და „აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეცხოვრებელ“ ზღუარათა დამდებელი და ზღუათაგან ზღუადის მყვრობელი“ არის დავით აღმაშენებელი. თუ ამ ენათეტების ნაცულად გასვამით იმ პირის სახელს, რომელიც ციტატაში იგულისხმება, ჩვენი მსჯელობა დამაჯერებელი გახდება და „შესხმა-მოთხრობის“ ობიექტიც გამოიწდება. შევარალი ამბობს:

თამარის მამად იქნა მეფეთ-მეფე გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსაც დავითიც უწვა: ძღღ, ძესა დავით აღმაშენებლისსა, რომლისა (გ. ი. დავითის) დიდებუთა, სიძნითა და გვართა ცხოვრებას მოვიტოხრობს იოანე ფილოსოფოსისა კომპიშელისა „შესხმა-მოთხრობა“.

სანამ ამის საფუძველზე სათანადო დისკუსია ვამოციტანდეთ, საჭიროა გავიხსენოთ „აზმათა“ ავტორის ერთი სტილიტური თვისებებებება: რომელიც რთულ ქვეყნობელ წინადადებაში მთავარი წინადადების რომელიმე წევრს მასნის რამდენიმე „რომელიც“ კავშირისა წინადადებათ. მაგალითად, („გიორგი მეფემ“) დავდა თუი მისთ მონაგები და მისთა ტყუეთაგან მონაგები ციხესა შინა უფარმოვასისა, რომლისა იგვეულ იყო ვახტანგ გორგასლისაგან, რომელსა შინა თუი აღსურულა რომი იგი ღომათა და გოლიათი გოლიათითა“ (გვ. 17). იქ კავშირი „რომლისა“ ვხვბა არა „ვახტანგ გორგასლის“, არამედ „უფარმის ციხეს“. ამის ანალოგიით შეიძლება გვედიტარა, რომ კომპიშელის „შესხმა-მოთხრობა“ ვხვბა დიმიტრი მეფეს და არა სხვა რომელიმე პირს, მაგრამ ეს შესაძლებლობა ამ შემთხვევაში ვამორიცხებოლი, რადგანაც კომპიშელის დიმიტრის ცხოვრებას ვერ აღწერდა იმის გამო, რომ იგი მოცუწრო მხოლოდ მისი მეფობის დასაწყისს, მასსადაც, „შესხმა-მოთხრობა“

¹¹⁷ კ. ძველიძე, ქართული ლტ. ისტორია, I, გვ. 316.

¹¹⁸ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913, გვ. 657.

¹¹⁹ მ. ს. ს. გ. ძე. ქართ. საისტ. მწერლობა, 1945, გვ. 245.

¹²⁰ პ. ინგოროვა, ობხულებანი, I, გვ. 158.

ვევლი, რომ მეორე პეტრიწა და მეორე არსენს უწოდებდნენ. მ. წულუბიძე მის პეტრიწის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლად აცხადებს.

იეზუიტების შემკვიდრებობიდან ცნობილია სამი იამბიკო¹²⁸, ერთ-ერთი მათგანში შექმებულია პეტრიწი, რაკოტაჲ «ნათელმოფელი აღთა გულსათაჲ».

«სულეშაისი» ლექსების რედაქციას (ე. ი. «სათნოებათა კიხის») ერთ-ერთს აკროსტიქული იამბიკო, რომელშიც პეტრიწი სთხოვს იოანე სინელს ლეთის წინაშე შეამდგომოს: «მეოხმეკმენ, მამაო იოვანე, შე — იოვანეს, მოსაგნა შენსა» (სტრ. 302). ამაზე იეზუიტული უბასუბესს: «შენნი იოხხე, მამაო იოანე». ეს აკროსტიქი ხუთი ტიპისგან შედგება. ყოველი მათგანი გაყოფილია ორ მუხლებად (5+7), რომელთა აკროსტიქული დსაწყისი-დასასრული გვაძლევს ბოლო ტიპს. ტექსტი შინაარსობრივად ბუნდოვანია. აი ესეც:

ამდვენ სულენი,	ორფევეს ვმაო დამსწენლო,
ნათელ-მოფელი	აღთა გულსათაო.
ნათიათა კვირა	შესიცი ვშათისა შესა
ესე შილდ	აღმონენნი შემოდუნაჲ.
შენნი იოხხე,	მამაო იოხხე!

ამ იამბიკოში იეზუიტული გეჟუდის ერთ-ერთ ძველსა და საწმილ ცნობას პეტრიწის ლიტერატურულ შემკვიდრებაზე. ირეკვეა, «სულეშაისი», მართლაც, იოანე პეტრიწს გაუღმკესას. მის ხელს ჰქონია «საკემნა, ორფევეს ვმაო დამსწენლო» (ე. ი. საკრავი მუსიკალური ინსტრუმენტი) და ისე შეუთხზავს «ხესთა მუსიკო ვმაო» უცუფთი იამბიკოები.

დავით აღმაშენებლის უმცროსი თანამედროვედ უნდა ვეწოდო გელათელი მოღვაწე «მამა პეტრე», რომელიც ჩვენს მენიერებაში ცნობილია პეტრე გელათელად. ანტონ ბაგრატიონი «ყოფილი სიტყვათაში» მის აღზევებულ ქებას უძღვნის (სტრ. 768—769):

სტანი პეტრესნი იეზუიტობით,
 ან იოანეს ჰქუენან ფილოსოფოსი,
 ან არსთს იუდაიოელს დიდარს,
 ანუ ვფრემს ქართველას ნათობათასს,
 ანუ ეპაქალ, მარქსუნე ესე, მანენი

¹²⁸ ქ. აქვქელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 306—307; ძველი ქართული ლიტ. კრესტიანობა, II, გვ. 379—380.

ესაზენ წყარონი პეტრე ფილოსოფოსი,
 რიტორიკოვი ესეი, ღმრთის-მეტყველ-აქრაციო-ვოდი,
 შემფრინარეს, შელამა-შეკრიალეს
 პიტრე პეტრე სავრეველსნი.
 ამიდ შეე უბა ვაქუა მისა მოუღო შინა 187.

პ. იოსელიანი ამბობს, რომ ეს «მამა პეტრე» ასეც ხერხდება 1250 წელს, დასაფლავდა გელათის მონასტერსა. თუ რას ემყარება იგი, არ ვიცით, მაგრამ ერთი რამ ცხადია: პეტრეს მართლაც გელათში უმოღვაწეონია, მხოლოდ არა 1250 წლის მახლობლად, არამედ გაცილებით ადრე, შეიძლება იეზუიტების დროსაც ან მასზე უწინ, რადგანაც XII—XIII საუკუნეების მიწაზე იგიც უცუფ ცნობილი იქნებოდა ერთი ყოფილა. პეტრე გელათელს მიაწერენ რამდენიმე თხზულებას¹²⁹ (მათ ჩვე-ნამდე არ მოუღწევიათ), ამიტომ პეტრეს ლიტერატურულ საქმიანობაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით.

ქ. აქვქელიძე აღნიშნავს: «ერთადერთი შრომა პეტრესია, რომელსაც მისი სახელი აწერია, არის თარგმანი იოანე სინელის კლემაქსისა პატრიარქი ფოტის სქოლიოებიტურთ (A 39)... ამ თარგმანიდან ნათლად ჩანს, რომ პეტრე მიმდევარი ყოფილა პეტრიწონელს სკოლისა, რომლის ნორმებს ჩვენი ეხედეთ ამ თარგმანის ყოველ სტრიქონში»¹³⁰. ახლა უცუფ ვარკვევლია, რომ არც ეს თხზულება გუთვინს პეტრე გელათელს¹³¹. მხოლოდ მის დაუწერია ორი იამბიკო ერთხუფთეული. მათში შექმებულია იოანე სინელი და მისი თხზულებების მთარგმნელი იოანე პეტრიწი. ეს ირეკვეა დიდი სხეუბული ორი იამბიკოს შინაარსობრივი ანალიზიდან და სხვა წყაროებთან მათი ცნობების შემაბრისპირების საფუძველზე.

არსებობს ანტონ ბაგრატიონის ცნობა (დაცულია «საქელაში»), რომ იოანე პეტრიწმა ბერძნულიდან ქართულად გიღმოილო იოანე სინელის «სულეშაისი» ორკვერად: «პირველი ვიდრემე განკარგულად, ხოლო მეორე — იამბიკოვანად». ამ ცნობას იმეორებს დავით რეტიორი: «მე უცუფ მინიაცუნ და წამიეთხიზუნ» იოანე სინელის «სულეშაისი»,

¹²⁹ შტრა. იოანე ბაგრატიონი, კლასიკა, II, გვ. 178.
¹³⁰ წყობილიტყვათა, 1823, გვ. 267; ზ. კვიციანიძე, ქართული მწერლობა XII—XVI საუკუნეებში, გვ. 2.
¹³¹ ქ. აქვქელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 333—334. შტრა. ზ. გ. ნ. ბ. ვ. ძველი ქართული მწერლობის ცვაზები, I, გვ. 538—539.
¹³² ი. ლილიევილი, იოანე პეტრიწის ერთი «დაკრეველი» თარგმანისათვის (ლიტერატურული სკანდალი, 1965, № 1.).

„სიოლასტიკოსად ზედწოდებულნი“ და ესევე „კლემასის“, „დალემასი-ლი იბრიკოლ და აკროსტიხორად კიდურ-წერლობითი“.

ისტორიკოს-მკვლევართაგან პ. ოსელაინი, მ. ყანაშვილი და ს. გორჯაძე აღნიშნავენ, რომ პეტრიწს უთარგმნია „კლემასის“ პროზად და გულუქსავს იამბიკოდ, მაგრამ პროზად უთარგმნია არა ჩანსო. ჩვენ საგანგებოდ დაინტერესდით ამ დაკარგული თარგმანით. აღმოჩნდა, რომ პეტრიწი ავტორია „კლემასის“ იმ პროზადი რედაქციისა, რომელი აქამდე პეტრე გელათელს მიეწერებოდა. ამ რედაქციის ტექსტი დიდხანს ცნობილი იყო მხოლოდ ერთი ნუსხით (A 39), რომელიც გადაწერილია პერგამენტზე ხელნაწილად დაახლოებით XII — XIII საუკუნეთა მიჯნაზე, მაგრამ „კლემასის“ ხელნაწილად შესწავლისას გამოვლინდა ამავე რედაქციის სამი სხვა ნუსხაც. მათგან ორი (S 344 და H 2346) გადაწერილია ნუსხურად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, მესამე (H 2188) — მხედრულად XIX საუკუნის დასაწყისში¹²¹.

ცნობა მთარგმნელს ვინაობაზე შემოიწინავეს ორ ხელნაწერს — გვიანდელს (S 344) და უძველესს (A 39).

S 344-ე ნუსხის ფორზაზეც იკითხება დავით დადიანის მინაწერები: „უფრემ მცირისა თარგმანისა ნათარგმანებად ვკონებ“ და „ვმოკუნებო მოტევენას, ჰოი, საძლიერო ფილისოფოსო იოვანე (იფულისს-მება პეტრიწი, — ი. ლ.), ამაღ რომე ნამროში შენი სხვათა ნათარგმანებად ვკონე“¹²². ... დავით დადიანს „კლემასის“ მთარგმნელად ჯერ უფრემ მცირე მოიხსენია, მაგრამ მალე ეს შეცვლია. ვაღსწორებია და თხზულების მთარგმნელად პეტრიწი უცხია. თუ რა წყაროს ემყარებოდა და დადიანი, არ ვიცი, მაგრამ ის უცნობი წყარო სანდო უნდა ყოფილიყო, რაჟი მის ნამდვილობას სხვა ძველი ცნობები ადასტურებენ.

A 39 ხელნაწერის 219-ე ფურცელზე მოთავსებულია ორი იამბიკო, რომლებიც შეუთხზავს პეტრე გელათელს იოანე პეტრიწისა და „კლემასის“ ავტორის საქებრად. ის იამბიკოები ჩამსულა წითურად შესრულებულ მრველ-წარწერებში¹²³. პირველის გარშემო იკითხება: „იოანე განსთავად ვმეც ვედ გელათის ნავეთის, მეორის გარშემო — „პეტრე წერდა(ს). ვე ცად დაცეად-რე წერტეა“. მათ კვეშ წითურად დართულია შენიშვნა: „წითელთა მრგულთა შრობად-მოთხველი არა სციო“.

მრველ-წარწერები ისე შედგენილი, რომ ორივე მართლად იკითხება — მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც. წარწერებში ჩართულია ქართული ასოებით ციფრები, რომლებიც მიანიშნებენ საეკლესიო სიმბოლურ ცნებებს. ამიტომ მწერალი მკითხველს აფრთხილებს: დავიკრებებით წაიკითხოთ, არ შესცდითო.

პირველი მრველ-წარწერა ეხება „კლემასის“ მთარგმნელს. მისში ჩართულია ერთი შეხვედით გულუქსავი „ადევ ვედ“. ეს ნიშნავს „3456 654“-ს. მათი ჯამი უდრის 33-ს. წარწერის აზრი ასეთია: „კიბე განსთავად 33 გელათის ნავეთი“. „ოცდაცამეტე ქრისტეს წლოვანების აღნიშვნელი ციფრია. მწერალს ქრისტეს ცხოვრების თვითველი წელი სიმბოლურად ესახება სასუფეველში ასამაღლებელი კიბის საფეხურად“.

მეორე მრველ-წარწერა ეხება საკუთრივ პეტრეს, იამბიკოების ავტორს. იგი პირველთან შესარჩევით რთული ვახსოვრია. კ. კვეციანი და ს. ყუბანეიშვილი მის პირველ ნაწილს კითხულობენ ასე: „პეტრე წერდა(ს) ვეცადე“... ხელნაწერში: „წერდა“. ვიდაცას რ-სა და დ-ს შორის ზევიდან შავი მელნით მიუწერია ე. უნდა იყოს — „წერდა“ (თუ ა-ს ჩაეადებოდ, წარწერაში დაირღვევა მართლად დაწერილობის პრინციპი): „30“ და „ცად“ შეიძლება გავევმიფრა ორგვარად: „ვეცადე“ (ე. ი. ვეცადე) ან „ვიღრე ცად“, მაგრამ არც ერთი მითგანი კონტრექტის შინაარსს არ ეფარდება. „30“ იგუჯრ, რაც 6+5, ე. ი. 11 (თერთმეტი). თორთმეტა წარმოდგენილი, დედაშივიდან სასუფეველამდე არსებობდა თერთმეტი ცა: შვიდი — მნათობისა, მეგრე — ვასკველათა ცა, მეცხრე — მეორე მჭერელი ცა, მეათე — პირველი მჭერელი ცა, სულ ზვეით თერთმეტიც — გარკვენი ცა-სამყარო, რომელსაც გარს ერტყმის სასუფეველი¹²⁴. პეტრე გელათელს ამ თერთმეტე ცა-სარტყელად გელის-მობს გამოთქმაში „30 ცად“. წარწერის შინაარსი მისალოცებით ასე უნდა გაიგეთ: „პეტრე წერდა. 11 ცად დაცეად-რე წერტე (ყალბით ქაღალდი)“. ამგვარ წაიკითხვას ამართლებს პირველი იამბიკოს ავტორის თქმულ თქმული თხოვნა: „კიბედ, ვინაა ცად მიაღწენ, წარმიმბარე“.

პეტრე გელათელს ცნობით, ის მოღვაწე, რომელმაც თარგმნა „კლემასის“ (ანუ „კიბე განსთავად 33 გელათის ნავეთი“), არის იოანე პეტრიწი ამას ის მეორე მრველ-წარწერაში ზმურად მიგანიშნებს (ზღრა: „პეტრე წ...“ და „პეტრიწი“). უფრო მკაფიოდ პეტრიწის მთარგმნელობას ამღავენებს წარწერაში მოთავსებული იამბიკო:

¹²¹ S ფონდის „ხელნაწერთა აღწერაობა“, I, გვ. 398—399; H ფონდის „ხელნაწერთა აღწერაობა“, V, გვ. 134 და 236.

¹²² S ფონდის „ხელნაწერთა აღწერაობა“, I, გვ. 399.

¹²³ ტექსტები გამოაკვეთა ს. ვ. უ. ბანეაშვილი (ჩველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 394).

¹²⁴ იხ. სახასიათო ცის განმარტება.

ამ, შენაი, დიდი, იქაროლეს ეკლავ
კიბე ხარისხია, ცად შევანთა, თანა,
თნებისა ლეჟია, ქრისტეს ქვესირი ვაზ-რაცხეთა,
შენ სელ-სახელმან, შენ ლეჟიან, ინებე რა
სილს ევანა შათი, პეტრესგან წერებულსა.

კ. კვეციძე შენიშნავს, რომ ეს იამბიკო უფრო მკაფიოდ პეტრეს მთარგმნელობას ამტკიცებს. ჩანს, განსვენებულ მეცნიერს გამოთქმა „პეტრესგან წერებულსა“ ვაუთვია როგორც „პეტრესგან თარგმნილსა“. მაგრამ ეს ვაუთვია არა სწორი. აქ მოხსენებული პეტრე არ არის გელათელი; იგი პეტრე მოციქულია. გამოთქმა დაკავშირებულია სიტყვათა „სძლოს“, ხოლო „პეტრესგან წერებულ სძლოს“, თეოლოგთა ენით, ნიშნავს მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომელიც ქრისტემ დააფუძნა პეტრე მოციქულზე, როგორც „კლდესა ზედა სიმციკისასა“. ვახსენეთ პეტრესადმი მიმართული სიტყვები: „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღაშენებო ეკლესია ჩემი“ (მათე 16, 18).

იამბიკოს შინაარსი ასეთია: „დიდი იოანე (იველისხმება პეტრიწი, — ი. ლ.), შენს მიერაც კვლავ ვაღმოთარგმნა ქართულად („იქართულეს“) ცად ამჟვან სათნობათა (მიწიწიებული) თხზულება — ქრისტეს წლოვანების რიცხვთა სწორი საფხებურების (შემცველი) კიბე, როდესაც შენ, სრულიად სახელოანმა და ღვაწლმოსილმა, ინებე პეტრე მოციქულის მიერ წერებული ეკლესიის (ცად) ამაღლება (აღორძინება)“.

ამრიგად, „კლემენტის“ ის ქართული პროზაული თარგმანი, რომელიც შემონახავს A 39 ხელნაწერს, ეკუთვნის იოანე პეტრიწს, პეტრე გელათელს კი — მხოლოდ ის იამბიკოები, რომლებიც დართულია აქვს დასახელებულ თარგმანს.

ყველა ზემოთქმულის შემდეგ ჩვენს დასკვნები ასეთია:

1. იოანე ფილოსოფოსი კიმქიმელი და იოანე ფილოსოფოსი პეტრიწი ერთი და იგივე პირია. „კიმქიმელი“ იოანეს გვარია, „პეტრიწი“ — ზედწოდება.

2. „იოანე საღმრთოდ ფილოსოფოსი და ჭორციელად ღრამატკიოსი“, რომელიც დახმარება ვუფრემ მცირეს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომების ქართულად თარგმანში, არის იოანე პეტრიწი. XI საუკუნის 90-იან წლებში ეფრემ მცირესა და პეტრიწს ერთად უმოღვაწეობით შეე-მთაზუ.

3. იოანე ფილოსოფოსს არ უმოღვაწეობა პეტრიწონის ქართველთა მონასტერში. ზედწოდება „პეტრიწი“ არ ნიშნავს „პეტრიწონელს“.

4. ამონიოს ერმისის თხზულებანი „მოსაქსენებელი ხუთთა გმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაქსენებელი ათთა კატორორითადმი არისტოტელისათა“ თარგმნილია იოანე პეტრიწის მიერ. შათი თარგმნა შეცდომით მიეწერება იოანე ტარიქისძეს — მოღვაწეს, რომლის ვინაობა და შემოქმედლება ჩვენთვის უცნობია.

5. არსენ ბერი და არსენ იუალითოელი ერთი და იგივე პირია. არსენ ბერი არ არის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. „აზმათა“ ავტორის ცნობით, „ცხოვრება მფფთო-მეფისა დავითისი“ დაუწერია იოანე ფილოსოფოსს კიმქიმელს (ანუ პეტრიწს).

6. „კლემენტის“ მეორე ქართული პროზაული რედაქცია, რომელიც მიეწერება პეტრე გელათელს (A 39), ეკუთვნის იოანე პეტრიწს.

7. პეტრიწის სალიტერატურო მემკვიდრეობის შესწავლისა და სწორი შეფასებისათვის აუცილებელია აღნიშნული ისტორიულ-ფილოლოგიური დასკვნების გათვალისწინება.

იოანე კეჩიკიანის საღვთისმეტყველო მოღვაწეობა

იოანე პეტრიწის სალიტერატურო მოღვაწეობა მრავალმხრივია. მისი კალამი შეეხო ძველი ქართული მწერლობის ყველა დარგს, განსაკუთრებით — ფილოსოფიას, ისტორიოგრაფიას, ბიბლიოლოგიას, აგიოგრაფიას, ვეზუგეტაციას და ასკეტუკო-მისტიკას. მწერალმა დავეყრდნობა ორიგინალური და თარგმნილი თხზულებანი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ქართული ენისა და აზროვნების, მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში; პეტრიწმა შექმნა ლიტერატურული მიმდინარეობა, ე. წ. პეტრიწული სალიტერატურო სკოლა; მანვე შეიმუშავა ორიგინალური ფილოსოფიური სტილი და მეცნიერული ტერმინოლოგია.

პეტრიწის სალიტერატურო მემკვიდრეობის აღრიცხვა, ვადაწყურა და შესწავლა დაიწყო XVIII საუკუნეში. ანტონ ბაგრატიონმა შეადგინა მისი ძირითადი ნაწერების ნუსხა, რომელიც საფუძვლად დაედო სხვა მწერალ-ისტორიკოსთა (იოანე ბაგრატიონისა და პ. ოსუკელიანის) მიმოხილვებს.

1909 წელს პეტრიწის შრომების ბიბლიოგრაფიული აღწერა იოანე დაბუჭდეს ნ. მარმა¹ და მ. ჯანაშვილმა², 1923 წელს — ე. აყვლიძემ³. მკვლევარმა განიხილეს პეტრიწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი საკითხები; მისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური მომღვაწეობა ფართოდ გააშუქეს შ. ნუცუბიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, მ. ვოიბერტი-

ძემ, გ. კალანდარიშვილმა, შ. ხიდაშელმა და სხვა მკვლევრებმა⁴. მათ ბევრი საინტერესო საკითხი აღძრეს, ზოგი მათგანი შესანიშნავადაც გააჩვეეს. მოუხებდავდ ამისა, მაინც არ შევეცილია პეტრიწის სალიტერატურო მემკვიდრეობის მილიანად ვათვალიწონება, რადგანაც თხზულებების ერთი ნაწილი დაკარგულია, ერთი ნაწილიც (მაგ., აგიოგრაფიული და ბიბლიოლოგიური ნაშრომები) ძველ ქართულ ანონიმურ ხელნაწერებშია მისაცვლელი. მათ აღმოსაჩენად საქირთა არა მარტო პეტრიწის მოღვაწეობის ნაშრომების შესწავლა, არამედ XI—XII საუკუნეების მეტაფრასულ-აგიოგრაფიული, პიმნოგრაფიული და ბიბლიოლოგიური ლიტერატურის სასიათისა და რაობის გამოკვლევაც. ეს კი ამჯერად ჩვენს შესაძლებლობას აკარბებს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: დღეს უფრო მეტს თქმა შევეცილია პეტრიწის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, ვიდრე აქამდე შეიძლება თქმულიყო. ჩვენი ფილოსოფიური ძიებანი შევფიქვად მის ცნობილ მემკვიდრეობას შეემატა რამდენიმე ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაშრომი (ამონიის ერმისის „მოსასწავნებელ ზეთისა კმათადში პორფირი ფილოსოფოსისათა“, მისივე მოსასწავნებელი ათთა კმათადში არისტოტელისათა⁵, იოანე სინელის „კლემასისა მეროე პარზული რედაქცია, თეოფილაქტე ბულგარელის „თარგმანებაჲ სახარებათაჲ“) და ერთი საისტორიო თხზულება („ესობრება მეფეთ-მეფისა დავითისა“), რომლებიც უწინ შეცლომით სხვა ავტორებს მიეწერებოდა და ისწავლებოდა პეტრიწის ლიტერატურული მემკვიდრეობისაგან დამოუკიდებლად. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ პეტრიწის ყველა შრომას (თარგმნილსა და ორიგინალურს) და რაგობრივად და თან შევეცდებით დავხსნათ მისი სალიტერატურო მოღვაწეობის ძირითადი პერიოდები.

¹ ნ. მარმა, იოანე პეტრიწი და მისი ფანსარტეხვა (იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. IX—CXII); შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 202—211); მისივე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, გვ. 23—156; III. Нуцубидзе, История грузинской философии, გვ. 272 — 373; Ш. Нухубидзе, История Грузии (იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. XCIV—LXXVII); მისივე, პარაპრაზისი ლიტერატურის ისტორია, გვ. 261—264; მ. ვოიბერტიძე, იოანე პეტრიწი და მისი მოღვაწეობის შესახებ (იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. XI—XCIV); იგივე, შემოკლებით იხ. წიგნები: მ. ვოიბერტიძე, რუსთაველი, პეტრიწი, პრეფილბები, გვ. 129—216); И. Д. Павихия, Иоани Петрици и его мировоззрение (წიგნები: Иоани Петрици, Религиозные и философские философии, 1942, გვ. 3—87); შ. ხიდაშელი, იოანე პეტრიწი, 1956; III. Хидашели, Основные мировоззренческие направления в философии Грузии, გვ. 293—350; Г. М. Каландаришвили, Очерки по истории логики в Грузии, 76, 1952; А. О. Маковельский, История логики, М., 1957, გვ. 225—228.

¹ Н. Марр, Иоани Петрицкий, гв. 4—5.
² მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, გვ. XI—XVII.
³ ე. აყვლიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, 1923, გვ. 301—310; 1960, გვ. 284—305.

1. იოანე პატრიარქის ფილოსოფიური შრომები

იოანე პეტრიწს ყველაზე დიდი ამაგი ქართულ ფილოსოფიურ შეგრ-
ლობაში მიუძღვის. მან ეს დარგი ამაბლა ბერძნულ-ბიზანტიური ფი-
ლოსოფიის განვითარების დონეზე და ქართველ და მეზობელ ხალხთა
შეწყველის ობიექტად აქცია. ამდენად, ბუნებრივია, რომ პეტრიწის
სალიტერატურო მოღვაწეობის განხილვას უპირველესად მისი ფილო-
სოფიური შრომებიდან ვიწყებთ.

პეტრიწმა ბერძნული ანტიკური ფილოსოფია მანვანის აკადემიაში
შეისწავლა. ეს აკადემია 1042—1045 წლებში დააარსა ბიზანტიის იმპე-
რატორმა კონსტანტინე მონომაქმა (1042—1054 წწ.); ტერიტორიულ-
ად მთავრებული იყო კონსტანტინეპოლში, წმიდა გიორგის სახელო-
ბის მონასტერში. იმპერატორი დიდად ზრუნავდა ბიზანტიაში შეცნე-
რული კონძის განვითარებისთვის და ცდილობდა, რომ აკადემიაში
მადლყოფილიყო კადრები მიეზიდა. ლექციებს ეთხოვებო-
დნენ ფილოსოფიის იმატ მიქაელ ფსელოსი (1018—1079 წწ.), იურისტი
იოანე ქსიფლინოსი, მკვებრმეტყველი ნიკიტა ვრამატკოსი და მოძ-
ღვარი მავროპოლი. უნეი მსმენელებს ასწავლიდნენ ფილოსოფიის,
იურისპრუდენციის, რიტორიკის, გრამატიკისა და ბუნებისმეტყველების
დარგებს. მანვანის აკადემიის მთი სახელი გაუთქვეს არა მარტო ბიზან-
ტიაში, არამედ უცხო ქვეყნებშიც; იგი გადაეცა ბიზანტიური რენე-
სანსის მზავრ კრად, სადაც ასწავლებლად მიიღიენენ ახალგაზრდე-
ბი დასავლეთ ევროპიდან, სლავიანური ქვეყნებიდან, ბადდაცხი და
ვეფიების სახალფოებიდან და საქართველიდანაც.

XI საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც მანვანში სწავლობდნენ
პეტრიწი და ივლილოფი, ფილოსოფიის იმატად მოღვაწეობდა იოანე
იტალი, ცნობილი ფილოსოფოსი და გრამატიკოსი (დაიბადა 1025 წ.).
იგი წარმოშობით იყო იტალიელი; ერთხანს სიცილიაში ცხოვრობდა;
სამხედრო ხელოვნებას სწავლობდა; შემდეგ კონსტანტინეპოლში წვი-
და და მიქაელ ფსელოსს დაემოწა; იქ თავისი ნიჭითა და მკვებრმეტ-
ყველობით გზა გაიყუდა სამეფო კარისკენ; აკადემიაში მან დირისეული
ადილი დაიჭირა. როცა მიქაელი ბერად შედგა, ი. იტალი ფილოსოფიის
იმატრად დანიშნეს. იგი მსმენელებს ასწავლიდა პლატონის, არისტო-
ტელის, ნეპოლათონიკოსისა და პერპატოეთა ფილოსოფიის; განმარ-
ტავდა არისტოტელეს, პლატონის, პროკლეს, პორფირისა და იამბლი-
ხოსის ნაწერებს ძველენ ადგილებს; განკუთვრებით დიდ დროს აწ-
ლობდა ლოგიკური შრომების (კერძოდ, „ორგანონის“) კომენტარებს.
მისი მიზანი იყო, არისტოტელეს ფილოსოფიურ-ლოგიკური მოძღ-
ვრებით დავსაბუთებინა ქრისტიანული დოგმები და საერთოდ ანტიკუ-
რი იდეალისტური ფილოსოფია ჩაყენებინა ქრისტიანული თეოლო-

გიის საშახურში. ი. იტალი უწევდა მატერიალის მუღმეობასა და უსა-
რლობას, მავრამ უარყოფდა სამყაროს მუღმეობას; ამტკიცებდა,
რომ ქვეყნა შექმნილია მატერიიდან იდეების შესაბამისად; უარყოფდა
მართალთა და ცოდვლთა ვასამართლებს და ცოდვლითათვის საშავი-
რის მიზლებს. ასეთი აზრების გამო 1083 წლის მახლობლად მან ბარ-
ი დასდეს მწველებლობაში, ვასამართლეს და მონასტერში გამოაშუ-
ყვდიეს; მის მიმდევრებს კი დგნა დაუწევს*.

პეტრიწი მანვანის აკადემიაში იტალიის მიმდევარი გამხდარა. ის
თავისი მოძღვრისგან დიდად დაფასებული მსმენელი უყოფილა. სწავლე-
ბის პროცესში მოძღვარი და მოწვევ ერთმანეთს ისე დაახლოვებინ,
რომ მათი ურთიერთობა შეგობრობაში გადაზრდილა. ტრადიციული
ცნობა, რომ პეტრიწი „ოკდათთა წელთა შინა ბერძენთა სამეფოთსა
ქალაქსა კონსტანტინეპოლეს შინა (ესე იგი ვიზანტიას) მოძღვრად და-
იღვიწა, არ უნდა იყოს სინამდვილეს მოყვებული. რაკი მას მანვანში
მიუღია ფილოსოფიის წილება, მამსადაც, ის ფილოსოფიის მოძღ-
ვრადც უყოფილა. შ. ნუტუბიძე ფიქრობს, რომ იტალსა და პეტრიწს ერთ-
დას მოღვაწეობის დროს დაუწერიათ ფილოსოფიის სახელმძღვანელო
„სხვადასხვა ძიებანი“. ეს წიგნი პეტრიწის პირველ სამეცნიერო შრო-
მად შეიძლება ჩავთვალოთ, თუკი შ. ნუტუბიძის მოსაზრება სწორია
(ინეს შემოწმება უნდა)**.

პეტრიწის ი. იტალისგან კარგი ფილოსოფიური ცოდნა მიუღია. ის
საუცხოოდ გაიფიქლა ლოგიკის მეცნიერებაში, დიდი ინტერესი აღ-
ძრო არისტოტელესა და მის კომენტატორთა თხზულებების შესწავლი-
სადმი, სავარაუდოა, რომ მას იტლის ხელმძღვანელობით (თუ შთავი-
ნებით) უნდა დაეწყო არისტოტელეს თხზულებათა თარგმნაც. აქვე ის
უნდა დანიტრეტრესებულიყო თეოლოკტიკ ბულგარელის ფილოსოფიურ-
თეოლოგიური შრომით, რომელსაც „სახარებათა თარგმანება“ ეწო-
დებო. როგორც აღვნიშნეთ, ის შრომა თეოლოკტიკე მართამ დედოფ-
ლის დაჯავლებით დიწერა. მართამ იყო ქართველთა მეფის — ბაგრატის

* Анна Комнина, Алексиада, М., 1905, сс. 171—176; გვირიცა,
VI, სს. 93—106; Н. Скавлянович, Византийская наука и школы в XI
веке, Христианское чтение, 1884, №3—4, сс. 341—369; №5—6, сс. 730—770;
Ф. Успенский, Очерки по истории византийской образованности, СПб.,
1892; К. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, I, сс.
433—445; F. Fuchs, Die höheren Schulen von Konstantinopel im Mittelalter,
Leipzig—Berlin, 1926; აგრევეე ქარვეელ მუღმეობათა ზეითი დასახლებობა
ნაშრომებ.

** შ. ნუტუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 306—310.

ასევე; თავის ვარშემო იყრებდა ბიზანტიამე მყოფ განათლებულ ქართველებს, რომელთა შორის, ეკვი არაა, იქნებოდა ახალგაზრდა პეტრიწი. აღბათ, პეტრიწი თეოფილაქტეს პირადად იცნობდა, როგორც ამას ვარაუდობდა 1918 წელს ჟ. კეკელიძე⁷. ბიზანტიამე ყოფნას დროს ითანეს ისეთი ფილოსოფიური ცოდნა გამოუვლენია, რომ იგი ბერძენთა და ქართველთაგან საყოველთაოდ აღიარებულ მოაზროვნედ უყენით. იტალი პეტრიწის მოძღვრებს „აიხაზ გრამატიკოსისა“ და „უღრესად სწავლულ კაცს“, ხოლო ეფერე მცირე — „საღმრთო ფილოსოფოსსა და კოტიკოდ ღრამატიკოსს“. პეტრიწის განმწვდვლობას ისე შეტყველებს, რომ ეფერე მცირეს, ხანდახმულ შეცნობრსა და მთარგმნელს, ეს ახალგაზრდა ფილოსოფოსი მოძღვრად აუყვანია. ითანეს აღრინდელი ნაწერებთან ჩვენამდე მოაღწია თეოფილაქტე ბუღვარელის თხზულებებს ქართულმა თარგმანმა. სხვა შრომებში დაკარგულია.

პეტრიწის მოღვწეობის მეორე პერიოდს განისაზღვრება შევ-მთაზე ეფერე მცირესთან თანამშრომლობით.

შვიდ შთის სემიქონ საციერველ-მოქმედის მონასტერი — ქართული მწერლობის ეს ძლიერი ელტერეულ-სავანათლებლო ცენტრს ბევრ მოღვწეს იზიდავდა. თითქმის XI საუკუნის შოალ მანილზე (განსაკუთრებით კი მის მეორე ნახევარში) იქ გაჩაღებული იყო დიდი ლიტერატურული საქმიანობა; თარგმნებოდა და თხზუებოდა იმდროის საქართველოში შრომადი ცნობილი თხზულებები და თანდათანოდ იყრებოდა საფუძველი ქართულ ფილოსოფიური-თეოლოგიური მწერლობას. ამ საქმიანობას სათავეში ედგენენ გიორგი მთაწმიდელი და ეფერე მცირე. შთი ხელმძღვანელობით იქმნებოდა უფუდგვარი პირობა სა-მონასტრო და სამწერლო მოღვწეობისათვის. XI საუკუნის 80—90-იან წლებში შვიდ შთის ქართველთა მონასტერი იმდენად გაძლიერდა, რომ იგი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სამწერლო ცენტრებს შორის იქცა ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრად. მის გაძლიერების ხელი შეუწყო ნაწილობრივ იმ ვარეშობამ, რომ დიდი თურქების გამო ტაო-ქლარქეთთან აიყარნენ ქართული მოღვწეობა და თავი შეადარეს შევ-მთას, სადაც მათ დახლათ შესანიშნავი პირობები სამწერლო საქმიანობისათვის. ამ ქართველთა შორის უნდა ყოფილიყო ოპიზში ბრედ შევდგარი, მამინ უყვე სახელმწიფველო ფილოსოფოსი პეტრიწი. შევ-მთაზე ითანეს ეფერე მცირესთან და არსენ

ფილოთელთან ერთად დაწვინა ლიტერატურული თანამშრომლობა. მონაწილეობა მიიღია ფსევდო-დონისზე არეოპაგეისის თხზულებათა ქართულად თარგმნაში (როგორც ეს ხედავთ გავარკვევით), უთარგმნა ამონიის ერმისის ორი თხზულება — „მოსაცხენებელი ათთა ქმთა-ლში არისტოტელისთა“ და „მოსაცხენებელი ხეთთა ქმთაღმე პორფირი ფილოსოფოსისთა“, რომელთად დიდი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული შეუ საუკუნეების „გარეშე“ (ანუ საერო) და ქრიატიანულ-თეოლოგიურ ფილოსოფიებში.

არისტოტელეს „ეატეგორიები“, რომელიც „ორგანიონს“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ისწავლებოდა პერიპატეტურულ და ნეოპლატონიურ სკოლებში. იმ მიზნით, რომ თხზულება ადვილ შესწავლი ყოფილიყო, მის ანელოდ ადგილებს განამარტავდნენ. „ეატეგორიების“ ერთ-ერთი აღრინდელი კომენტატორი არის პორფირი ფილოსოფოსი (232—301 წწ.) ნეოპლატონიური ფილოსოფიის მამამთავრის — პლოტინის (204—270 წწ.) მოწიფე. მოღვწეობდა რომში; წერდა პლოტინისა და არისტოტელეს თხზულებათა განმარტებებს და განსაკუთრებული მონიშნებით ისწავლობდა ლოგიკას. „ეატეგორიების“ შესავალი⁸ დაწერილი არის ვილად ხურისაორის თხოვნით, როგორც პასული კითხვისა, თუ როგორ უნდა გავივით არისტოტელეს მოძღვრება კატეგორიებზე. ამ შრომამ დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი დროის ლოგიკოს-კომენტატორებზე, უფრო კი იმ ფილოსოფოსებზე, რომლებიც „ორგანიონს“ შესწავლიდა და თარგმანებით იყვენენ დანტერებებულნი. V საუკუნის მეორე ნახევარში ალექსანდრიის ნეოპლატონიურ სკოლაში ფართოდ ისწავლებოდა არისტოტელეს „ეატეგორიები“ და პორფირის „შესავალი“. ცნობილია ნეოპლატონიკოსმა ამონიის ერმისს ტემ (პროკლ დიადოხოსის მოწიფემ) დაწერილი ამ ორივე შრომის „კომენტარები“, რომელიც, აღბათ, ალექსანდრიულ სკოლაში სახმარ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. ეს კომენტარები გამოკვეყნდა ორ წიგნად და ფართოდ გავრცელდა ფილოსოფოსთა და თეოლოგოსთა წრეებში⁹. ითარგმნა სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულზეც.

⁷ ამონიის შრომები გამოქვეყნდა სერამი: Commentaria in Aristotele graeca, IV, ნაკ. 3—6, G. Verbeke. Ammonius. Commentaire sur le Peri Hermeneia d'Aristote, Traduction de G. Moerbeke, Louvain, 1961. მის სტეკებისა და მოღვწეობისზე იხილეთ: K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, I, 35, 430; Prantl, Geschichte der Logik, I, Leipzig, 35, 642; Ed. Zeller, Die Philosophie der Griechen, III, Leipzig, 1886, 33, 829; მისი და ვ. ი. იანდელბაის, История греческой философии, 1912, 35, 247; И. Я. Дельбач, История греческой философии, СПб., 1898, 33, 325; В. К. Чалоян, Философия Давида Неповедниого, Ереван, 1946, 33, 67—71; В. П. Зубов, Аристотель, М., 1953, 33, 71—73, 213; А. О. Макошевский, История логики, М., 1967, 33, 216—217; Г. М. Каландаршван, Очерки по истории логики в Грузии, Тб., 1952.

⁸ ჟ. კეკელიძის დიას. წიხილი (ქობულთ, 1918, № 1, 35, 62—70).

არისტოტელეს „კატეგორიების“ კომენტარებს ქართულ თარგმანში ეწოდება „მოსასწავნელი“ ათია კმათღმი არისტოტელისა¹⁸. ტექსტი იწყება ვრცელი შესავლით, რომელშიც სუბარია არისტოტელეს შრომის მნიშვნელობაზე და მასში აღბრუნებული ფილოსოფიურ-ლოგიკურ პრობლემებზე. მას მოსდევს ტექსტის კომენტარები: ყერ მოყვანილი ფრაზა (ან აბზაცი) „კატეგორიებიდან“, შემდეგ — ამონათქის განმარტება. თხზულებას ჩვენამდე მოღწეული ნაგულად, შეითხე თავის შემდეგ ადგილ-ადგილ წითურად ჩართულია სათარგები: „არსებისათვის“, „რაოდენობისათვის“, „რასაში მიმართისათვის“ და „ერთობისათვის“ და ვითარებისა¹⁹. წყდება სიტყვებზე: „არამედ ვნებთთა ვითარებათა მძღუანველთა სიმართლიათა, რამეთუ ტურებიანნი აგრძნობენ ბუნების გარეშისა მჭუ...“ (ფ. 351 v). თხზულების მეორე ნახევარი დავარტულია. გადარჩენილი ნაწილიდან „კატეგორიების“ ფრაზებს თუ ამოკრებთ და შევარტებთ, ხელთ ვეძენება ამ თხზულების ქართული თარგმანის ფრაგმენტები. ამით დასტურდება, რომ ჩვენი მწერლობის კლასიკური ხანაში არსებულა არისტოტელეს „კატეგორიების“ პეტრიწული რედაქცია. აი, მისი ფრაგმენტი, დაცული ამონათქის „მოსასწავნელი“²⁰.

I. თან-მოსახელად ითქუმიან, რომელთა მხოლოა სახელი ზიარ, ხოლო სახელს-თანაა სიტყუაა არსებისაა — სხუა, ვითარ ცხოველი კაცთა და დამურელი.... რამეთუ: უყუეთ ვინმე გარდასცეს, რაა არს მათი თითოთაა ცხოველ-ყოფისა, თესად თითოეულსა გარდასცემს სიტყუაა.

ხოლო თან-სახელად ითქუმიან, რომელთა სახელია ზიარ და სახელს-თანაა სიტყუაა არსებისა იგივე....

ხოლო სახელ-მოდამ ითქუმიან რადენთა ვისვანმე ვან-ყოფისაა ვ ტ ა ს ი თ ა სახელსაგბრი წოდებაა აქუს...

II. თქუელთაიანი რომელნიმე უყუე თან-შეთხვისაგბრ ითქუმიან, ხოლო რომელნიმე თნიერ თან-შეთხვისა. თან-შეთხვისაგბრი ვიღრემე უყუე, ვითარ-იგი: კაცი რბის, კაცი სძღვს.

მყოფთაიანი რომელნიმე უყუე ქუემღებარისა ვისებ-რადმე ითქუმიან, ხოლო ქუემღებარისა შორის არაა არს...

* S 2562, ფ. 230r—251v.

¹⁸ ფრაგმენტის ტექსტი შევეთარხო „კატეგორიების“ რუსულ თარგმანს: Аристотель, Категории, перевод А.В. Кубицкого, редакция Г. Ф. Александрова, М., 1926, гл. 3—50. ნაყლად ადგილები მნიშვნებელთა შვასლო წერტილო (...).

რომელი საქუემღებარეოდ ითქუმიან, და ქუემღებარისა-ცა შორის არიან, ხოლო რომელი არცა შორის ქუემღებარისა არიან, არცა საქუემღებარეოდ ითქუმიან. ხოლო მარტვიად განუყუეთელი და რიცხეს-შორისნი არ-რომლის საქუემღებარისოდ ითქუმიან.

III. ოდეს სხუა სახესვოდ შეისმინებოლის ვითარცა საქუემღებარისოდ, რაოდენნი სამისშესწავლისოდ ითქუმიან, ვგოდენნი საქუემღებარისოდცა ითქუენნი...

სხუა — ნათესავთა და ურთიერთისა-დაწყებულთა, სხუა — სახე და ვანყოფილების, რამეთუ: ცხოველთა ვიღრემე ვანყოფილებანი ვითარ იგი და — ორფერკობაა; და მფერინებლობა და წყლს-შორისობაა. ხოლო ურთიერთ-არსთა ნათესავთა არაა აყენებს მათე ვანყოფილებათა ყოფსა....

IV. არე ვრთო თან-შეთხვისაგბრ თქუელთაიანი თითოეული, ესე იგი არს, არსებნაა ცხად ჰყოფს, ანუ რაოდენობასა, ანუ რომელობასა.... ხოლო თითოეული თქუელთა იგი ვიღრემე თათი თესთ არე ვრთითა დათქუმიითა ითქუენნი, რამეთუ: საგონის არს ყოველი დათქუმაა, ესე იგი არს ჰქუმიარტი ანუ მტყუარ-ყოფად.

V. [არსებისაგბს]: ხოლო არსებაა არს უყოვლადსყუთრესი და პირველად და უფროსად სათქუემელი, შორის რომელთა სახენი პირველ სათქუემლებ არსება არიან ესენიცა და სახეთა ამთ ნათესავთანი შვირედ უყუე არსებად ითქუმიან ესენი. საპირი არს სახელითაცა და სიტყუთა ქუემღებარისათა შესწმინდობაა... ხოლო სახენი ყოველნი, ესე იგი არს, საქუემღებარეოდ ითქუმიან, პირველთა არსებად ანუ ქუემღებარეთა შორის არიან ესენი.

ხოლო შვირეთა არსებთადა უფროს არსება — სახე ნათესავისა ზედა. რამეთუ უყუეთ ვიღრესცემდეს ვინმე პირველი არსებაა რაა არს?... რამეთუ თესი ვიღრემე კაცისაა ვისმე იგი სურატრესიცა თესი არს. უფროს კაც-ყოფისა, ვიღრე ცხოველ, რამეთუ ესე უსაზოგადოესი არს და სახეთა შრავილთა სახეთა, მერმეცა პირველნი არსებანი სახეთა ყოველთა ქუემღებარეობისათვის და სახენიცა ყოველნი სამართლ შეისმინენ, ანუ ამათ შორის ყოფად, რამეთუ ნათესავნი ვიღრემე სახელად შეისმინებინ. ხოლო თვთ სახეთანი რადენნი არა არიან ნათესავ, არა უფროს სახე სხვასა არსება არს. ხოლო სამართლად შემდგომად პირველთა არსებათასა მხოლონი სახეთაგან სახენი და ნათესავნი შვირე არსება ითქუ-

მიან, მერმეცა პირველი არსებანი სხუათა ყოველთა ქუემ-
დებარეობისათჳს ყოვლად საყუთრად არსებად ითქუმიან,
ხოლო საზოგადო ყოვლისა არსებობისა — არ-ქუემდებარისა
შორის ყოფად. არა თჳს არსებისა ესე, არამედ განყოფილება-
ცა არ-ქუემდებარისა შორისთავანი არს. ხოლო ნუ აღმზოფო-
თებენ ჩუენ კერძონი არსებობანი ვითარცა ქუემდებარის-
შორისად მყოფნი ყოველათჳს, რამეთუ არა ესრეთ ქუემ-
დებარისა შორისად ითქუმოდეს, ვითარცა კერძოდ მყოფნი
რასსმე შორის.

ხოლო არს არსებობა და განყოფილებაყოველთა თან-
სახელად ითქუმიან მათგან, ესე იგი არს, საგანუყუეთლოდ შეის-
მინებინან, ანუ სსახელად, რამეთუ ყოველი არსებობა საგო-
ნებელ არს ამის რასსმე დაწინიწველად. ხოლო არსებობად
არა რასს წინააღმდეგომ მითა ყოფიდაცა. ხოლო შეგტყუების
არსებობსა არ მითუალვად უფროსს-უმცროსობისა. ხოლო
უფროსსა თჳს არსებობსა საგონებელ არს ყოფად მისვე და
რიცხვთა ერთად მყოფისაგან წინააღმდეგობთა შეშუწარებელ-
ყოფიდა, ხოლო სხუათავანსა არც ერთსა ზედა შევებების ცხვი-
თარი, არა თუ ვინმე მიუტალოს სიტყუასა და თნებასა მეტყუ-
ელმან წინააღმდეგობთა შეშუწარებელ-ყოფისაგან.

ხოლო სიტყუად და თნებად თუთ ვიდრემე უძრავად ჰვიან
ნანდელ ყოვლთერი. ვინაა გუარჯი თჳსი სადმე იყოს არ-
სებობა.

VI. [ჩადენისთაჳს]: ხოლო რაოდენისაა რომელიმე არს
ვანსაზღურებელი, ხოლო რომელიმე შერწყმული და რომელ-
თამე უცუე დაღებისა მქონებელთანი ურთიერთის მიმართ
მათ შორის შედგეს ნაწილიან... ხოლო უწყებულ იყუნ, ვი-
თარმედ: რადენი ნაცვალ ვანიწყალების დიდისა და ფრია-
ლისა. რაოდენი უცუე არს სიტყუად, ცხად არს... რამეთუ
კერძონი ველს-ზედასანსა ზიარისა რასსმე საზღვრისა მერ-
მეყოფიან... რამეთუ აწი ვანსა შეყოფს ვარდისარულთა
მიმართ და ყოფილიან.

მერმეცა დაღებისა უცუე მქონებელთაგანი ურთიერთის
მიმართ მათ შორისეპითა ნაწილებითა შედგომილ არიან. რა-
მელი უცუე არა მიმდგომობს, ვითარ აქუს ღებისა რასსმე მი-
ლებად, არამედ მხოლოსა წესისა რასსმე სიტყუა მქონებელ-
ად... ხოლო მერმეცა რაოდენისა არარაა არს წინააღმდეგომ,
არცა ვიტყუე წინააღმდეგობობისა შეშუწარებელად რაოდენსა.
არა თუ ვინმე ფრიალსა კინისა იტყოდის წინააღმდეგობად...

რამეთუ არა რაა ითქუმის თაითი თჳსით დიდად ანუ თუ მცო-
რედ, არამედ სხესა მიმართ აღიუყანების, ვითარ: მთავად ვი-
დრემე მცირე ითქუმის, ხოლო ფტვე — დიდი... მერმეცა ორ-
წრთულად უცუე და სამწერთული და თითოეული ესევითარ-
თავანი ოდენსა დაწინიწვეს... მერმე ვინათუ და ვინ სხნენ
იგინი რაოდენ-ყოფად, ვინათუ არა... მერმეცა უცუეთუ იყ-
უნ დიდი და მცირე წინააღმდეგობამ, შეგებოქუს ყოველივე
გვარეთეუობით მჳს თანად მითუალვად წინააღმდეგობათა... ხო-
ლო უფროსსა წინააღმდეგობობაა რაოდენისაა ადგილისათჳს
საგონებელ არს ყოფად, რამეთუ მრავალად განკიდევებობან
ურთიერთსა... ხოლო არა სინავს რაოდენსა მითუალვად
უფროსობა-უდაბრესობისა, ხოლო რაოდენსა უფროსსა
სწორისა და უსწორისა თქუმიან.

VII. [ჩახან-მიმართითჳს]: ხოლო რასსმე-მიმართად
ესევითარნი ითქუმინან: რაოდენნი ვითარ თუთ იყუნენ, სხუათა-
თჳს ყოფად ითქუმოდინ, ანუ ვითარ რასსმე სხუებრი სხესა
მიმართ... ხოლო არიან ესევითარნიცა რასსმე-მიმართინი,
ვითარ ანავებ, მიწვილობა, გრძობობა, ზედმიწვეულობა,
ღებობა... ხოლო არს წინააღმდეგობობაცა რასსმე-მიმართთა
შორის, ვითარ სათნობა [და] უცუეთრება წინააღმდეგომ
არიან... ხოლო ჰავს უფროსსა და უცინესობისა მიმთუალ-
ველად რასს-მიმართინ... ხოლო ყოველნი რასს-მიმართინ
გარმოქცევიითა მიმართ ითქუმინან, ვითარ იგი მონაა მეუ-
ფლისა ითქუმის მონა... ანუ ესე ხოლო პირველად არს, ოდეს
არ საგონის არს გარმოქცევად, არათუ საყუთრად ვარდისცემს,
რომლისა მიმართ ითქუმოდის, არამედ შესესეს ვარდამცე-
მელი. ევალად, უცუეთუ ვარდაცეს ქათამსა ფრთისობაა,
რათა იყოს ფრთისა ქათამი, არა საყუთრად ვარდაცემის,
რამეთუ არა ვიტყუეი „ქათამი ფრთისა ქათამი“, ვითარ ყო-
ველი ფრთაა ქათამისა არს ფრთაა, რამეთუ არიან ფრთა-
ნი, რომელნი არა არიან ქათამნი... ანუ ვითარ უცუე სხუებრ,
რამეთუ: სახელი არა მჳს, რამეთუ არა არს ჩუეულებასა შინა
სახელი „პილელიცინისა“, ვინა სხუასა რასსმე საყუთრად ვი-
ტყუე, არაათ ვანყოფის, რამეთუ ცხილად მყოფსა თავი
აქუს... ვინა უცუე რასსმე-მიმართთა უსაყუთრად ვარდაცე-
მის, არ მოქცევისა მიმართად ითქუმინან უცუეუად... ხოლო
საგონებელ არს რასსმე-მიმართთა ბუნებით ერთბამად-ყო-
ფად, რამეთუ ზედმიწვეულები უპირველესად საგონებელ არს
სადმე ზედმიწვეულობისა ყოფად, ვითარ ზედმიწვეულისა

უკვე მოსაზრება მოსაზრს ზედმოწვეულობას, ვითარ-იგი მტრგულსაცა ითხვედლებოდა უფროსს არს ზედმისწვეულ [...]. ვიდრევე არა მტრმე, რამეთუ თვით თვისთ არიან, ვარსა არა ვითარ ზედმისწვეულნი; არამედ ვითარცა საქმენი მსგავსად ამათსა და გრძობისად, ზედათა აქვს [...]. ვინაა უბირველ-სად სადმე გრძობისასა გრძობადი ყოფად ითნებეს....

ხოლო აქუს უღონობადა, ვინაა არა [...]. არსება [...]. რასა-მიმართა განად ითუქმის.... უკეთუ ქმად ვიდრემე უკვე რასა-მიმართთა სახლურთა გარდაცემულ არს, შეუძლებელ არს აღსნაა უღონობისა ანუ ყოვლად შეუძლებელ და არაან რასა-მიმართებრ, ზედათა ყოფად იყვევ არს, რასა-მიმართა მიერ ქონებით.... თვის განსაზღვრება რასა-მი-მართ განიწესებოს. ხოლო მათგან ცხად არს, ვითარმედ: უკვე-თუ იხილოს ვინმე რასა-მიმართთაგანი რავე განსაზღ-ვრებულ, ივცა, რომლის მიმართ ითქმის, განსაზღვრებულ იყოს, ხოლო ნუ უკვე უ-რეს ესეითართა ძლით ფ-ღო-ბით აღმოჩნა. ხოლო რამეთუ გზაა კეთლ-მომპოვნელობით მოსწევლობისა უღონობადა არს....

ამონის ვრძისის მეორე შრომა „მოსაქმნებელი ხუთთა კმათადი პორფირი ფილოსოფოსისათა“ ჩვენამდე მოღწეულია პირველთან მდარებთი უკვეთი მდგომარებაში (ტექსტს ავლია მხოლოდ რამდენიმე ფურცელი)¹¹. კომენტარებს უძღვის ვრცელი შესავალი, რომელშიც განხილულია საკითხები: რა არის ფილოსოფია და მისა საგანი, რა დარგებდ იყოფა იგი, ვინ არის „კატეგორიათა შესავლის“ ავტორი, მისი მოწოდებ ხერხთაორე და ა. შ. პორფირი თავის თხზულებას იწვევს ამგვარად:

„ნანდელ საკვიროსა ხერხთაორე. და არსტოტელის მიერ-თაცა შინა ჟატიორიათაა მწვაბი მასწავლებლობათა ცნობად: რაა ნათესავი, რაა განყოფილება, რაა სახე, რაა თვისი და რაა შემთხვევითი განსაზღვრებითა გარდაცემისადა და ყოველთუროსითეს განსწავლებლობისა და გამომაჩინებლობისა საქმართად მყოფისა ამათსა ხედვისა შინა შემოკლებულისა მოცემისა მოქმელი შენდად ემეცადინობდ მცირედთა მიერ, ვითარცა შეწყვეტელობითისა გუარისა შორის წარმოთქმისა მოხუცებულთა მიერათა უღრმესათაგან უკვე განყენებულ

საძიებელთა, ხოლო უმარტვესთა თან-შემოხით მომწონებელი ერთბაშად ნათესავთეს და სახეთა თანად უკვე; ვინა თუ გუამოვნებენ, ვინა ლიტონთა გულის-ზრახვათა შორის სხენან, ან გუამოვნებანი სხეულებ არიან ანუ უსხეულებ. და თუ ვინაა განკიდებულბ ანუ მათ ძლით შევცამებულთა გრძობადი შორისდ ვიქმნი თქმად ღრმად-მყოფობისათეს ესეითართა მიგარდლობისადასა და სხეთსა უფროსსა გემოყდევსა მოქმენობისა. ხოლო თუ ვითარ ამითეს და წინამდებარეთა უსიტყვერესობით წარმოთქმეს ძველთა და ამთ უფროსდა პერიატოს-გამითა, შენა აწ ვეცადინობ ჩუენებას“ (ფ. 114 r-v).

ამ ტექსტს ამონისი კომენტარებშიც (106r-133v) იმოქმედებს, აღონდ განსხვავებული რედაქციით:

„ნანდელ საკვიროსა ხერხთაორე.... თუ რაა არს ნათესავი. განსაზღვრებთა განჩენითეს და შემდგომად განწყალებითეს და გამოჩინებისა, საკმარად მყოფისა ამითისა ხედვისა.... ვითარცა შევყენებთისა შინა გუარისა მოხუცებულთა მიერათსა წარმოთქმისა უღრმესთაგან უკვე განყენებული საძიებელთა, ხოლო უმარტვესთა ზომიერად მომწონებელი მუსი ნათესავთეს და სახეთა.... ხოლო ვითარ ამითეს, წინამდებარეთა უსიტყვერესად წარმოთქმეს ძველთა და ამთ უფროსდა პერიატოს-გამითა“.

ამონისი „კატეგორიასა შესავლის“ შედგენილობაზე ამბობს: ეს წიგნი ეხებო ხუთ კატეგორიას, „რომელნი ყოველთა მყოფთა შორის იხილებიან, რომელ არიან ესე: ნათესავი, სახე, განყოფილება, თვისი, შემთხვევითი“ (107r). შედგება სამი ნაწილისაგან: პირველში განხილულია საერთოე ხუთი კატეგორია, მეორეში — საკითხი, „თუ რაა ზიარ მათად და რაა განთესებულ, ესე იგი არს, თუ რაა არს ზიარ ნათესავისა და სახისადა და რაა განთესებულ ნათესავისადა“, ხოლო მესამეში — საკითხი, „თუ რანი არიან ზიარნი თანად ყოველთანი“. ყოველივე ამის უძღვის პატარა შესავალი, რომელშიც საუბარია წიგნის დამწერის მიზეზზე (105r).

ამონისი საუბრადღობო ცნობას გვაწვდის ხერხთაორეს ვინაობაზეც:

პორფირი „მასწავლელი იყო ხერხთაორისი და განმარტებული მისი სასწავლელითა. ხოლო ვედრებულ იქმნა მატინობად ცეცხლსა ცენტისა და განმზგვარა. ამის ეამსა პოოვებს ხერხთაორის არსტოტელის ჟატიორიათა და ვერცა ყოველდ შეუთოს შოამტერებელი. აუწყებს უკვე პორფირის მუნ

¹¹ S 2562, ფ. 71r-229r.

მყოფა მიმწერელი შემთხვევისა. და უკეთუ ამტარან ვიღარმე ცეცხლი მოსლავდ, ხოლო უკეთუ არა, შერამყავნებელი რაამე მოწერად მისსა, რომლისაცა მიერ ვგულებოდის მის შედგომილყოფა წიგნისა. ვინათგან უკუე პორფირის ვერ ეძლი გამად უცმოტყევა, აღუწერა მას წიგნი ესე თქმულთა მიერ მლატინისთა შემღებქცელმან ამისმან, კინლა და სიტყუათიყა მათვე მიერ მოსტრლმან. და ამისგან საღამე ცხად არს, ვითარმე: საყუთარი არს ძუელისა წიგნისა ესე“ (103v—104r).

ამის შემდეგ ფილოსოფი იწყებს პორფირის თხზულებას კომენტარებს (105v—229v). იგი განმარტავს ცნებებს, გამოთქმებს და ფრაზებს. ტექსტი წუხება სიტყვებზე: „შუარვეწელ საღამე წრანადმდგომნი და წინა-უკუემონი განყოფილებან“.

კომენტარების აღნაგობა ასეთია: ფილოსოფი იწყებს პორფირის თხზულებიდან ფრაზა, შემდეგ—მისი განმარტება. თუ ამ საკომენტარო ფრაზებს ამოყარებთ და შეეკრთებთ, მივიღებთ აკატეგორიითა შესავლს ოღნაე შემოკლებულ ტექსტს. სანიშნულ დევიზოვით მეროე თავი „ნათესავისთეს“ (133v—160r):

„ხოლო ჰკავს არცა ნათესავსა, არცა სახისა მარტვიად თქმება, რამეთუ ნათესავად ითქუმის მქონებელთა ვიეთიანგინიმე ერთისა რასამე მიმართ ვითამე, ვითარ-იგი დანიშნული ირაკლდთა ითქუმის ნათესავს. ერთისაგან სქესისა ვიტყუ უკუე ირაკლსსა გამოკუეთისებრ სხუთა ნათესავთაგან... ხოლო ამისი ჰკავს ქელთა შინა ყოფა დანიშნულისა.“

ხოლო კვლად სხუებარ: ნათესავად ითქუმის, რომელსა შეუდგების სახე მსგავსებისაგარ ნუკუუე ამით თქმულთაგანსა, სამეურად—უკუე თქმულთაგანს ნათესავისასა. მესამისათვის არს ფილოსოფოსთა-რამერ სიტყუა, რომლისაცა წირმწერელთა ვარდმისცეს: ნათესავი არს მრავალთად სახითა განყოფილად რაა-არსობისა შორის შესმენილი... დანიშნულბითთა კმათაგანი რომელნიმე ერთისად ითქუმიან და რომელნიმე მრავალად; რამეთუ შესმენილთაგანი რომელნიმე უკუე ერთისა მხოლოდად ითქუმიან, ვითარცა განუკუუთელნი, და შემთხვევითნი—ზოგადად და არა განთესებით ვისნიმე, ვითარ სითარე არე სიმეგა... ხოლო არს ნათესავი ვიღარმე ვითარ ცხოველი, ხოლო სახე ვითარ კაცი. ერთისა ვიღარმე უკუე მხოლოდად შესმენილთა განყოფილიან ნათესავნი მრავალად სათქმელბითთა მითთა... ხოლო ცხოველნი ნათესავად მყოფნი კაცისა და ცხენისა და ვარისა შესის-

მინებანი, რომელნი განიყოფიან სახითაცა და არა რიცხვთა მხოლოდათ... ხოლო კვლად, განყოფილებასა და ზოგადთა შემთხვევითთა განყოფილნი ნათესავი მითისა უკუე ვითარი რაა-არსობის შორის, ანუ ვითარ-არსობისა შესმენისათვის, ხოლო ნათესავისა—რაა-არსობისა შორის... ხოლო რასა შიე ნათით შესმენილბა განმარტებს მას განყოფილებათაგან და საზოგადოთა შემთხვევითთა, რომელნი არა რაა-არსობის შორის, არამედ ვითარი რაა-არსობის შორის ანუ ვითარ მქონებელ-არსობის შორის შესმენებანი. არა საღამე ნამეტნავად, არცა ნაყუდლად ვარე შეუკავს თქმულთა ამას წარწე-რასა ვაგონება ნათესავისა“.

ამონიოსის ეს ორივე „მოსავსებელი“ მკვლევართაგან არ არის ფილოსოფიურად დამუშავებული და გამოცემული. მხოლოდ მათ შინაარსობრივ მხარეს ვაგონით ვხვდები. ნუქუდმე, როდესაც ის ტარიქსის ლტერატურულ საქმიანობას აფასებს. იგი წერს: „არსენ იყალიოე-ლის ხაზს მიყუებობენ ითანე ტარიქსემ და სხვანი, რომლებიც ლოგიკის სქოლასტიკურ-ფორმალისტური დამუშავების მიღწევებს ქადაგებდნენ საქართველოში XII საუკუნეში. მას დღე ღირებულება და მნიშვნელობა არ ჰქონდა. არსებითად ტარიქსემ მხოლოდ თორამანი მნიშვნელობა და მისი აღქმანდობის სკოლიდან გამოსულ ეპიგონებს თარგმნი-ყო და მისი აღქმანდობის სკოლიდან გამოსულ ეპიგონებს თარგმნი-ყო და, ასეთებს, როგორც იგი ამონი ერამისა-მე. ქართულ აზრანებებს ტარიქსის მუშაობანი ვერაფერი შესძინა და იგი თავისი სქოლასტიკურ-ფორმალისტური ლოგიკით უკვლავ დამახასიათებელი წარმომადგენელი იყო ლოგიკურ-რეკავციონერი ბანაკისათვის იდეოლოგიურ კონ-ტრასტებს და აი რატომ: ამონიოსი იყო თავისი დროის გამოჩენილი ნეობოტანიკოსი, შოწაფე დიდი პროკლესი, მასწავლებელი სიმპლიციოსისა (გარდაიცვ. 549 წ.) და ითანე გრამატიკოსისა (VI ს.), რომელთაც დიდად მასხუროს თავი არისტოტელეს თხზულებათა კომენტარებში. თავისი მოღვაწეობით ამონიოსმა საგრანბინო კვალი დაატყო აღქმანდობის ფილოსოფიურ სკოლას. მოსწავლე ახალგაზრდობა მის თხზულებებში ვეცნობად ფილოსოფიისა და ლოგიკის პრინციპებს, არისტოტელესა და პორფირის ნაწერებს და საერთოდ ძველებერმულ ფილოსოფიურ სისტემებს. ბუნებრივად და ამონიოსის შრომები ქართველ მოსწავლეებსაც შეუწყობდა ხელს ფილოსოფიის შესწავლას და ქართულ აზრანებმასაც ვაუწყებდა გზას. ამდენად, მათი თარგმნი გაბირობებული უნდა ყოფილიყო ეპოქის კულტურული მოთხოვნილებით და,

II 2. ნ. უ. ბ. ბ. კართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1958, გვ. 158.

ცხადია, მას ღირებულება და მნიშვნელობაც ექნებოდა. საქმე ისაა, რომ ამონიისის „მოსაქსენებლები“ სუსტა ფილოსოფიური ტერმინებითა და წინადადებებით ცნებებით, როგორცაა მაგ.: „ქველ-მღებარე“ (= მოქმედების საგანი), „დასარული“ (= მოქმედების შედეგი), „თეს-მზარხობა“ (= კატეგორია), „შეგულისხმებუა“ (= სილოგიზმი), „უღლონიება“ (= კითხვა), „საეულის-ზარხობა“ (= საგულისხმებობა), „ამგულის-სიტყუა“ (= გულისმსიგებუა, გულისმხილველი), „მოფარდლობა“ (= შობღერება, წიგნი), „ანავები“ (= რაიმეს მტკიცედ აყრობა, ინადიანი), „რაა-არსობისა შორის შესმენა“ და სხვა. ზოგი მათგანი ძველქართულ ფილოსოფიურ შეწარმებაში მტკიცედ დამყარდა (ინხარება თანამედროვე მეცნიერულ ენაშიც ისტორიულ ვაგებობა, ან ახლებური მნიშვნელობით), ამდენად, „მოსაქსენებლები“ ტექსტების ფილოლოგიური დამუშავება და ზეგულისხმებუა ერთიანი გადარღვევად ამოუკანს წარმოადგენს. მაშინ უფრო გაირკვევა მათი მეცნიერული ღირებულება.¹²

იოანე პეტრიწის მოღვაწეობის შესახებ პერიოდი ვითრებდა XII საუკუნის პირველ მეოთხედს, როდესაც ის საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და გელათში დაიწყო მოღვაწეობა. იმ ხანად საქართველოში მეფობდა დავით აღმაშენებელი, მტკიცე ნებისყოფისა და დიდად განსწავლული კაცი, რომელიც თავისი ბრძნული განმგებლობით ერთმართველურ ფილოსოფიურ სახელმწიფოს აქანდაკებდა. იგი ქვეყნის გაერთიანებასა და საზღვარს და ეკონომიურ გაძლიერებასთან ერთად დიდად ზრუნავდა მის ქველურულ აღმავლობაზეც. მან ვაჟაშა საომანსტრო შეიხებლობა, საეკლესიო მმართველობაში მოახდინა დიდი რეფორმა, თავის გარშემო შემოიკრიბა სწავლული ხალხი და მასთან ერთად დაიწყო საქართველოში სწავლა-განათლებლის გაერცელება. ეკრძოდ, მან აშენა გელათში მონასტერი ყველა-წმიდასა და ღვთისმშობლის სახელზე და იქ თავი მოუყარა გამოჩენილ ქართულ მეცნიერებს, მწერლებს და საეკლესიო მოღვაწეებს, რომელნიც მანამდე საქართველოში თუ საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ. ისტორიკოსის ცნებით, დავითმა გელათში „შემოკრიბა კაცნი პატროსანი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა პოვნილი, არამედ ქუეყანისა

კიდებით, სადათც ესამ ვიგომე სიწმიდე, საყვე, სისრულე, სელოგრა-თა და კორცევილითა სათნოებითა აღსავსობა; იძინა და კეთილად გამო-იძინა (გ. ი. იძინა და კარგად გამოიძინა, — ი. ლ.), მოუყვანა და დაამყარა მას შინა“¹³.

დავითის შიგარ საზღვარგარეთიდან მოწვეულ ქართველ მოღვაწეთა შორის უნდა ვივარაუდოთ უნარველად არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი, რომელნიც მაშინ შავ-შაბაზე, სვიმონს საციბრელო-მოქმედლის მონასტერში მოღვაწეობდნენ. საქართველოში სოსელითაინავე იძინა გვირდში ამოუღებენ მეფეს და სათავეში მოგვებენ სამწერლო და საგანმანათლებლო საქმიანობას: გელათი და შიო-შღვიმე, ცრია მოღვაწეობით კი იყალთო-აქციუს მათ მეცნიერებისა და სწავლა-განათლებლის უძლიერეს ცერებად. იოანემ, — დავითის გამგონებისა და წყალობითა და თანადგომისა მიწაბილმან, გელათში დააარსა სამონასტრო აკადემია, თავის გარშემო შემოიკრიბა სწავლული მწერლები და მთარგმნელები და დიდ ლიტერატურულ და პედაგოგიურ შემოშობას შეუდგა. გელათის აკადემიაში მან თარგმნა ორი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური თხზულება: ნემესიოს მეფელის „ბუნებისათვის კაცისა“ და არი-სტო დეადიხოსის „კავშირისა ღმრთისმეტყველებთან“ (ანუ „თეოლოგიის ელემენტები“).

1. ნემესიოს ემპელის „ბუნებისათვის კაცისა“ იოანეს უთარგმნია XII საუკუნის დასაწყისში, ალბათ, მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოდ. მისი ტექსტი (ჯამისი 1913 წელს ს. გორჯაძემ)¹⁴ ჩვენამდე მოღწევრ-ბისა გვიანდელი ხელნაწერებით, ისიც ნაკლებად. ერთ ხელნაწერს (S 129) ერთის ელსია: „ყელადელთა მათთან გდმოიცა ესე ქართულად საცირველსა ფილოსოფოსისა ჩუენისა პეტრიწისა შიგარ, იოანე-ბუნებისათვის ელსია: კელისა შინა გაეცათისასა“ (2807). ეს მონაწიერი გვიანდელი წარმოშობისა; მაგრამ სინამდვილესთან ახლოს დგას; თვით პეტრიწის ამბობს „კავშირთა“ კომენტარების ბოლო-სიტყვაში (გვ. 223), რომ: „ამთსა წინათ ნემესიოსისა წიგნისა შეწყო-ბისა შინა მეზარე, ე. ი. ამაზე უწინ ნემესიოსისა წიგნისა (იგულისხმება „ბუნებისათვის კაცისა“) შეწყობაზე ვიბროშყო.“

ნემესიოს ემპელი IV—V საუკუნეების ნეოპლატონიკოსია. 400 წელს ის აყრთბეს ემესის ეპისკოპოსად, „ბუნებისათვის კაცისა“ მან

¹² ქართლს ცხოვრება, I, გვ. 330.

¹³ ნემესიოს ემპელის „ბუნებისათვის კაცისა“ ხელნაწერთა გაცნობ-ლებით იოანე პეტრიწის შიგარ, ქართული ტექსტი შესწავლა, გამოსაცემად დაამ-ზადა და ლექსიკონ-სამეცნიერო დარბოთი ს. გორჯაძემ, ტბლისი, 1914, 7—LVI+240 გვ.-თხზულება განმარტული აქტი 6. მარს. 2. გობობობისა, 2. წიგნიბისა, ს. აუთხმეოლს ზემოთ დასახლებულ შრომაში.

¹⁴ ამონიისის თხზულებათა პეტრიწულ თარგმანს ეპისკოპოსად ამაღლებდა ნ. კუ-ბლაძე (იხ. ნეკროლოგი „ნათელა კვებლობა“, ლიტერატურული საქართველო, 1967, № 46, 17. XI.).

დაწერა V საუკუნის დასაწყისში. თხზულება წარმოადგენს ერთგვარ ენციკლოპედიურ ნაშრომს დაამიანის ბუნების შესახებ. ავტორისათვის ამისთავალი მოძღვრება ნეოპლატონიზმი, მაგრამ ის „ბუნებისმეტყველებებისა და ფსიქოლოგიის საკითხებს მთლიანად არისტოტელეზე აშენებს, ძალიან ფართოდ იყენებს სტოელების მოძღვრებასაც აფექტების შესახებ, ამყენებს არისტოტელეზე ნებისყოფის თავისუფლების საკითხს და ასე ასრულებს თავის კომპენდიუმს“ (მ. გოგიბერძე). წიგნი შედგება შესავლისა და ორი ძირითადი ნაწილისაგან. შესავალში საუბარია მსოფლიოს შექმნასა და დაამიანის ბუნებაზე. პირველი ნაწილი ემიოზა სულასა და სხეულის რაობას, მათს შეხვედრასა და გაყრას, მოძღვრებას ოთხ ელემენტზე (ანუ ასებზე). მეორე ნაწილი—საყუთრედ დაამიანის სულიერ და ფიზიოლოგიურ მხარეებს, მის სისიცოცხლო ძალებს, ორგანიზებას და მათ ფუნქციებს.

ამ წიგნში დიდი პოპულარობა მოიპოვა შუა საუკუნეების დასავლეთში და აღმოსავლეთში (დიდი ხნის განმავლობაში მის ავტორად ითვლებოდა გრიგოლ ნოსელი). მისით დაეაყუბოდა ირანე დამასკელი (ავტორი ფილოსოფიურ-დოგმატიკური თხზულებისა „წყარო ცოდინა“), 1159 წელს იგი ითარგმნა ლათინურად. პეტრიწის ქართული თარგმანი ლათინურს ნახევარი საუკუნით უსწრებს წინ.

2. პეტრიწს გულამოივებ უთარგმნია პროკლე დიალოხოსის (V საუკ.) შრომა „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, რომლისთვისაც დღერ თავს მას ვრცელი კომენტარები, წინასიტყვა და ბოლოსიტყვა.

თხზულების ძირითადი ნაწილი შეიცავს პროკლეს შრომის თარგმანს და მის კომენტარებს; ჯერ წარმოვსილია „კავშირნი“ რომელშიც თავის ქართული თარგმანი და მერამე მისდგეს მას ირანე კომენტარი (სულ დასულა 211 თავის თარგმანი და კომენტარი). თარგმანს ამისაზე მოწერილი აქვს გვერდით 3 (= პროკლე), კომენტარს კი — 1 (= ირანე). ეს ნიშნავს: ერთი ნაწილი ეკუთვნის პროკლეს, მეორე — ირანე ფილოსოფოსს.

„წინასიტყვაში“ ირანე გვაჩვენებს წიგნის თარგმნის მიზანს, იძლევა ცნობებს პროკლეს ცხოვრებასა და ფილოსოფიურ საქმიანობაზე და განმარტავს ზოგიერთ ლოგიკურ ცნებას.

„ბოლოსიტყვაში“ ის ჩერდება მთარგმნელობითი მეთოდის ძირითად პრინციპებზე, იუწყება ბიბლიური წიგნების „ეკლად გარდმოდების“ მიხედვით (ვრცლად ამის შესახებ იხ. ქვემოთ), გვიყვება თავის გასაკვირს — როგორ სდევნიდნენ მას ბერძნები და ქართველები და როგორ მფარველობა გაუწია მას დავით აღმაშენებელმა და მსჯელობას ამთავრებს იმ შვიდი სამეცნიერო დისკალონის ჩამოთვლით, რომელთაც

ამყავლიდნენ XI—XII საუკუნეების ბიზანტიისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (სამონასტრო და სამოქალაქო აკადემიებში).

პეტრიწის ეს თხზულება ძველ საქართველოში გავრცელებული იყო, ზოგი აქვდა მას, კითხულობდა და სწავლობდა, ზოგიც მის ხელნაწერებს სახასრთველ მინაწერებს ფრთავდა. ერთ-ერთი გადამწერის ასეთი პოლემიკური მინაწერი ჩაურთავს „წინასიტყვა“ დასასრულს: „რასა ვეწერ, არუ რასა გლხ-ვმოქმედებ? გრანა გვსწავის გულოთაგან თერიაა და წარმოუსტრეწნავ ყოველსა ძალსა ქრისტეს მიერ. ამის წინასიან წარწყმდა სამგზის წყველი არიოზ და ამისაგანვე განთავლებულია სამგზის მოიგეს ღმრთისმეტყველებისა სახელი — დღეთა ბრძენთა დინობა და ღრლოვანი და ვასილი და სხუთთა ეკომე. შენ გრანება განწყვედილი მოივებ ღმრთისა მიმართ. და სახლავითა მამათა წიდილათსა ნუ გარდავლებინდები და არა საცუორ გექმნეს“ (II, გვ. 9). მეუხედავად ამისა პეტრიწის წიგნს დიდი პოპულარობა მოუპოვებია ქრისტიან თეოლოგთა წრეებში. იგი 1248 წელს სომხურად უთარგმნია სვიმეონ ხუცეს-მონაზონს¹⁶, ხოლო XVIII საუკუნეში სომხური თარგმანი ქართულად გადმოიქცა ფილიპე ყაითმაზაშვილს¹⁷.

პროკლეს ტექსტს პეტრიწული თარგმანი და კომენტარები მეცნიერულად შეისწავლა პირველად ნ. მამაძე¹⁸, ხოლო მათი კრიტიკული გამოცემა განახორციელეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუჩიანივილიმა¹⁹. 1942 წელს გამოქვეყნდა „კომენტარების“ რუსული თარგმანი²⁰.

პეტრიწის მოღვაწეობა გულამოივებ მარტო ამ ორი ფილოსოფიური სამყარო და სამონასტრო საქმიანობა; დაწერა ფილოსოფიურ-დოგმატიკური ტრიპტიკი „სათრებთა კიბე“, თარგმანს ირანე სინელის „ეკლემასი“, ბიბლიურ, აგიოგრაფიული და ისტორიული თხზულებანი, შეთხზა იამბლიკურად „ვალდბანი ყოველთა წმიდანთა“ და აღწერა „ცხოვრება მეფეთ-მეფეთსა დავითისა“.

¹⁶ ილ. აბუღლიძე, რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური შრომების კიდევ ერთი ძველი თარგმანი ძველ სომხურზე; შიშვე, რუსთაველის ხანის ქართულად ნააზრებნი ძველ სომხური შრომების ძველად, ენციკლ. შიშვე, III, 1938, გვ. 111—112, 123—134.

¹⁷ A 237, აღმწერალი 1763 წელს. Н. Марр, Иоанн Петрицкий, 33-9-11; მ. განაშვილი, ქართული შრომობა, II, 1909, გვ. XXXIII—XXXII.

¹⁸ ნ. მამაძის შრომა.

¹⁹ ირანე პეტრიწის შრომები, ტ. I, 1940, LXXXVII+320 გვ.; ტ. II, 1937, CXII+228 გვ. (პირველი ტომი შეიცავს პროკლეს „კავშირთა“ თარგმანს, მეორე—კომენტარებს).

²⁰ Иоанн Петрицкий. Рассмотрение платоновской философии и Прокля Диалога, Тб., 1942, 252 გვ.

ჩამოთვლილი შრომები იმდენად მნიშვნელოვანი ქართული კულტურის ისტორიისთვის, რომ საჭიროა მათი ცალ-ცალკე განხილვა. მაშინ უფრო სისრულით ვაფასებთ მათ. პეტრიწის სალიტერატურო მოღვაწეობას და მის ამავსე ქართული მწერლობის წინაშე.

2. იოანე პატრიარქის „სათნოებათა კიბა“ და „კლემენტის“ ძარბოვანი რედაქციები

იოანე სინელის „კლემენტის“ ქრისტიანული მსჯელობის-მინისტეროზის-სწავლულების სახელმძღვანელოა; შედგება ოცდაათი თავისაგან, შეიცავს მორალურ შეგონებებს სათნოებათა შესახებ. იგი შუა საუკუნეებში მეტად პოპულარულ თხზულებას წარმოადგენდა; უმოთხრესად ვრცელდებოდა ქრისტიან ბერ-მონაზონთა შორის.

„კლემენტის“ ქართულელებს სამეგრეოთაგანია პაროხი: პაროხი IX თუ X საუკუნეში გამოჩნდებოდა გასაზრდად ჩვენთვის უცნობ მთარგმნელს—საფიქრებელსა სინის შიის ქართველთა მონასტრის მოღვაწეს (ეს მთარგმანი დაკარგულია). კონსტანტინე უცნობ მთარგმნელს (ან მთარგმნელს, — ი. ლ.) მრავალი მრედად დაეწერა და მრავალი დავადა, ამისთვის თხზულება ხელახლა უთარგმნია იოანეს ბრძანებით მის შვილს—ფლოტოშ მოწოდებულს: „მე, გლახანს, ეფთვე, ბრძანებითა შვილსა მამისა ჩემისა იოანესითა უთარგმნე ესე, უთარგმნე თვის მის წმიდას ეთქუა ბერძნულად, რამეთუ ბერძენი იყო იგი (— იოანე სინელი, — ი. ლ.) ნათესავითაჲ უცნობ რომელნიცა ამას წმიდას წიქსას იყოთხილეთ, ლოცვა ეფთ წმიდათა მამათა ჩუენთათჳს— იოანესთჳს და იოანე სინელისთჳს და ჩემთჳსცა ცოცხელისა ფთვეკისა, და რომელი სწერდეთ, ვითარცა აქა კპოთი, ეგრეთ დწერეთ. და თანე ვითარცა აქა იუნენ, ეგრეთ დასწერეთ, რამეთუ მეცა ვითარცა მიპოვნინა, ეგრეთ დაბისმინა უცნობნი წილითა. და ამათცა სიტყუათა ნუ ვინ დაიდებთ, არამედ დასწერდით ღმრთისათჳს და ჩემსათჳს ცოცხელისასა სახელსა“.

ეს რედაქცია მერს მართლ მწერლობაში ვრცელდებოდა უმარტივ ხელნაწერით. ცალკე წიგნად გამოიცა ფოთში 1902 წელს სათაურით: „ღმრთისა მამისა ჩუენისა იოანე სინა-შიის მამასახლისისა კლ ეთქის ი, რომელ არს კი ბ, გამოცემული ათონის წმიდის შიის ახალ-ქართულთა წმიდის იოანე დგომის-მეტყველის საგნისა“²¹. აღსანიშნავია

²¹ ქვემოთ ქარგებლობა ამ გამოცემაზე (ცოტაბევრად აღგავლილია მკვლ. იხილეთ).

სიტყ, რომ იოანე სინელის მახვილგონივრული თქმანი აპოფთეგმურ ტიპებში „სიტყუანი და სწავლანი სამეცნიერობნი“ არსენ ფილოთოვლის შეუტანია ფლოტისიველი უთარგმანიდან (I, 1—70).

XII საუკუნის დამდეგს „კლემენტის“ ხელახლა უთარგმნია პეტრიწის გელოზი მოღვაწეობის დროს, როგორც აღენიშნეთ, მისი ტექსტი დაიწერა A 39 ხელნაწერში²². ამის „კლემენტის“ გარდამოცემის მიზნები მდგომარეობის შედგენით: ეფთიმე საერთოდ არ იცავდა მთარგმნელისთვის საჭირო სიტყვებს; დედანს თავისუფლად ეპყრობოდა, იყენებდა „შემატებისა და კლემენტის“ მეთოდს; ტექსტის ენა რომ შკითხველისთვის გასაგებ ყოფილიყო, ჩანდახან დედანიდან უხვევდა და ხელოვნური დამატებული სიტლის ნაცლად უპირატესობას აძლევდა ქართულსათვის დამახასიათებელ მარტო თხრობას. პეტრიწი კი, პირიქით, დიდ ყურადღებას აქცევს დედანისუფლ აზრთა წყობას და ცდილობს ესა თვის ფრიალს ზუსტად თარგმნოს. ამით პეტრიწი იძლევა ადგილებურ თარგმანს, რის გამოც მისი რედაქცია სიტყვა-სიტყვით მისდევს ბერძნულ დედანს და მის ლექსიკას და სინტაქსში საგრძნობლად ელირდება ბერძნულსაგან. პეტრიწული თარგმანი ფლოტისიველსათგან განსხვავდება ლექსითა და დამატებების სისტემითაც. იგი შემეყვია ფოტო შემეყვია კონსტანტინის კომენტარებით.

შკითხველმა არც ვერცულა წარმოდგენა იქონიოს ორივე თარგმანის რედაქციულ თარგმნელობაზე, მათგან დავიმოწმებთ რამდენიმე პარალელურ ტექსტს (ნიშნულზე მოცემული აპოფთეგმურ შინაარსის ფრაგმენტების):

ფლოტისის თარგმანი

არარაა არს სწორი წყალობათა და სახიერებათა ღმრთისათა, ამისთვის უცნობ რომელნიცა სასოება მან არა იქვეა, მან ნებისით მოყლა თავი თვის (გვ. 123).

არა ეთქვეთ კლემენტის მახვევ გზისა, რომელსა შინა ესცეთით. არამედ მოყვეთ ით და სხუეთ, არამედ წარველოთ მოკლე და ხლოა (იქვე).

არამედ სიზმართა ირწმუნებდეს, მსგავს არს მრწმუნებელი მსგავს არს

იოანე თარგმანი

არარაა მოწყალებათა ღმრთისათა სწორი, გინა უღიფეს არს, ენადა სასოებასა წარმწერს ექლემან თავი თვისი დაყლა (63r).

იხილეთ, რამეთუ არა ყოცლისა გზისა, რომლისაგან შეგსცეთით, მოვიქმნეთ, არამედ სხესაგან უმწარაფლესისა (63v).

²² ცოტაბევრად იოანე თარგმანიდან დავიმოწმებთ ამ ხელნაწერის მიხედვით.

იგი კაცს მას, რომელი აჩრდილსა თესსა სდევდეს და ენებოს შეჰყარობა მისი (გვ. 52).

